იაშა თანდილავა

საერთო ქართველური ზმნური ძირები ლაზურში და ლაზური ზმნის პარადიგმა

თბილისი
2018

იბეჭდება სხალთის მთავარეპისკოპოსის - სპირიდონის
ლოცვა-კურთხევით

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ქართველოლოგიური კვლევების განყოფილება

წარმოდგენილ წიგნში გაანალიზებულია ლაზურში დადასტურებული საერთო ქართველური ზმნური ძირ-ფუძეები. ნაშრომში წარმოდგენილია სპეციალურ ლიტერატურასა და თანამედროვე ლაზურ მეტყველებაში დაფიქსირებული საერთოქართველური ზმნური ძირები. მნიშვნელოვანია ის, რომ ნაშრომში შეპირისპირებულია ლაზური ვარიანტები ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური ქვესისტემების მონაცემებთან. წიგნი გამოდის პირველად, რომელიც მეცნიერული სიახლით დააინტერესებს სპეციალისტებსა და საკითხით დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი: ფილოლოგიის დოქტორი, პროფ. ელზა ფუტკარაძე

რეცენზიები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ეკა დადიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მედეა რიჟვაძე

დაიბეჭდა შპს „სეზანში"
CEZANNE

ISBN 978-9941-27-907-2

შესავალი

საეკლესიო გადმოცემა და ქართლის ცხოვრება გვამცნობს:

„და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმიდასა ღმრთისმშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა. და ჩუენებით ეჩუენა მას ძე მისი, უფალი ჩუენი, და რქუა: „დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი სა-ზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თანა - წარატანე ხატი შენი ვითარიცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა“. მაშინ რქუა ყოვლად - წმიდამან მოციქულსა ანდრიას: „შვილო ანდრია, დიდად უჩნს სულსა ჩემსა, რომელ ქუეყანასა მას ნაწილსა ჩემსა არა ქადაგებულ არს სახელი ძისა ჩემისა. ოდეს წარვემართე ქადაგებად ძისა ჩემისა ქუეყანასა მას, წილად ჩემდა ხუედრებულსა, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი, და მიბრძანა, რათა შენ წარხვიდე და წარასუენო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა,ჩემდა წილ - ხდომილსა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ“.

საქართველოში დაფლულია მაცხოვრის კვართი და მასზე აშენებულია სვეტიცხოვლის ტაძარი.

საეკლესიო გადმოცემა და ქართლის ცხოვრება გვეუბნება:

„ხოლო ოდეს კუართსა მას ზედა უფლისასა წილ იგდეს უღმრთოთა ურიათა ჯუარცმასა უფლისასა, და განგებულებამან ღმრთისამან მიახუედრა მცხეთელთა ურიათა. და წარმოვიდა იერუსალემით ელიოზ და ლონგინოზ, და წარმოიღო კუართი იგი წმიდა. ვითარცა მოიღო ელიოზ მცხეთას, მყის წინა უკუე მიეგება დაი იგი მისი გოდებითა და ტირილითა საშინელითა, ცრემლითა შესუარული, და მოეხვია ყელსა სასურველისა მის ძმისასა. ხოლო ვითარცა იხილა უსასურველესი იგი ყოველთა სასურველთა კუართი მხსნელისა ჩუენისა, მყის წადიერებით უკუე და სიყუარულით შეიტკბო მკერდსა თვისსა, და მეყსეულად სულნი წარხდეს ნეტარსა მას დედაკაცსა...მაშინ უკუე საკვირველი საქმე იგი დიდი განისმა ყოველსა მას ქალაქსა მცხეთას... ხოლო ელიოზ დამარხა დაი იგი თვისი სანატრელითა დამარხვითა. რამეთუ ერთბამად ვითარცა აქუნდა მკერდსა თვისსა ზედა კუართი იგი, ეგრეთვე დამარხნა. ხოლო წმიდა იგი კუართი წმიდავე უკუე დაშთა, და წმიდავე გიეს ვითარცა პირველვე, ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ქართლისასა”.

ივერია - საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია და იგი ამით უფლის მიერ გამორჩეულია, საზეპუროა და ამაღლებულია ყველა სხვა ერებზე. მისი უშუალო მფარველი და პატრონი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია, მისგან ივერიას მოცემული აქვს უძლეველობა. წმიდა ილარიონ ქართველის ცხოვრებაში ყოვლადწმიდა დედაღვთისმშობელი ბრძანებს რომ ქართველთა მტერი მისი მტერია. წმიდა სერაფიმე საროველი ბრძანებს: - „ ნუ შეებრძო-

ლებით საქართველოს თორემ ამით თქვენ ომი გექნებათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელთან“ , წმიდა მამები ბრძანებენ : - „ყოველი მართლმადიდებელი კურთხეულია, ხოლო ყოველი ქართველი - ივერიელი სამგზის კურთხეულია, რადგან ისინი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი შვილები არიან“.

უფლის კვართი ქრისტეს ჯვარმცმელებმა ვერ განხიეს ვერ განყვეს, რადგან მას ზეციდან ქონდა მინიჭებული განუყოფლობის, უძლეველობის ძალა. კვართის საიდუმლოთი უფალმა ეკლესიის განუყოფლობაზე, უძლეველობაზე მიანიშნა, როგორც თავად ბრძანებს: - „ ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“. წმ. კვიპრიანე კართაგენელი ამბობს: - „ქვეყანას, ეკლესიას რომელსაც კვართი აქვს ბოძებული, ამ ქვეყნის ეკლესიას ვერავითარი ძალა ვერ მოერევა, ვერ განყოფს, ვერ განხეთქავს, როგორც ჯვარმცმელებმა ვერ განყვეს, ვერ დახიეს მაცხოვრის კვართი, რადგანაც მას ზეციდან ქონდა მინიჭებული განუყოფლობის, უძლეველობის ძალა“.

ღვთისმშობლის წილხვედრობით და მაცხოვრის კვართით ყოვლადწმიდა სამებამ ორგზის დაუმტკიცა და დაუმოწმა ქართველ ერს და მის დედაეკლესიას უძლეველობა და განუყოფლობა.

წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება გვამცნობს, რომ ივერია, საქართველო არის ქვეყანა „სადაც ჟამი ქართულად შეიწირვის და ლოცვაი ყოველი ქართულად აღესრულების“. ანუ ივერია - საქართველო არის ის, სადაც არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მისი იურისდიქცია.

მართალია საქართველო პოლიტიკურად იყო ხოლმე დანაწევრებული, მაგრამ ეს მაინც ერთიანი საქართველო, ქართველი ხალხი, ქართველი ერი იყო, რადგან საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იყო, საქართველოს ეკლესიის შვილები იყვნენ.

უფალი ბრძანებს, რომ ყოველი იდეის ან თეორიის გამოცნობა - ბოროტისგანაა თუ კეთილისგან - ნაყოფთაგან ხდება, ნაყოფთაგან იცნობა - ანუ ამ იდეის, თეორიის შედეგისაგან იცნობა.

ამიტომ იდეა, თეორია, რომელიც საქართველოს ერთიანობას და საქართველოს ეკლესიის განუყოფლობას ეწინააღმდეგება, ან ებრძვის არ არის კეთილისაგან. ის არის ბოროტისაგან. ხოლო ბოროტი არის სიცრუის მამა, ანუ ასეთი იდეა, ან თეორია ცრუა და ბოროტი. თეორია, რომელიც ამბობს რომ სვანური, ლაზური და მეგრული ცალ ცალკე, დამოუკიდებელი ენებია და არა ქართული ენის შემადგენელნი დიალექტები და განშტოებები, ასეთი თეორია (რადგან ენა ბიბლიაში ერს ნიშნავს) სვანებს, ლაზებს და მეგრელებს არაქართველებად წარმოაჩენს, და რადგან სამოციქულო პრინციპის თანახმად ყველა ერს თავისი ეკლესია უნდა ჰქონდეს და თავის ენაზე, ამიტომ ეს თეორია ებრძვის ივერიის - საქართველოს ერთიანობას, მთლიანობას და საქართველოს ეკლესიის განუყოფლობას და მთლიანობას და ამდენად ასეთი თეორია არის მაცხოვრის კვართის განხევის და დანაწევრების მცდელობა, ანუ ქრისტეს ჯვარმცმელების საქმე, და ასეთი თეორია არის მტრობა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა და უმძიმესი ცოდვა.

სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ანოტაცია 7
Annotation 10
შესავალი 12

თავი I. საერთოქართველური ზმნური ძირები 20
1.1. საკითხის შესწავლის ისტორია 20
1.2. საერთოქართველური და ლაზური (ზანური) ფონემატური სტრუქტურის მიმართების საკითხი 22
1.3. ლაზურში დამოწმებული საერთოქართველური ზმნური ძირების ანალიზი 27

თავი II. საერთოქართველური ზმნური ძირებისგან მომდინარე ლაზური ზმნების სრული პარადიგმა (კილოთა მონაცემების მიხედვით) 195
2.1. ლაზურის ზმნის მწკრივთა სისტემა არნ. ჩიქობავას მიხედვით 195
2.2. ლაზურის ზმნის მწკრივთა სისტემა გ. კარტოზიას მიხედვით) 199
2.3. ჭარ-ზმნური ძირისგან ნაწარმოები ყალიბების მწკრივის ფორმები ... 201

ძირითადი დასკვნები 248

დამოწმებული ლიტერატურა 251

დანართი
I. გაანალიზებულ ლაზურ ზმნურ ძირთა საძიებელი 257
II. ლაზური ტექსტები 265
III. ჭარ- ზმნური ძირისგან ნაწარმოები ფორმების სრული პარადიგმა 274

ანოტაცია

იაშა თანდილავას სადოქტორო წიგნში გაანალიზებულია ლაზურში დადასტურებული საერთოქართველური ზმნური ძირ-ფუძეები. ნაშრომში წარმოდგენილია სპეციალურ ლიტერატურასა (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა, ს. ჟღენტი, ჟ. დიუმეზილი, ირ. ასათიანი, გ. კარტოზია...) და თანამედროვე ლაზურ მეტყველებაში დაფიქსირებული საერთოქართველური ზმნური ძირები; ლაზური ვარიანტები შეპირისპირებულია ქართული სალიტერატურო ენისა და სხვა ქართველური ქვესისტემების მონაცემებთან.

წიგნი შედგება შესავლის, ორი თავისა და ძირითადი დასკვნებისაგან. თან ერთვის დანართი. ნაშრომის ძირითადი ტექსტის მოცულობაა 250 გვერდი. ნასრომს ერთვის დანართი (260 გვერდი).

შესავალში განხილულია თემის აქტუალობა, კვლევის მეცნიერული სიახლე, პრაქტიკული ღირებულება, ლაზური მეტყველების კვალიფიკაციის შესახებ გამოთქმული თვალსაზრისები.

I თავი შედგება სამი პარაგრაფისაგან. პირველ პარაგრაფში წარმოდგენილია საკითხის შესწავლის ისტორია. გაანალიზებილია ეტიმოლოგიური ლექსიკონებში წარმოდგენილი მასალა (არნ. ჩიქობავა, გ. კლიმოვი, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. მ. ჩუხუა); ასევე ცალკეულ მკვლევართა(გ. კარტოზია, ნ. ქუთელია, ირ. ასათიანი, ანტ. კიზირია, ნ. კიზირია, გ. როგავა...) სტატიებსა თუ მონოგრაფიებში გაანალიზებული ზმნური ძირები.

მეორე პარაგრაფი შეეხება ბგერათცვლილებების კანონზომიერებებს ლაზურში. განხილულია ბგერათშესატყვისობების საკითხთან დაკავშირებით არსებული განსხვავებული მოსაზრებები (არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, გ. მაჭავარიანი, მ. ჩუხუა, ტ. ფუტკარაძე...).

მესამე პარაგრაფში მოცემულია საერთოქართველური ზმნური ძირების სისტემური ანალიზი. შესწავლილია, ერთი მხრივ, სპეციალურ ლიტერატურაში გაანალიზებული ლაზური ზმნური ძირ-ფუძეები, მეორე მხრივ კი ისეთი ზმნური ფორმები, რომლებიც ცოცხალ მეტყველებაში გამოიყენება, თუმცა არ არის ასახული სამეცნიერო გამოკვლევებში. სულ გაანალიზებულია 262 ერთეული.

II თავი სამ პარაგრაფს მოიცავს; პირველ პარაგრაფში დახასიათებულია ლაზურის ზმნის მწკრივთა სისტემა არნ. ჩიქობავას მიხედვით. ავტორი არნ. ჩიქობავასეულ ვარიანტს მიიჩნევს მისაღებად.

მეორე პარაგრაფში განხილულია ლაზურის ზმნის მწკრივთა სისტემა გ. კარტოზიას მიხედვით.

ლაზური ზმნების ფორმაწარმოების შესაძლებლობის წარმოსაჩენად მესამე პარაგრაფში ნაჩვენებია ჭარ- ზმნური ძირისგან ნაწარმოები ყალიბები; უღლების სრული პარადიგმა (დანართში ცხრილების სახით მოცემულია ყველა შესაძლო ზმნური ფორმა).

ძირითად დასკვნებში წარმოდგენილია კვლევის შედეგები. ლაზურში არსებული ზმნური ძირ-ფუძეები ძირითადად საერთოქართველურია: დასტურდება როგორც სალიტერატურო ქართულში, ასევე სხვა ქართველურ დიალექტებში; ვლინდება ისეთი ფორმებიც, რომლის შესატყვისი სალიტერატურო ენაში არ ჩანს, თუმცა დაცულია კილოებში.

გაანალიზებული ზმნური ძირ-ფუძეები ლაზურში ცვლილების მიხედვით დაყოფილია სამ ჯგუფად:

1. ს.ქართვ. ზმნური ძირ-ფუძეები უცვლელია სიტყვათა 22%-ში (ო-ბოდ-უ „ბოდ-ავ-ს"; ო-გ-აფ-ს „ა-გ-ებ-ს"; ო-დგ-იმ-უ „და-დგ-მა-ა"; ო-რგ-აფ-უ „და-რგ-ვ-ა"; ო-წილ-უ „მო-წილ-ვ-ა"; მო-წონ-ს „მო-ს-წონ-ს"...);
2. ს.ქართვ. ძირ-ფუძეები შეცვლილია სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების საფუძველზე – 36% (ი-ნგორ-ს „გორ-ავ-ს"; რდ-აფ-ს „ზრდ-ი-ს"; ზუმ-უფ-ს „ზომ-ავ-ს"; ყორ-ოფ-ს „უ-ყვარ-ს"; წირ-უფ-ს „წურ-ავ-ს"...);
3. ს.ქართვ. ძირ-ფუძეები სახეცვლილია ბგერათშესატყვისობის საფუძველზე – 42% (ო-ბონ-უ „ბან-ა"; თას-უფ-ს „თეს-ავ-ს"; ჭარ-უნ-ს „წერ-ს"; ჭკომ-უნ-ს „ჭამ-ს"; ჯუგ-უ-ნ „ს-ძაგ-ს"; ო-ნჩურ-უ „ცურ-ვ-ა"...).

ლაზურში ზმნური ყალიბების წარმოება არსებითად სალიტერატურო ქართულის იდენტურია. ძირითადად მსგავსია ყალიბების მაწარმოებელი აფიქსებიც (ი-, უ-, ა-(<ე),ო- (<ა) პრეფიქსები).

მწკრივთა რაოდენობა ლაზურში სალიტერატურო ქართულთან შედარებით მეტია; დასტურდება როგორც ს.ქართვ. მწკრივები, ისე დიალექტური, სპეციფიკური ზმნური ფორმებიც. კერძოდ, გამოიყოფა -კონ სუფიქსით ნაწარმოები პირობითის ფორმები, მეშველზმნიანი ფორმები. თავისებურება დასტურდება ცალკეულ მწკრივთა

წარმოებაშიც. ზმნური აფიქსები (თემატური სუფიქსები, პირისა და რიცხვის ნიშნები, მწკრივთა მაწარმოებელი აფიქსები, სავრცობი, ზმნისწინები...) ძირითადად საერთოქართულია.

ლაზურში ზმნურ ფუძეთა სტრუქტურა, ასევე, ზმნის ფორმაცვალება უმთავრესად საერთოქართველურ კანონზომიერებებს გვიჩვენებს. ამ მხრივ არსებული განსხვავება მეორეულია, დიალექტური განვითარების შედეგი.

დანართში წარმოდგენილია: 1. გაანალიზებულ ლაზურ ზმნურ ძირთა საძიებელი, 2. ავტორის მიერ სხვადასხვა ლაზურ სოფელში (სარფი, გონიო...) ჩაწერილი დიალექტური ტექსტები, 3. ჰარ- ზმნური ძირისგან ნაწარმოები ფორმების სრული პარადიგმა.

Annotation

Iasha Tandilava's thesis for a Doctor's Degree analyses verbal roots and stems affirmed in the Laz language, which are common with general Kartvelian languages. The work displays common Kartvelian verbal stems that are registered in the special literature (N. Mari, I. Kipshidze, Arn. Chikobava, S. Jgenti, G. Dumezil, Ir. Asatiani,G. Kartozia ...) as well as in the Laz language; Laz versions are compared with Georgian literary language and other Kartvelian subsystem findings.

The thesis for the doctor's degree consists of introduction, two chapters and a summary. The whole work comprises 250 pages.

The introduction covers the topicality of the theme, scientific novelty of the research, its practical value and different opinions on the qualification of the Laz Language.

Chapter I consists of three paragraphs. The first paragraph deals with the history of the subject study. It gives the analyses of etiological vocabularies (Arn. Chikobava, G. Klimov, H. Fenrich, Z. Sardjveladze, M. Chachua) articles and monographs of different scientists (G. Kartozia, N. Kutelia, Ir. Asatiani, Ant. Kiziria, N. Kiziria, G. Rogava...).

The second paragraph refers to the regularity of interrelations of sounds in the Laz Language, and gives the different views concerning the subject (Arn. Chikobava, G. Rogava, G. Machavariani, M. Chukhua, T. Futkaradze...).

The third paragraph gives the analyses of Kartvelian verbal roots. The thesis on the one hand presents Laz verbal roots and stems analyzed in special literature and on the second hand the verb forms used in everyday speech, which nevertheless are not covered in the scientific researches. All in all are analyzed 262 units.

The second chapter comprises thee paragraphs; the first paragraph gives the characterization of the system of verbal series according to Arn. Chikobava. The writer of the thesis considers Arn. Chikobava's version to be most eligible.

The second paragraph gives the system of verbal series according to G. Kartozia.

The third paragraph displays the patterns derived from the verb Char; the complete paradigm of the conjugation (appendix in the form of tables is giving all possible verbal forms).

Basic conclusions present the research results. Verbal roots and stems used in the Laz Language are of Georgian origin. This is confirmed in Georgian literature as well as in dialects; it is revealed in the forms that have no equivalent in the literary language, though they are kept in dialects.

Analyzed verbal roots and stems in the Laz Language are divided into three groups according to the changes they undergo:

1. Common Georgian roots and stems remain unchanged in 22% of words (ო-ბოდ-უ „ბოდ-ავ-ს"; ო-გ-აფ-ს „ა-გ-ებ-ს"; ო-დგ-იმ-უ „და-დგ-მა-ა"; ო-რგ-აფ-უ „და-რგ-ვ-ა"; ო-წილ-უ „მო-წილ-ვ-ა"; მო-წონ-ს „მო-ს-წონ-ს"...);

2. Common Georgian roots and stems undergo changes due to different phonetic processes in 36% of words (ი-ნგორ-ს „გორ-ავ-ს"; რდ-აფ-ს „ზრდ-ი-ს"; ზუმ-უფ-ს „ზომ-ავ-ს"; ყორ-ოფ-ს „უ-ყვარ-ს"; წირ-უფ-ს „წურ-ავ-ს"...);

3. Common Georgian roots and stems are changed on the basis of the regularity of interrelations of sounds in 42% of words (ო-ბონ-უ „ბან-ა"; თას-უფ-ს „თეს-ავ-ს"; ჭარ-უნ-ს „წერ-ს"; ჭკომ-უნ-ს „ჭამ-ს"; ჯუგ-უ-ნ „ს-ძაგ-ს"; ო-ნჩურ-უ „ცურ-ვ-ა"...).

Formation of verbal patterns in Laz language is generally identical with the patterns used in the literary Georgian. Affixies forming the patterns are basically similar (ი-, უ-, ა- (<ე),ო- (<ა) prefixes).

The number of series in the Laz Language exceed the number of series in literary Georgian; are confirmed common georgian series, as well as dialectual and specific verbal forms. Namely conditional forms and auxilary verb forms formed with the help of con- suffix. Some peculiarities are registered while forming some particular series. Verbal affixes (the atrical suffixes, signs of person and number, affixes forming the series, prefixes ...) basically are of common Georgian origin.

The structure of the roots of Laz verbs, as well as the changes of the verb displays the regularity of characteristic common to Kartvelian languages. In this respect the existing difference has a secondary nature; it is the result of dialectical evolution.

Appendix presents the vocabulary of analyzed roots of Laz verbs and the texts gathered by the author of the thesis in different Laz villages.

შესავალი

ლაზურის ადგილი ქართველურ ენობრივ სამყაროში

ქართველურ ენობრივ სივრცეში ლაზურ მეტყველებას ისტორიულადაც და თანამედროვე ვითარების მიხედვითაც ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. ლაზური მეტყველება ქართველური ენობრივი სისტემის ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ ლაზებს საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და კულტურულ ველში უხდებოდათ ცხოვრება, მათი ენობრივი ფსიქოლოგია ქართველურს არ გასცილებია; ლაზურზე, როგორც ქართველური ენობრივი სისტემის ნაწილზე, ბოლო ხუთი საუკუნის განმავლობაში მოძალებულმა თურქულენოვანმა ენობრივმა სამყარომაც ვერ შეძლო გავლენის მოხდენა. გარდა იმისა, რომ ლაზურმა თავისთავადობა არ დაკარგა, მან, უცხო ენობრივ-კულტურულ სივრცეში მშობლიურისგან იზოლაციაში მოხვედრილმა, არაერთი არქაული ქართული ელემენტი შეინარჩუნა. ეს კი ქართველური ენობრივი სისტემის ისტორიაზე მომუშავე ქართველოლოგებს საშუალებას აძლევს, სისტემაში მომხდარი ცვლილებები სათანადოდ გააანალიზონ. ამასთან, ვერ ვიტყვით, რომ ეს შესაძლებლობა – ლაზურის მონაცემთა ჩართვა ქართველური ენობრივი სისტემის კვლევაში – დღემდე სრულადაა გამოყენებული. შესაძლოა ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ ქართველოლოგთა ნაწილი ლაზურს ცალკე ენად მიიჩნევს. მაგალითად, ისეთი კვალიფიციური მკვლევარი, როგორიც გ. კარტოზია იყო, ლაზურს დამოუკიდებელ ენად თვლიდა. ბოლო ხანებში გამოქვეყნებული მისი საინტერესო ნაშრომი ასეა დასათაურებული: „ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში“ (თბილისი, 2005); თუმცა ნაშრომის მიხედვით არ ჩანს, სისტემის თვალსაზრისით რა განასხვავებს ლაზურს თუნდაც მეგრული მეტყველებისაგან.

ქართველური ენობრივი სისტემის კვლევას თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართველ და უცხოელ ქართველოლოგებს ამ კუთხით უზარმაზარი სამუშაო აქვთ ჩატარებული. ერთ-ერთ მთავარ პრობლემად თავიდანვე გამოიკვეთა ქართველურ ქვესისტემათა კვალიფიკაციის საკითხი; კერძოდ:

გამოითქვა მოსაზრება, რომ საერთოქართველურ ენას ჯერ გამოეყო სვანური და ქართულ-ზანური, შემდეგ კი ქართულ-ზანური განცალკევდა ქართულ და ზანურ

ენებად (გ. დეეტერსი). მომდევნო ეტაპად ვარაუდობენ ზანურის დაშლას ლაზურ და მეგრულ ენებად (გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე, ტ. გუდავა, გ. კარტოზია...)

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, საერთო ქართველურს ჯერ გამოეყო ზანურ-სვანური და ქართული, შემდეგ კი ზანურ-სვანური დაიშალა ზანურ (მეგრულ-ჭანურ)[1] და სვანურ ენებად. აქ არსებითია ორი ფაქტორი: ერთი მხრივ, შენიშნულია ზანურისა და სვანურის მეტი სიახლოვე, მეორე მხრივ, მეგრული და ჭანური (ლაზური) ერთ ენობრივ ერთიანობად არის წარმოდგენილი, რაც, არნ. ჩიქობავას და სხვა მკვლევართა ნაშრომების გარდა, ლაზურის ზმნურ ძირ-ფუძეთა ჩვენეული ანალიზითაც მტკიცდება.

ტ. ფუტკარაძის აზრით (საკითხის ისტორიისათვის ვრცლად იხ. ფუტკარაძე 2000; ფუტკარაძე 2005; გვანცელაძე 2006), ქართველური ენობრივი სამყარო მოიცავს ერთ ისტორიულ ენასა და რამდენიმე ქართველურ დიალექტურ ჯგუფს; კერძოდ: ქართველთა სამწიგნობარო ენა - სასულიერო მწერლობის ენა (ე.წ. ძველი ქართული ენა) ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ კოინეს; ქართული სამწიგნობრო ენის თანამედროვე ვარიანტი და ქართველური დიალექტური მეტყველებანი (ლაზურ-მეგრული, სვანური, მესხური, ქართლ-კახური, რაჭული, ჰერული, ფხოური...) უშუალო გაგრძელებაა საერთო ქართველურისა და ისტორიული სამწიგნობრო ენისა; შესაბამისად, ნაკლებსარწმუნოა მოსაზრება, რომ ქართული სალიტერატურო ენა ეფუძნება ქართლურს, კახურს, ან სხვა რომელიმე ერთ ქართველურ კილოს.

ოდითგანვე ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში მცხოვრები და ქვეყნის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლის შემსრულებელი ერთ-ერთი ძირითადი ქართველური ტომის - ლაზების (იგივე ჭანების) მიმართ საუკუნეების განმავლობაში გამოვლენილმა ნაკლებმა ინტერესმა, სამწუხაროდ, არსებითი ზეგავლენა მოახდინა მათი გარკვეული ნაწილის ქართველთაგან ეროვნულ გაუცხოებაზე. ეს უფრო ეხება საქართველოს საზღვრებს მიღმა დარჩენილ ისტორიულ ტერიტორიებს, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში დარჩენილი ლაზთა (ჭანთა) მცირე ნაწილზეც საბჭოთა პერიოდში გარკვეული უარყოფითი ზეგავლენა ხდებოდა, კერძოდ, საბჭოთა პერიოდში ერთადერთ კომპაქტურად დასახლებულ სოფელ სარფში მცხოვრებთა ერთი ჯგუფი (ახალგაზრდები) სპეციალურად გაგზავნილ იქნა ქ. ლენინგრადის

[1]ლაზურ-მეგრულისაღსანიშნავად გამოიყენებააგრეთვე: `კოლხური" (გ. როზენი, ა. შანიძე, კ.დანელია...).

„ნაციონალურ უმცირესობათა“ სასწავლებელში, ე.წ. მუშფაკში, თითქოს ლაზები საქართველოში იყვნენ "ეროვნული უმცირესობანი". მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის დროს მეცნიერები ხაზგასმით წარმოაჩენდნენ ლაზების განსაკუთრებულ წვლილს ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და აღმშენებლობის საქმეში, XV-XVI საკუკუნეებში ოსმალეთის მიერ ლაზეთის მიტაცების შემდგომდროინდელი ისტორია, ყოფა და კულტურა ჩვენში ძალზე სუსტად და ზედაპირულადაა შესწავლილი.

საქართველომ 1877-78 წლების ომის შედეგად მიღებული ქართული (/ლაზური) ტერიტორიების ის მცირე ნაწილიც დაკარგა, რომელიც საბჭოთა წყობილების მიერ 1921 წლის 16 მარტს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში ოფიციალურად გაფორმებული ყარსის ხელშეკრულების მიხედვით შემოიერთა. ამის შემდეგ დაიწყო ასიმილირების მძიმე პროცესები. ძველ ქართველურ (ლაზურ) ტოპონიმიკას უცვლიდნენ სახელს, ლაზებით დასახლებულ ტერიტორიებზე შემოჰყავდათ არაქართველური (არალაზური) ეთნიკური ჯგუფები, იკრძალებოდა ლაზური ლაპარაკი, მახინჯდებოდა ისტორიული ფაქტები, რის შედეგადაც მივიღეთ ლაზების გარკვეული ნაწილის ეროვნული გაუცხოება და მშობლიურ ისტორიულ ფესვებისგან დაშორება. სამწუხაროდ, საერთო ქართული სივრცისგან ლაზთა დაშორების ტენდენცია დღესაც სტიმულირდება.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ლაზური (ჭანური) და მეგრული მეტყველებები სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა კვალიფიცირებული:

ზოგი მკვლევარი (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, შ. ბერიძე, გ. კარტოზია...) მათ დამოუკიდებელ ენებად მიიჩნევს, ზოგიც (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ა. კიზირია, გ. კლიმოვი, ზ. ჯორბენაძე...) ლაზურსა და მეგრულს ზანური ენის კილოებად განიხილავს. მკვლევართა ნაწილის (ტ. ფუტკარაძე, მ. ტაბიძე, თ. გვანცელაძე, რ. შეროზია, ა. ლომთაძე, ე. დადიანი...) აზრით კი არსებობს **ქართველთა ერთი დედაენა, რომლის სტანდარტული სახესხვაობებია მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო ენა** და მრავალრიცხოვანი ზეპირი ქართველური დიალექტები. წარმოდგენილი თვალსაზრისი აგრძელებს ძველი ქართველი მემატიანეების, მკვლევრებისა და საზოგადო მოღვაწეების (პ. ჭარაია, ი. ჯავახიშვილი, ი. ჭავჭავაძე, თ.

სახოკია, ა. წერეთელი. ი. გოგებაშვილი, ლ. ლოლუა, ს. ხუნდაძე, თ. ჟორდანია, წმ. ამბროსი ხელაია...) ხედვას.

ვფიქრობთ, **ლოგიკურიატრადიციული თვალსაზრისი**, რომლის თანახმადაც არსებობს ერთი ენა – ქართული ენა და ამ ენის დიალექტებია მეტ-ნაკლებად ერთმანეთს დაშორებული: მეგრული, ლაზური (ჭანური), სვანური თუ ქართლური, იმერული, აჭარული, თუშური და მრავალი სხვ., რამდენადაც მეგრელები, ლაზები, სვანებიქართლელებთან, იმერლებთან, აჭარლებთან, თუშებთან... **ერთადარიან ქართული სამწიგნობრო კულტურის შემქმნელნი** და ერთ ერს ქმნიან; მათი საშინაო სამეტყველო კოდებიც ერთი და იმავე ენის ნაწილებია, სახესხვაობებია, ტერიტორიული/კუთხური ვარიანტებია.

ფაქტია:

ქართული სალიტერატურო ენის (კულტურის) შექმნა-განვითარებაში თავიდანვე საქართველოს ყველა კუთხის მოღვაწენი იღებდნენ მონაწილეობა[2], ამიტომაც ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების მიმართება ყველასთვის ნათელია: მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობა მონაწილეობას იღებდა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში და მისი საშუალებით ეცნობოდა სასულიერო თუ საერო ქმნილებებს.

ძველი დროიდანვე ქართველთა დიალექტებით უწყვეტად მდიდრდებოდა სალიტერატურო ენა; კერძოდ, მეგრული, მესხური, ქართლური თუ იმერხეული თვისობრივად ერთნაირად იყო მასაზრდოებელი ხანმეტი ტექსტების, `ვეფხისტყაოსნის" თუ პეტრიწის შრომების ენისთვის. შესაბამისად, თანამედროვე სალიტერატურო ენა ვერ ჩაითვლება მხოლოდ ქართლ-კახურით საფუძველდებულად; **ამ თვალსაზრისით საინტერესოა არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი: ქართული სამწიგნობრო ენა შეიქმნა ზანური და სვანური დიალექტების მონაწილეობით** (ჩიქობავა 1948).

შდრ., აგრეთვე, ნ. მარის მოსაზრება:

„ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-განვითარებაში მონაწილეობას იღებდნენ: ქართლელები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ლაზ-ჭანები და სხვანი. საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურ ანუ მეგრულ,

[2]უდავო ფაქტია ისიც, რომ პირველი ერთ-ერთი უძველესი ქართული ტექსტი შექმნილია იოვანე ლაზის მიერ V საუკუნეში.

იმერხეულ და სხვა ტომთა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით, ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომისათვის" (ნ. მარი, 1905).

საქართველოში საბჭოთა იმპერიის გაბატონებამდე მეგრულ-ჭანურ და სვანურ ენობრივ ერთეულებს კილოებად აცხადებდნენ ქართველთა წინა თაობებიც და მეცნიერებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ლაზებს საუკუნეების განმავლობაში უცხოენობრივ გარემოში უხდებოდა ცხოვრება, მათი მეტყველება (მსგავსად მეგრულისა) არსებითად საერთოქართველურ ხაზს მიჰყვება; ლაზურის ფონემატური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური სტრუქტურები უმთავრესად ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული დიალექტების მსგავსია. ამას ადასტურებს ლაზურში არსებული საერთოქართველური ზმნური ძირ-ფუძეეები, ასევე მაწარმოებელი აფიქსები (პირისა და რიცხვის ნიშნები, თემატური სუფიქსები, ხმოვანი პრეფიქსები, მწკრივის ნიშნები...).

ნაშრომის აქტუალობა და მიზანი

ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ლაზური ზმნის ძირ-ფუმეეები, მათგან ნაწარმოები ყალიბები, ზოგადად ზმნური პარადიგმა სპეციალური შესწავლის საგანი აქამდე არ ყოფილა.

წიგნში ლაზური დიალექტის ზმნური ფორმები შედარებულია როგორც სალიტერატურო ქართულთან, ისე სხვა ქართველურ დიალექტებთან (მეგრული, სვანური, აჭარული, გურული, იმერული და სხვ). გამოვლენილია არქეტიპები, დამუშავებულია ლაზური ზმნური ყალიბები; გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ქართველ ენათმეცნიერთა (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, გ. კარტოზია...)მოსაზრებები ლაზურ მწკრივთა სისტემის შესახებ.

ნაშრომის მიზანია საერთოქართველური ზმნური ძირების შესწავლა სპეციალური ლიტერატურისა და თანამედროვე ლაზურ მეტყველებაში დაცული მასალის მიხედვით, ლაზური ვარიანტების შეპირისპირება სალიტერატურო ენისა და სხვა ქართველური ქვესისტემების მონაცემებთან. ნ. მარის, ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავას, ს. ჟღენტის, ჟ. დიუმეზილის, ირ. ასათიანის, გ. კარტოზიას მიერ შეგროვებულ-გამოცემულ ლაზურ

ტექსტებში ზმნური ძირ-ფუძეები საკმაო სისრულითაა წარმოდგენილი. ამის დასტურია ახლახან გამოცემული ლაზური ლექსიკონიც (ასათიანი 2012). თუმცა, ეტიმოლოგიური ხასიათის ნაშრომებში (ჩიქობავა 1938; ფენრიხი... 2000; ჩუხუა 2003) ხშირად ლაზურის მონაცემთა გრაფა შევსებული არ არის, რაც იმის ნიშანია, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. შემთხვევითი არ იყო, რომ არნ. ჩიქობავა თავისი ფუნდამენტური ნაშრომის („ჭანური გრამატიკული ანალიზი“) წინასიტყვაობაში წერდა: „ჭანური მეტყველების სრული სურათის მისაღებად ეს ტექსტები ოდნავადაც არ კმარა..., ყოველი ჭანური სოფლის მეტყველებას საგანგებო შესწავლა სჭირდება; მანამდის კი, სანამ ასეთი მასალები არ მოგვეპოვება, ღიად დარჩება არა ერთი საკითხი ჭანურის გრამატიკული სტრუქტურისა“ (ჩიქობავა 1938:XVI).

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადოქტორო ნაშრომში:

კრიტიკულადაა გააზრებული ლაზური დიალექტისა და ლაზების შესახებ სამეცნიერო ველში არსებული შეხედულებანი, რომელთა თანახმადაც ლაზური ე.წ. „ქართველური ენაა“; ჩვენ ვიზიარებთ ლოგიკურია **ტრადიციული თვალსაზრისი**, რომლის თანახმადაც არსებობს ერთი ენა – ქართული ენა და ამ ენის დიალექტებია მეტ-ნაკლებად ერთმანეთს დაშორებული: მეგრული, ლაზური (ჭანური), სვანური თუ ქართლური, იმერული, აჭარული, თუშური და მრავალი სხვ., რამდენადაც მეგრელები, ლაზები, სვანები ქართლელებთან, იმერლებთან, აჭარლებთან, თუშებთან... **ერთად არიან ქართული სამწიგნობრო კულტურის შემქმნელნი** და ერთ ერს ქმნიან; მათი საშინაო სამეტყველო კოდებიც ერთი და იმავე ენის ნაწილებია, სახესხვაობებია, ტერიტორიული/კუთხური ვარიანტებია

ხაზგასმულია, რომ ქართული სალიტერატურო ენის (კულტურის) შექმნა–განვითარებაში თავიდანვე საქართველოს ყველა კუთხის მოღვაწენი იღებდნენ მონაწილეობას[3], ამიტომაც ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების მიმართება ყველასთვის ნათელია: მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობა მონაწილეობას იღებდა

[3] უდავო ფაქტია ისიც, რომ პირველი ერთ-ერთი უძველესი ქართული ტექსტი შექმნილია იოვანე ლაზის მიერ V საუკუნეში.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში და მისი საშუალებით ეცნობოდა სასულიერო თუ საერო ქმნილებებს.

ნათქვამია ისიც, რომ ძველი დროიდანვე ქართველთა დიალექტებით უწყვეტად მდიდრდებოდა სალიტერატურო ენა; კერძოდ, მეგრული, მესხური, ქართლური თუ იმერხეული თვისობრივად ერთნაირად იყო მასაზრდოებელი ხანმეტი ტექსტების, `ვეფხისტყაოსნის" თუ პეტრიწის შრომების ენისთვის. შესაბამისად, თანამედროვე სალიტერატურო ენა ვერ ჩაითვლება მხოლოდ ქართლ-კახურით საფუძველდებულად;

მიუხედავად იმისა, რომ ლაზებს საუკუნეების განმავლობაში უცხოენობრივ გარემოში უხდებოდა ცხოვრება, მათი მეტყველება (მსგავსად მეგრულისა) არსებითად საერთოქართველურ ხაზს მიჰყვება; ლაზურის ფონემატური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური სტრუქტურები უმთავრესად ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული დიალექტების მსგავსია. ამას ადასტურებს ლაზურში არსებული საერთოქართველური ზმნური ძირ-ფუძეები, ასევე მაწარმოებელი აფიქსები (პირისა და რიცხვის ნიშნები, თემატური სუფიქსები, ხმოვანი პრეფიქსები, მწკრივის ნიშნები...).

წიგნის პრაქტიკული ღირებულება:

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ლაზური ზმნური ძირების თავისებურებების შესწავლასა და ლოგიკური პარადიგმის აგებას; ნაშრომი ასევე, გააადვილებს საერთოქართველური ზმნის სრული პარადიგმის გააზრებას.

კვლევის მეთოდები:

საკითხის შესწავლის პროცესში გამოყენებულია აღწერის, შედარება-შეპირისპირებისა და ანალიზის მეთოდები, ტექსტური მასალა, რომელიც ერთვის ნაშრომს, მოპოვებულია საველე მუშაობის შედეგად, ავტორის მიერ საქართველოსა და თურქეთში, ლაზებით დასახლებულ ტერიტორიებზე.

ნაშრომის აპრობაცია:

კვლევის თემატიკა, მიმდინარეობა, ძირითადი შედეგების ნაწილი ეტაპობრივად აისახა სამეცნიერო მოხსენებებსა თუ სტატიებში; ნაშრომის თემასთან დაკავშირებით გამოვაქცეყნეთ შემდეგი სტატიები:

1. **იაშა თანდილავა - ლაზეთის მკვიდრ ქართველთა (ლაზთა) ენობრივ-ეთნიკური იდენტობის საკითხები,** ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, I, 2012, გვ. 207-220; თანაავტორები: ტ. ფუტკარაძე, მ. ლაბაძე;
2. **იაშა თანდილავა - ლაზურის ადგილი ქართველურ ენობრივ სამყაროში,** ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, III, 2014.
3. **იაშა თანდილავა - საერთოქართველური ლაზური ზმნების პარადიგმა,** ჭოროხი, N 1, 2015, გვ. 73-84;

თავი I

საერთოქართველური ზმნური ძირები ლაზურში

1.1. საკითხის შესწავლის ისტორია

ლაზურის საერთო ქართველური ძირები საკმაოდ არის გამოვლენილი მეცნიერთა მიერ. ამ მიმართულებით პირველი ფუნდამენტური ნაშრომია არნ. ჩიქობავას ფუნდამენტური ნაშრომი „ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ (1938), რომელშიცდაწვრილებით გაანალიზებულია ის საერთოქართველური ძირ-ფუძეები, რომლებიც მეგრულ-ლაზურ კილოებსა და სალიტერატურო ქართულ ენაში გვხვდება.

ხსენებული ნაშრომის გარდა ლაზურში დადასტურებული საერთო-ქართველური ძირები არნ. ჩიქობავას განხილული აქვს თავის სხვა ნაშრომებშიც; მეცნიერი ლაზურის მონაცემებს აქტიურად იყენებდა სამეცნიერო კვლევების დროს. მაგალითად, 1964 წელს გამოცემულ წიგნში „ხუნძური ენა“ მას ხუნძურისთვის დამახასიათებელი თავისებურებები მეტი თვალსაჩინოებისათვის შედარებული აქვს სწორედ ლაზურის მონაცემებთან, კერძოდ, ზმნის პირიან ფორმათა ბრუნების შემთხვევებთან, რაც დასტურდება ლაზურ მეტყველებაში და უცხოა სხვა ქართველურ კილოთათვის, თუმცა ასეთი რამ ჩვეულებრივია მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ლაზური მასალის ანალიზის კუთხით ფასეულია გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოცემული გ. კლიმოვის ნაშრომი „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (რუსულ ენაზე). გ. კლიმოვის გარდა ქართველური ენა-კილოების თაობაზე რუსეთში არავინ წერდა, ამიტომ მისი ლექსიკონი რუსულენოვანი სამყაროსათვის დღესაც წარმოადგენს სამაგიდო წიგნს, თუმცა დღეს იგიმეცნიერული თვალსაზრისით მოძველებულია.

ქართულ ენაზე ქართველური კილოების შედარებითი ეტიმოლოგიური ლექსიკონი მომზადდა 1990 წელს ჰ. ფენრიხისა და ზ.სარჯველაძის მიერ სახელწოდებით: „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (1990). მიუხედავად იმისა, რომ მისი ავტორები არ ცნობენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის არსებობას და საერთო იბერიულ-კავკასიურ ლექსიკას ქართველურ ენა-კილოებში

ერთმნიშვნელოვნად ნასესხებად მიიჩნევენ, ხსენებული ლექსიკონი მაინც გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას საერთო ქართველური ძირ-ფუძეების თაობაზე.

აღსანიშნავია მ. ჩუხუას ნაშრომი „ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი“ (2000-2003). ამ ლექსიკონში გაცილებით უფრო ფართოდ არის განხილული ქართველური ენა-კილოების საერთო ლექსიკა და გამოთქმულია საკმაოდ საინტერესო ვარაუდები, რაც მთავარია,ავტორი შედარებისათვის იყენებს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკასაც.

მ. ჩუხუას ლექსიკონის პარალელურად 2000 წელს გამოიცა ასევე ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის”II გამოცემა. ამ ლექსიკონში შეტანილია ახალი მასალაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორებს (რომელთაგან ერთ-ერთი უკვე გარდაცვლილი იყო) ლექსიკონი ძველი მეთოდით აქვთ აგებული და იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობას კვლავაც უარყოფენ და ამიტომ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნაშრომი დროის მოთხოვნას ვერ პასუხობს.

ამ ლექსიკონების გარდა, საერთოქართველური ლექსიკა განხილული აქვთ სხვადასხვა მკვლევრებს (გ. კარტოზია, ნ. ქუთელია, ირ. ასათიანი, ანტ. კიზირია, ნ. კიზირია, გ. როგავა...) ცალკეულ სტატიებსა თუ მონოგრაფიებში, რომლებიც კონკრეტულად საერთოქართველურ ლექსიკას არ ეხება, თუმცა ჩვენთვის საინტერესო მაგალითები მოყვანილია საილუსტრაციოდ ან შედარებითი მასალის სახით.

მაგალითად, გ. კარტოზია წიგნში „ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში“ ყურადღებას ამახვილებს ისეთ საერთოქართველურ ფუძეებზე, როგორიცაა: დობა-, ლიმბ-, მჩინოჯ-, მწკილ-, მჯხ- და სხვა. ხსენებული ნაშრომის IV თავი ზუსტად ასეა დასათაურებული – „საერთო-ქართველური ლექსიკა ლაზურში“, ოღონდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გ. კარტოზიას საერთოქართველური ლექსიკიდან ცალკე არ გამოუყვია ზმნური ფუძეები. უნდა ითქვას ისიც, რომ მისეული ეტიმოლოგიები ამ ფუძეებისა მეტად საინტერესოა.

ნ. ქუთელიამ ლაზურში, კერძოდ მის სარფულ თქმაში, გამოავლინა რიგი ისეთი ფუძეებისა, რომლებიც საერთოა სხვა ქართველურ კილოებთან, მაგალითად: ჭყინტი, ტყუბი, ტატყალი და ა.შ. ამის თაობაზე საუბარია მის ცნობილ წიგნში „ლაზურის ფონემატური სტრუქტურა“ (2005).

გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ თურქეთში მცხოვრებმა ლაზებმაც გამოიჩინეს დიდი ინტერესი მშობლიური მეტყველების მიმართ.

1993 წელს მათ სტამბულში გამოსცეს ლაზურ-თურქული ლექსიკონი (ლაზურისთვის იყენებდნენ თურქულ ლათინურ გრაფიკას). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხსენებულ ლექსიკონში მოცემულია 8.000-მდე ლაზური სიტყვა ერთეული, მაგრამ ლექსიკონს სათანადო მეცნიერული აპარატი არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, მასში მოყვანილი ლექსიკური მასალა საინტერესოა, რადგანაც გვხვდება აქამდე ჩვენთვის უცნობი ლექსიკური ერთეულები, რომლებშიც დასტურდება საერთოქართველური ძირები.

ლექსიკონის ავტორები არიან ქ. სტამბულში მცხოვრები ისმაილ ბუჯაქლიში და ხასან უზუნჰასანოღლი. მათ შემდგომშიც რამდენჯერმე გამოსცეს ლაზურ-თურქული და თურქულ-ლაზური ლექსიკონები, რომელთაგან გამოირჩევა 25.000-სიტყვიანი დიდი ლაზურ-თურქული ლექსიკონი.

ამ ლექსიკონში მოცემულია ბევრი საერთოქართველური ძირ-ფუძე, რომელიც ლაზურშიც დასტურდება. თურქეთში გამოცემული ლექსიკონებიდან გამოირჩევა: ოსმან შაფაკ ბუიუქლუს, მუსტაფა ერდემის და სხვათა თურქულ-ლაზური და ლაზურ-თურქული ლექსიკონები, რომლებსაც უფრო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე მეცნიერული.

გარდა დასახელებული ნაშრომებისა, ჩვენს საკვლევ საკითხზე არსებობს მრავალი სტატია თუ გამოკვლევა, რომლებშიც ლაზური მასალა მოყვანილია საილუსტრაციოდ და, აქედან გამომდინარე, საინტერესოა ჩვენთვის.

1.2. საერთოქართველური და ლაზური (ზანური) ფონემატური სტრუქტურის მიმართების საკითხი

საერთოქართველური ზმნური ძირ-ფუძეების ანალიზისას აუცილებელია საერთოქართველურ ფონემებათა (როგორც თანხმოვნების, ასევე ხმოვნების) ცვლილებების/რეფლექსების გათვალისწინება. ქართველურ ქვესისტემათა ერთ ნაწილში (ლაზურში, მეგრულში, სვანურში) საერთოქართველური ფონემები უფრო

მეტი ცვლილებებითაა სხვადასხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი; კერძოდ, საერთოქართველური სამეტყველო ბგერები ზანურსა და სვანურში მეტწილად უცვლელია; შდრ.:

ს.ქართვ.	სალიტ.	მეგრ.-ლაზ.	სვანური
*ბ	ბ	ბ/მ/ფ	ბ/მ/ფ
*ფ	ფ	ფ	ფ
*პ	პ	პ	პ
*დ	დ	დ	დ
*თ	თ	თ	თ>/შთ
*ტ	ტ	ტ	ტ
*ძ	ძ>/ჯ	ჯ/ძგ	ჯ/ძგ
*ც	ც>/ჩ	ჩ/ცქ	ჩ (>ჰ)/ცქ
*წ	წ>/ჭ	ჭ/წკ	ჭ (>ჰ)/წკ
*ზ	ზ>/ჟ	ჟ>/ზ	ჟ>/ზ
*ს	ს>/შ	შ/სქ	შ/სქ
*ჯ	ჯ	ჯგ>/ძგ (E)	ჯგ>/ძგ (E)
*ჩ	ჩ	ჩქ>ცქ (E) / (რ) ცქ	ჩქ>/ცქ (E)
*ჭ	ჭ	ჭკ>წკ (E) / (რ) წკ	ჭკ>შკ/წკ (E)
*შ	შ	შქ>სქ (E)	შქ/სქ (E)
*გ	გ	გ	გ>/ჯ/ძ
*ქ	ქ	ქ	ქ>/ჩ
*კ	კ	კ	კ>/ჭ
*ღ	ღ	ღ	ღ
*ხ	ჴ/ხ	ქ/ხ	ჴ
*ყ	ყ	ყ>/G/0	ყ>/ჴ
*მ	მ	მ	მ/ლ
*ნ	ნ	ნ	ნ/რ
*რ	რ	რ (>ლ)/ჯ	რ (>მ)/ნ/ლ (შ)
*ლ	ლ	ლ>/რ/ (შ)	ლ(>E)/რ, მ (შ)
*E/ვ	E/ვ	ვ/მ/ზ	E/მ/ზ

(ჩუხუა 2000-2003:10-11).

სიტყვათა ერთ ნაწილში საერთოქართველური ფონემები - **ძ ც წ ზ ს** და **ჯ ჩ ჭ ჟ შ** თანხმოვნები და **ა ე** ხმოვნები – ბგერათშესატყვისობებს იძლევა. ლაზურში (ისევე როგორც მეგრულსა და სვანურ კილოებში) უფრო ხშირია ისეთი ფაქტები, როცა აღნიშნული საერთოქართველური ფონემები უცვლელადაა წარმოდგენილი.

ბგერათშესატყვისობების საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს:

არნ. ჩიქობავა ქართულ-ზანური შესატყვისობის შესახებ აღნიშნავდა, რომ სხვაობას იწვევს „არტიკულაციის ცვლა, წარმოების უკან გადაწევა". სპირანტ აფრიკატებში უფრო ადრე უნდა მომხდარიყო უკან გადაწევა, ვიდრე ხმოვნებში. კაც- > *კაჩ- >კოჩ-. გარდამავალი საფეხური თანხმოვნებში მომხდარი გარკვეული ცვლილებებით შემონახული აქვს სვანურს: ჭაშ ("ქმარი") < *კაჩ (ჩიქობავა 1942). მკვლევრის აზრით, ს.ქართვ. ***ს** :**ს** შესატყვისობა მეორეული ხასიათისაა და ქართულის ზეგავლენას მიეწერება.

გ. როგავა მიიჩნევს, რომ უძველეს ქართველურ დიალექტებში მომხდარა გარკვეული რიგის ფონეტიკური ცვლილებები - სისინა სპირანტ-აფრიკატთა არტიკულაციის უკან გადაწევა, ე. ი. სათანადო შიშინა სპირანტთა აფრიკატებში გადასვლა. ზანურში აგრეთვე **ე** და **ა** ხმოვნები გადასულია **ა** და **ო/უ** ხმოვნებში (როგავა 1962: 63). ის ფაქტი, რომ ზანურსა და სვანურშიც ქართულის მსგავსი რეფლექსები დასტურდება, გ. როგავამ ახსნა როგორც ბგერათშესატყვისობის დარღვევა. მკვლევარი მიიჩნევს, რომ არ იქნებოდა მეთოდოლოგიურად გამართლებული ბგერათფარდობათა ყოველი სახეობა ჩაგვეთვალა განსხვავებული ამოსავალი ფონემებისაგან მიღებულად.

მკვლევართა ნაწილი (**გ. მაჭავარიანი, კ. შმიდტი, გ. წერეთელი, მ. ქურდიანი...**) ვარაუდობს საერთოქართველურში სპირანტებისა და აფრიკატების სამი რიგის (წინა, შუა, უკანა) არსებობას. კერძოდ, ის ქართ. **ს**, რომელსაც ზანურსა და სვანურში შეესატყვისება **შ**, მომდინარეობს სხვა ბგერიდან, ხოლო ის ქართ. **ს**, რომელსაც ზანურ-სვანურში შეესატყვისება **ს**, მომდინარეობს განსხვავებული ბგერიდან. ამგვარი ვარაუდი **ს**-ს შესახებ დაუშვა ა. შანიძემ. შესატყვისობის ასეთი სისტემა შემდგომ აღადგინეს დანარჩენი სპირანტებისა და აფრიკატებისთვისაც (გამყრელიძე... 1965; მაჭავარიანი 1965).

ს.ქართვ.	სალიტ. ქართ.	მეგრ.-ჭან.	სვან.
*სI	ს	ს	ს
*სI	ს	შ	შ
*შI	შ	შქ	შგ

ამრიგად, ფუძეენაში ივარაუდება სისინა, სისინ-შიშინა და შიშინა რიგის სიბილანტური სპირანტები და აფრიკატები. ამათგან წინასიბილანტური რიგი ბგერათშესატყვისობის დონეზე ერთნაირ რეფლექსს იძლევა, შუა რიგი შესატყვისობას გვაძლევს, უკანა რიგის შესატყვისად კი თანხმოვანთკომპლექსია წარმოდგენილი. თანამედროვე ქართველურ ქვესისტემებში გვაქვს სისინა და შიშინა რიგები (მაჭავარიანი 2002:44-45).

ნაწილი მეცნიერებისა (**არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, მ. ჩუხუა**...) სისინა თანხმოვნების შემცველ სიტყვაფორმათა არსებობას მეგრულ-ლაზურ-სვანურში ქართულის გავლენით ხსნის: ან შეთვისებულია ქართულიდან, ან კიდევ ქართულის გავლენითაა სახეცვლილი. შესაბამისად, შეფარდება ქართ. **სისინა** : ზან. **სისინა** : სვან. **სისინა** მომდინარეობს შეფარდებიდან: ქართ. **სისინა** : ზან. **შიშინა** : სვან. **შიშინა**. მაგ.: ქართ. **თეს(ლ)** : ზან. **თას<თაშ** : სვან. **თაშ(E)** <**თეშ-E**, საერთოქართვ. **თეს-ლ**; ქართ. **სულ-(ად)** : ზან. **შურ-ო(თ)** : სვან. **სურ-უ<შურ-E** „ძალიან, სრულიად" (ჩუხუა 2000-2003).

მ. ჩუხუა ეყრდნობა გ. როგავას დებულებას შიშინა სიბილანტთა მეორეული გასისინების შესახებ ზანურსა და სვანურში, რადგან თვლის, რომ ენაში ყოველთვის მოქმედებს ამა თუ იმ ფონეტიკური პროცესის საწინააღმდეგო ტენდენცია (ჩუხუა 2000-2003:10).

ტ. ფუტკარაძის აზრით, მოვლენათა არაერთგვაროვანი ხასიათი შეიძლება ასე აიხსნას: ბგერათშესატყვისობის სახელით ცნობილი ბგერათმიმართების საფუძველი საერთოქართველურია: თანამედროვე ვითარების ანალოგიურად, საერთოქართველურშიც უნდა დავუშვათ სიტყვაფორმათა პარალელურობა (ამ მხრივ საინტერესო რევაზ აბაშიას მიერ დაძებნილი პარალელური ვარიანტები). ფაქტია, რომ თვისობრივი სხვაობა არ არსებობს ფუძეენისა და თანამედროვე ვარიანტების ფონემატურ სტრუქტურებს შორის, შესაბამისად, ე.წ. "არტიკულაციის უკან გადაწევაზე" საუბარი გაჭირდება.ბგერათშესატყვისობების სახელით ცნობილი მიმართებები (ა > ო, ს > შ, ც > ჩ...) ისტორიულად მომხდარი ფონეტიკური პროცესებია

და არა - მეტყველების უკან გადაწევით წარმოქმნილი რეფლექსები (ფუტკარაძე 2005; ფუტკარაძე, 2014).

ვფიქრობთ, საერთოქართველურისგან განსხვავებული ზანური რეფლექსები შედეგია რთული ფონეტიკური პროცესებისა. ერთი მხრივ, ეს პროცესები უნდა იყოს კომბინირებული ხასიათის, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ეს ნ. მარს ჰქონდა შენიშნული, მიღებული უნდა იყოს ენობრივი (დიალექტური) გავლენების შედეგად; შესაბამისად, უფრო ლოგიკური ჩანს ე.წ. ქართველური შესატყვისობების მიზეზი სხვა ფაქტორებში ვეძიოთ, ვიდრე „არტიკულაციის უკან გადაწევაში".

შდრ.: მეგრულ-ლაზური და სვანური კილოების მსგავსი ვითარება დასტურდება სხვა დიალექტებშიც: გვხვდება ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტების როგორც სისინა (იდენტური), ისე შიშინა ეკვივალენტები. ქართული დიალექტური ლექსიკაც მეტ-ნაკლებად ცხადყოფს საერთო წარმომავლობისა და იდენტური აგებულების ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტების მონაცვლეობას; მაგ.:

ძ > ჯ: ამოვძირკვე > ამოვჯირკვე...

ც > ჩ: გაბეცება > გაბეჩება (კახ., ჯავახ.); ფარცხვა > ფარჩხვა (ლეჩხ.)...

წ > ჭ: წნეხა >ჭნეხა (გურ, აჭარ.)...

შესატყვისობის დონეზე თანხმოვანთა მიმართება სისტემის სახით ჩამოყალიბდა მეგრულ-ლაზურში, დანარჩენ დიალექტებში კი სუსტად ვითარდება. მოვლენათა არაერთგვაროვანი ხასიათი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას:

„საკუთრივ რომელიმე დიალექტისათვის არაკანონზომიერი ფონეტი-კური პროცესიც საერთოქართული პოტენციის გამოვლინებაა... ის, რაც ამჟამად ცალკეული ფაქტების სახით დაჩნდება მავან დიალექტში, შესაძლოა ისტორიულად ყოფილიყო მისთვის დამახასიათებელი ან შემდგომ გახდეს მისი ფონეტიკური იერ-სახის განმსაზღვრელი" (ჯორბენაძე 1998: 150).

1.3. ლაზურში დამოწმებული საერთოქართველური ზმნური ძირების ანალიზი

გამოქვეყნებული ლექსიკონების მიხედვით წარმოვადგენთ ლაზურში გამოვლენილისაერთოქართველური ზმნური ძირების ძირითადი ნაწილის ანალიზს სათანადო საილუსტრაციო მასალის ჩვენებით. საერთოქართველური /ქართული მასალა დალაგებულია ანბანთრიგზე.

1. *ბ- (ს.ქართვ.) : ბ-/მბ- (ლაზ.)

გოწო-(ო)-**ბ**-უფ-ს	აბამს
გოწო-**ბ**-უ-ნ	აბია (ჰკიდია) კედელზე
გელო-**ბ**-უ-ნ	აბია (ჰკიდია) ადამიანს
ნო-**ბ**-უ-ნ	აბია (მიკიდებულია)
მო-**ბ**-უ-ნ	აბია (ზურგზე აბია)

ს.ქართვ. **ბ**- ძირს ლაზურში (აგრეთვე მეგრულსა და სვანურში) შეესატყვისებაა **ბ**-. ლაზ. **ბმ**- მიღებულია **მ**-ს განვითარების შედეგად.

ლაზ.: გოწო-**ბ**-უმ-უ „დაბმა"

მეგრ.: **ბ**-უმ-აფ-ა „ბმა"

სვან.: ლი-**ბ**-ემ „დაბმა".

ლაზური მასალა გამოავლინა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 250), მეგრული – პ. ჭარაიამ (ჭარაია 1918: 192). ***ბ**- ძირი ს.ქართვ. ფუძე-ენის დონეზე აღადგინა კ.შმიდტმა (შმიდტი 1962: 95).

ბმა/მიბმა/დაბმა მნიშვნელობები ლაზურში გადმოიცემა აგრეთვე **მეკი(რ)უ** „შეკვრა" ზმნით: ბაკის ფუჯი **ნოკირს**„ბოსელში ძროხა **აბია**". ამ კონსტრუქციაში **„ნოკირს"** ზმნას შეიძლება შეენაცვლოს „**ნობუნ**". შდრ.: ა მთხა იდი დო ჯას **ქონოკი(რი)** „ეს თხა, წადი და ხეზე მიაბი"; შქას ლივე(რ)-ი **მემობუნ** „წელზე დამბაჩა მკიდია". მოყვანილ წინადადებებში „მემობუნ" და „მემოკირს" ზმნათა მონაცვლეობა არ ხდება.

საილუსტრაციო მასალა: დაჩხირის კარდალა **ნობუტუ** (ასათ.) „ცეცხლზე კარდალი ჰკიდია"; ჯას **გელობუნ** გიდელი (ი.თანდ.) „ხეზე გიდელი კიდია"; ანკეცის **ჩხომი ნობუნ**(ი.თანდ.) „ანკესზე თევზი აბია"; „ხელილ, მუ **ელოგობუნ,** სო ძირი ჰემ გამპარა

(მარი, 103) „ხელილ რა გიბია, სად ნახე ის გამპარა“; დაღის ვორე შქას ლივეი მემობუნ(ი.თანდ.) „ტყეში ვარს, წელზე დამბაჩა მაბია“; ცხენიშ კაპულას მოვობი დო ოხოიშა ქომოვიღი (ჩიქ. II, 105, 26)„ცხენს ზურგზე მოვაბი და სახლში მოვიტანე”.

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: გოწო-(ო)-ბ-უფ-ს„აბამს” – ნ-ი-ბ-ე-ნ „დაბმა შეიძლება”.

2. *ბ-: ბ-

გ-ო-ბ-უფ-ს	ასხამს
ქო-გო-ბ-უ	დაასხა
ნ-ი-ბ-ე-ნ	ისხმება
ბ-უმ-ა	დასხმა
ბ-უმ-ერ-ი	დასხმული

სალიტერატურო ქართულში შესატყვისი ძირი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის. მეგრული, ლაზური და სვანური ზუსტად შეესატყვისებიან ერთმანეთს:

ლაზ.: ქოგო-ბ-უ „დაასხა”; ბ-უმ-ა „დასხმა”

მეგრ.: ო-ბ-უნ-ს „ასხამს”, ბ-უმ-ა „დასხმა”

სვან.: ხ-ა-ბ-ა „ასხია”; ლი-ბ-ემ „დასხმა”

მეგრული ლა ლაზური ფორმები არნ. ჩიქობავამ შეაპირისპირა (ჩიქობავა 1938: 250-251). სვანური ეკვივალენტი გამოავლინეს გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 47) და გ. მაჭავარიანმა (მაჭავარიანი 1965: 15).

საილუსტრაციო მასალა: ნანაქ ბერე ბონუფტასში ჩუჩუნა წკაი გობუფს

"დედა ბავშვს ბანვის დროს ნელთბილ წყალს ასხამს"

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: გო-ბ-უფ-ს„ასხამს” – ნ-ი-ბ-ე-ნ „ისხმება”.

3. *ბად- : ბად-

დო-ბად-უ	დაუბადა (გაუჩინა)
დო-ბად-აფ-უ	დააბადებინა (გააჩენინა)
დო-ბად-უ	დაბადება (გაჩენა)
დო-ბად-ო-ნა	დაბადების ადგილი

ს.ქართვ. **ბად-** ძირის შესატყვისად სვანურში ივარაუდება **ბდ-** (<*ბად-). მეგრულში**ბად-** ძირი უცვლელად დასტურდება: და-**ბად**-უ „დაბადა", ა-**ბად**-ენ-ს „ჰბადებს"...

ბად- ძირი საერთოა ქართველური ენა-კილოებისათვის.***ბად-** არქეტიპი ს.ქართვ. დონეზე აღადგინა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1980: 178). მისი ძირითადი მნიშვნელობაა „გაჩენა". შდრ. ბიბლიის სახელწოდება **დაბადება** „შექმნის, გაჩენის" გაგებით იხმარება.

საილუსტრაციო მასალა: ბიჭი ბერე **დიბადაში**, ოხოიშ კოჩიქ ტუფელი ისთომერს „ბიჭი ბავშვი რომ დაიბადება, სახლის კაცი თოფს გაისვრის" (ნ. თანდ., სარფი) იგბალონი **დობადერი** რე-ნა, მთელი დულიას მეგამწყვენ (ნ. თანდ., სარფი) „იღბლიანი თუ დაიბადე (იღბლით დაბადებულს) ყველა საქმეში ხელი შეგეწყობა".

საინტერესოა ლაზ. **დობაწიწი**, რომელიც„ჭიაყელას" აღნიშნავს: **დობა** „მიწა"+ წიწი „ჭიაყელა").

4. *ბან- : ბონ-

ი-**ბონ**-უ	დაიბანა
მე-**ბონ**-უ	მოუბანა (მობანა)
დუ-**ბონ**-უ	დაუბანა
ო-**ბონ**-უ	ბანა
ბონ-ერი	დაბანილი
ნო-**ბონ**-ე	ნაბანავები

ლაზური და მეგრული **ბონ-** ს.ქართვ. **ბან-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება. ლაზურში (ათინურში) დასტურდება **მბონ-** ვარიანტი, სადაც **მ** განვითარებულია (ჩიქობავა 1938: 255). ქართველური მასალა შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1895: 105).

***ბან-** არქეტიპს გ. კლიმოვი აღადგენდა ს.ქართვ. დონეზე. შდრ.: ***ბან-** აღდგენილია ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის (ფენრიხი... 2000: 93).

საილუსტრაციო მასალა: ჭიტა ბერე მუკო **ბონა**, ეკო ირდენ (ხ. კახიძე, სარფი) „პატარა ბავშვს რამდენსაც დაბან, იმდენს გაიზრდება"; კოჩი მეხთუ ხე - პიჯი **დიბონუ** დო გიაშენი სუფრას ქოდოხედუ (ჰ. კახიძე, სარფი) „კაცი მივიდა, ხელ-პირი დაიბანა და საჭმელად სუფრასთან დაჯდა".

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: **ბონ**-უფ-ს „ბანს" – ი-**ბონ**-ე-ნ „დაბანა შეიძლება".

5.*ბარ- : ბორ-

ბორ-ბოც(ი)აფს	ბარბაცებს
ელ-ი-**ბორ-**ბოც-აფს	წაიბარბაცებს
ნა-**ბორ-**ბოც-ე-ნ	ებარბაცება
ა-**ბორ-**ბოც-ე-ნ	ებარბაცება
ბორ-ბოც-ა	ბარბაცა (ბორძიკა)

ბორ-/ბარ- ძირები შეაპირისპირა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1998: 8). ვ. ფენრიხი დაზ. სარჯველაძე ვარაუდობენ **ბარ-** ძირის შესაძლო კავშირზე **ბარ-კ-** ფუძესთან (ფენრიხი...2000).

საილუსტრაციო მასალა: ე კოჩის მციქა ნენა **ნაბორბოცენ** (ი. თანდ., სარფი) „იმ კაცს ცოტა ენა ებორძიკება“; სინ ღომან ეკო შვეეტი ქი, ნენათი **მეგაბორცეტუ** დო კუჩხეთი (ი. თანდ., სარფი) „შენ გუშინ იმდენი დაგელია, რომ ენაც გებორძიკებოდა და ფეხიც“.

6. *ბარც- : ბოჩ-

ო-**ბოჩ-**უბორძიკი

მე-გ-ა-**ბოჩ-**ა-სწაგებორძიკოს

ბარც-**ფორმას შეესატყვისებაბორჩ-**, რომელმაც მეგრულში მოგვცა**ფორჩ-** (**ფორჩ-**უ-აძირსდაცემა”), ხოლო ლაზურში **რ-**ს გაუჩინარებით მივიღეთ**ბოჩ-**.

ს.ქართვ. დონეზე***ბარც-** ფორმა აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 58).

საილუსტრაციო მასალა: წოხლე იწკედი, გზას ვარ **მეგაბოჩას** „წინ გაიხედე, გზაზე არ წაგებორძიკოს”.

7. *ბგერ- : ბგარ-/მგარ-

ი-მგარ-ს	ტირის
უ-მგარ-ს	უტირის
ა-მგარ-ს	უტირებს
მგარ-ა	(ხმით) ტირილი, გლოვა
ო-მგარ-უ	ტირილი
მგარ-ინ-ერი	ტირილით, ატირებული

ლაზ. **ბგარ-** ს.ქართვ. ***ბგერ-** ძირის კანონზომიერი ფონემური შესატყვისია. მგარ-<**ბგარ- ბ<მ** შენაცვლების გზით (ჟღენტი 1953: 99). მეგრულში წარმოდგენილია **გარ-/მგარ-/წგარ-** ვარიანტებით.

მეგრული და ლაზური ძირები შეაპირისპირა ჰ. შუხართმა (შუხართი 1902ნ: 393). ს.ქართვ. არქეტიპი გამოავლინა გ. კლიმოვმა და იგი აღადგინა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის (ЭСКЯ: 49).

საილუსტრაციო მასალა: ნანაქ დიდო **იმგარუ** (ჩიქ.,III ტ. 480, 17) „დედამ ბევრი იტირა"; **იმგარი,იმგარი** დო გუი დოგაბოშანენ (ნ. ლაზიშვილი, ს. სარფი) „იტირე, იტირე და გულზე მოგეშვება"; მუში ჯუმა ნა მოხთუ, გელინი – მუშიქ **იმგარს** (გ. კარტ.,22, 18) „მისი ძმა რომ მოვიდა, მისი - რძალი ტირის".

8. *ბეკ- : ბაკ-/ბეკ-

ბაკ-ინ-აფ-ს	აბაკუნებს
ო-**ბაკ**-ინ-აფ-ს	აბაკუნებს
ბაკ-ინ-ი	ბეკნა
ბაკ-ინ-ერ-ი	ბაკუნით
ბეკ-ნუ-ფს	აბაკუნებს
ო-**ბეკ**-ნუ	ბეკნა

მიუთითებენ, რომ ქართულ **ბეკ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ბაკ-**. ***ბეკ-** არქეტიპი აღდგენილია ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის (ფენრიხი 1985: 26). დაძებნილი არ არის ლაზურში არსებული **ბაკ-/ბეკ-**ძირი.

საილუსტრაციო მასალა: ემთის ფუჯუფე **ბაკინეი, ბაკინეი** ნიტეს (რ. ბექირაში, სარფი) „აღმართში ძროხები ბაკუნ-ბაკუნით მიდიოდნენ"; ბეეს მეშვაბღუ დო ჟურ კუჩხეფეშ **ობაკინუ** ქოგიოჭკუ (სარფი) „ბავშვი გაბრაზდა და ორივე ფეხით ბაკუნი დაიწყო"; ხორცი კაიხეშა **დობეკნი** და ცომის ქომეშადვი (ლ. ქერეჯოღლი, სუფსა) „ხორცი კარგად დაბეკნე და ცომში მოაქციე".

9. *ბენ-/ბინ-/ბნ- : მბინ-

მბინ-უფ-ს	აბნევს
ი-**მბინ**-ე-ნ	იბნევა"
ოკო-**მბინ**-უ	შებნევა
უკი-**მბინ**-უ	შეიბნა
ქოკვა-**მბინ**-უ	შეებნია
მბინ-უ-ა	ბნევა

***ბენ-/ბინ-/ბნ-** არქეტიპი აღდგენილია ქართულ-ზანური ერთიანობის დონისათვის (ფენრიხი... 2000), მაგრამ ამ და სხვა მკვლევრებს არა აქვთ დაძებნილი საკუთრივ ლაზური ძირი **-მბინ-**. ს.ქართვ. ძირთან შედარებულია მხოლოდ მეგრული **ბინ-** ძირის შემცველი მასალა.

საილუსტრაციო მასალა: სედეფი **ოკომბინუ** „ღილის შებნევა“; „ბეეს სედეფი ვარ **ოკვამბინენ**, მეხთი დო **ქოკუმბინი**“ (ი. თანდ., სარფი); ბავშვი ღილს ვერ შეიბნევს, მიდი და შეუბნიე“; კაი იყვაში მედალი **მეგიმბინაფან** (ი. თანდ., სარფი) „კარგად თუ მოიქცევი, მედალს დაგაბნევენ“.

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: **მბინ**-უფ-ს „აბნევს” – ი-**მბინ**-ე-ნ „იბნევა”.

10. *ბერ- : ბარ-

ბარ-უფ-ს	უბერავს
ბარ-ს	ბერავს
უ-**ბარ**-ს	უბერავს
მეშო-**ბარ**-ს	შემოუბერავს
ი-**ბარ**-უ	გაიბერა
ო-**ბარ**-უ	ბერვა

ლაზური და მეგრული **ბარ**- კანონზომიერად შეესატყვისება **ბერ**- ძირს. სვანურში წარმოდგენილია **ბLლ**- ძირი (**რ:ლ** ცვლილება ბაგისმიერი **ბ**-ს გავლენით აიხსნება (მაჭავარიანი 1965: 14).

მეგრ.: **ბარ**-უ-ა „ბერვა”

სვან.: ლი-**ბLლ**-ე „ბერვა”

ამ ზმნას ქართულში -**ავ**- სუფიქსი დაერთვის, ხოლო მეგრულსა და ლაზურში მას სუფიქსი არა აქვს: **ბარ**-ს „**ბერავ**-ს”, უ-**ბარ**-ს „უ-**ბერ**-**ავ**-ს”.

მეგრული ფორმები გააანალიზა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1895: XII, 103, 107); ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა ჰ. შუხართმა (შუხართი 1902ბ: 399); სვანური – ჰ. ფოგტმა (ფოგტი 1939: 133). ს.ქართვ. დონეზე ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე აღადგენენ ***ბერ-** ძირს. შდრ. თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი აღადგენენ ***ბLრ-** არქეტიპს (გამყრელიძე... 1965: 250).

საილუსტრაციო მასალა: სარფის კალაშიქ დიდო **ბარს** (სარფი)„სარფში ქარი სულ უბერავს“; მზოღაკელე იხი **ბარტუ** (ჩიქ. შრ. III, 436-28) „ზღვიდან ქარი ქროდა“; ჯაში ოხოის მთელი იეიშენ **ამობარს** (ი. თანდ.); „ხის სახლში ყველა ადგილიდან შემოუბერავს“.

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: **ბარ**-უფ-ს „უბერავს“ – ი-**ბარ**-ე-ნ „ქრის“.

11.*ბერწკ-/ბრწკ- : წიპ-

ო-**წიპ**-ოლ-უ	ბწკენა
ი-**წიპ**-ოლ-ს	იბწკენს
მე-**წიპ**-ოლ-ს	ბწკენს
წიპ-ოლ-უ	დაბწკინა
წიპ-ოლ-ე(რ)-ი	ნაბწკენი

ს.ქართვ. ***ბერწკ-/ბრწკ-** ძირის შესატყვისად მოხმობილია მეგრ. **ბიწკ-/ბისკ-** (<***ბირწკ-/ბირსკ-**) და სვან. **პინწკე-** (<***ბენწკE -<*ბერწკე-**) (ფენრიხი... 2000: 105). მეგრული ფორმები გააანალიზა გ. კლიმოვმა და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა ***ბწკEნ-** (ЭСКЯ: 56); სვანური მასალა შეუდარა ზ. სარჯველაძემ (ფენრიხი... 1990: 105). შესადარებლად არ არის წარმოდგენილი ლაზურის მონაცემები. ვფიქრობთ, ს.ქართვ. **ბრწკ-** არქეტიპს შეიძლება შევუდაროთ ლაზური **წიპ-** ძირი: მე-**წიპ**-ოლუ - უბ(ი)წკინ-ა.

საილუსტრაციო მასალა: კულანის ღვაეფე მთელი **წიპოლეი** უღუტუ (ი. თანდ.) „გოგონას ლოყები სულ ნაბწკენი ქონდა“; ა ქუალი მთელი **წიპოლეი** მოთ რენ? (ი. თანდ.) „ეს პური რატომ არის სულ ნაპწკენი“.

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: **წიპ**-ოლ-უფ-ს „ბწკენს“ – ი-**წიპ**-ოლ-ე-ნ „ბწკენა შეიძლება“.

12. *ბეც- : პაც-

მე-ვ-ო-**პაც**-ურ	ვეპარები
პაც-უა /**პაც**-ინ-ი	მიპარვა ფეხის წვერებზე
დო-**პაც**-ინ-ე(რ)-ი	მიპარვით, ფეხაკრეფით
მე-**პაც**-ინ-ე(რ-)ი	მიპარვით

ს.ქართვ. *ბეც- ძირის შესატყვისად დასახელებულია მხოლოდ მეგრული **ბაც-** და ის აღდგენილია ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის (ЭСКЯ: 51); ლაზური და სვანური ეკვივალენტები არ არის დამოწმებული.

ვფიქრობთ, თანამედროვე ლაზურ მეტყველებაში დადასტურებული **პაც-** ს.ქართვ. *ბეც- ძირის შესატყვისია და მეგრული მასალის გვერდით უნდა განვიხილოთ.

საილუსტრაციო მასალა: **დოპაცინეი, დოპაცინეი** მეონტკობი (ი. თანდ., სარფი) „მიწაზე მიკრული (ფეხის წვერებზე) მივეპარე"; მკიაფუს **დოპაცინეი** ნონტკობაგინონ (ი. თანდ., სარფი) „მელას ფეხაკრეფით უნდა მიეპარო".

13.*ბიდე–: დვინ-

დვინ-უფ-ს ანთებს

ი-**დვინ**-ე-ნ ინთება

ნუ-**დვინ**-უ აანთო, მოუკიდა

მე-**დვინ**-უ ანთება

მე-**დვინ**-ე-ი ანთებული

შდრ. ქართ. **ბდე–** ძირს შეესატყვისება ლაზ. **დვ-** (<*ბდვ-) და სვან. **ბდ-/ბიდ-** (*ბიდე).

ს.ქართვ. **ბიდე–** ძირს შეესატყვისება სვან. **ბდ-/ბიდ-**, აგრეთვე შეიძლება ვივარაუდოთ ლაზ. **დვინ-**.

სვანური მასალა შეაპირისპირა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1985: 26); ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1998: 10). ს.ქართვ. დონეზე ***ბიდე–** არქეტიპი აღადგინა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1985: 26).

საილუსტრაციო მასალა: გუის დაჩხირი **მედვინე(რ)ი** გოვულურ (ი. თანდ., სარფი)„გულში ცეცხლმოკიდებული დავდივარ"; **მევუდვინი**„მოვუკიდე, ავანთე".

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: **დვინ**-უფ-ს „ანთებს" – ი-**დვინ**-ე-ნ „ინთება".

14. *ბინ- : მბინ-

ო-**მბინ**-უწყურვილი

ა-**მბინ**-უმოსწყურდა

ს. ქართვ. ***ბინ-** ძირსკანონზომიერადშეეფარდებასვან. **ფჰნ- (<*ბინ-)**: ხ-ა-**ფჰნ** /ხ-ა-**ფჰნ**-დ-ეს„სწყურია".

***ბინ-** არქეტიპიაღადგინამ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 247).

საილუსტრაციო მასალა: კოჩის წკაი **ამბინუ** (ი. თანდ.) „კაცს წყალი მოსწყურდა".

15. *ბოდ- : ბოდ-

ა-**ბოდ**-ენ	აბოდებს
ი-**ბოდ**-ენ	ბოდიალობს
ბოდ-უფ-ს	ბოდავს
ო-**ბოდ**-უ	ბოდვა
ნო-**ბოდ**-ერი	ნაბოდვარი

ლაზური **ბოდ-** ძირი კანონზომიერი შესატყვისია ს.ქართვ. ***ბოდ-** ძირისა. მეგრ. **ბორდ-** ძირში **რ** განვითარებულია. ლაზურ-მეგრული მასალა შეაპირისპირა და **-ბოდ** არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 52).

ლაზურში ო-**ბოდ**-უ იხმარება ორი მნიშვნელობით: 1. ღამე ძილში ბოდვა, 2. არევ-დარევა.

საილუსტრაციო მასალა: კოჩი ჩქიმის ენკათა ნჯირი უღუნქი, ნა ინჯირას, მუ ნა დღალეი ნოხვენე უღუნ სეი მთელიშეი **აბოდენ** (ი. თანდ.) „ჩემს კაცს ისეთი ძილი აქვს, რომ დაიძინებს, რაც დღისით გააკეთა ღამე ყველაფერს აბოდებს"; აღანი მებარგეი ოდას მთელი შეი **ბოდეი** რენ (ნ. ლაზიშვილი, სარფი) „ახალ დალაგებულ ოთახში ისევ ყველაფერი არეულია" (ნაბოდიალებია)

ბოდ- ძირიდან მიღებულ დამოუკიდებელ სიტყვას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები **ბოდ-**უფ-ს „ბოდავს" - ი-**ბოდ**-ე-ნ „ბოდვა შეიძლება" .

16.*ბრ- : ბურ-

ბურ-ბალ-აფ-ს	ბრუნავს
ი-**ბურ**-ბალ-ს	იბრუნვის
ა-**ბურ**-ბალ-ს	ებრუნვის
უ-**ბურ**-ბალ-ს	უბრუნავს
ო-**ბურ**-ბალ-აფ-ს	აბრუნებინებს
ი-**ბურ**-ბალ-ე-ნ	იბრუნება
ნა-**ბურ**-ბალ-ს	უბრუნდება

სიტყვათა შეპირისპირებისას მოხმობილია მხოლოდ მეგრული ბურ- ძირისგან ნაწარმოები ფორმები. არ არის მოყვანილი ლაზური **-ბურ-**.

ს.ქართვ. **-ბრ-** და მეგრ. **ბურ-**ძირთა ურთიერთმიმართების ანალიზისას აუცილებელია ლაზური მასალის გათვალისწინება.

საილუსტრაციო მასალა: „ვარ გიღუნნა იგბალი, იქთი დო **იბურბალი** (შერაფედინ ოზმან. ლაზ. ფოლ.) „თუ არა გაქვს იღბალი იტრიალე და იბრუნე"; მოტორიშ ფერვანესთური **იბურბალს** (კ. ნუმანაშვილი, სარფი) „მოტორის პროპელერივით ტრიალებს".

ლაზ.**ბურ-** ძირიდან მომდინარეზმნას აქვს აქტიური და პასიური ფორმები: უ-**ბურ**-ბალ-ს „ეხრუნება" - ი-**ბურ**-ბალ-ე-ნ „იბრუნება".

17. ზრდღ- : ბურდღ-ბუნდღ-

ბუნდღ-ილ-უნ-ს	ბრდღვნის
მ-ბუნდღ-ილ-უ	მობდღვნა
დუ-ბუნდღ-ილ-უ	დაუბდღვნა
ა-ბუნდღ-ილ-უ	ბდღვნა შეძლო
ი-ბუნდღ-ილ-უ	დაიბდღვნა
იბუნდღ-ილ-ე-ნ	იბრდღვნება
ო-ბუნდღ-ილ-უ	ბდღვნა

ლაზური და მეგრული **ბურდღ-** ზუსტად შეესაბამება ს.ქართვ. **ბურდღ-** ძირს.**ბუნდღ-** <**ბურდღ-** (ასიმილაციით) (ჟღენტი 1953: 124).

ლაზური **ბურდღ-ა** და მეგრული **ბურდღ-ა** ერთმანეთს შუდარა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 101). ქართველური ზმნური ძირები შეაპირისპირა გ.კლიმოვმა და ქართულ-ზანური ერთიანობისათვის აღადგინა ***ბრდღნ-/*ბურდღა-** არქეტიპები (ЭСКЯ: 54-55).

საილუსტრაციო მასალა: მკიაფუქ ქოთუმე **დობუნდღოლუ** დო ოჭკომუ (ასათ. 132, 1) „მელიამ ქათამი დაბრდღვნა და შეჭამა"; ხამითე მეჭკიუ ქოთუმე, **ბუნდღოლუფს**, ფალუფს (ასათ. 68, 14) „დანით დაკლა ქათამი, ბრდღვნის, წმენდს".

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: **ბუნდღ-ოლ-უფ-ს** „ბრდღვნის" - **იბუნდღ-ოლ-ე-ნ** „იბრდღვნება".

18.*ბრეწ-/ბრიწ- : ბრაწ-/ბრუწ-/ბრიწ-

ბრიწ-უფ-ს	ფხრეწს
უ-ბრიწ-უფ-ს	უფხრეწს

დუ-ბრუწ-უ დაუფხრიწა

ა-ბრიწ-ე-ნ ეფხრიწება

ო-ბრუწ-უ/ო-ბრიწ-უ ფხრეწა

ბრაწ-ელი დაფხრეწილი

ფხრეწ-ფხრიწ- ფორმებში **ხ** განვითარებულია. შდრ. ძველ ქართ: **განვფრიწე.**

ს.ქართვ. **ბრეწ-/ბრიწ-** ფორმათა შესატყვისია ლაზ. **ბრაწ-/ბრიწ-.** ხოლო მეგრული **ბურიწ-** კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **ფრიწ** (*<ბრიწ-) ფორმას. **უ** ხმოვანი განვითარებულია.

ს.ქართვ. მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 255). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის არადგინა ***ფრიწ-** არქეტიპი (ЭСКЯ: 190).ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძემ ს.ქართვ. დონეზე ***ბრეწ-/ბრიწ-** აღადგინეს (ფენრიხი... 2000: 119).

საილუსტრაციო მასალა: ა სარფული ბოზოფე იაზმა **ობიწუშენი** (გ. კარტ. 209, 20) „ეს სარფელი გოგონები მანდილის დამხევლები (დამფრეწველები) არიან"; მოსა მციქა **დომიბრუწუ,** ბაბას ქომოვოჭაფაბ (ი. თანდ. ლექსი - მზოღამ ბირაფა)„ბადე ცოტა დამეფრიწა, მამას მოვაკერინებ"; **ბრიწერი** შეეფეთე-ნა გულუტი კოჩი... (ჩიქ. II, 100, 20)„დაფრეწილი რამეებით რომ დადიოდე კაცი... "ჩაფულა ნა **დობრუწას,** მეტკომელან (ჩიქ. I, 123, 7) „ჩაფულა (ფაჩუჩი) რომ დაიხევა, აგდებენ"; მაკვანდე **ბრიწელი** დოლოქუნუთენ დგიტუ (ი. თანდ. სარფი) „მათხოვარი დაფხრეწილი ტანსაცმლით იდგა".

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: **ბრიწ-უფ-ს** „ფხრეწს" – **ი-ბრიწ-ე-ნ** „იფხრიწება".

19.*ბურდ- : პორდ-

პორდ-უფ-ს ბურდავს

ი-პორდ-ენ იბურდავს„იწეწავს"

დუ-პორდ-უ აუბურდა

ო-პორდ-უ ბურდვა

პორდ-ინ-ერ-ი აბურდული

მო-პორდ-ე(რ)ი ნაბურდი

ქართ. **ბურდ-** ძირის კანონზომიერ შესატყვისად წარმოდგენილია სვანური **ბ̌ერდ-** (სარჯველაძე 1987: 18).

ბურდ- ძირის კანონზომიერ შესატყვისად განვიხილოთ ლაზური **პორდ-** ძირი: **ბურდ-> პორდ-.**

საილუსტრაციო მასალა: მებარგეი ოხოის ბეე ნა ნაშქვა მოხთაში მთელი შეი **პორდინეი** რენ (ი. თანდ.)„დალაგებულ სახლში ბავშვს რომ დატოვებ, რომ მიხვალ, ყველაფერი აბურდული იქნება“; ა სკანდული **პორდინერი** რენ (ი. თანდ. სარფი) „ეს ზანდუკიაბურდულია”.

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: **პორდ-უფ-ს„ბურდავს”- ი-პორ-დ-ე-ნ „იბურდება”.**

20. *ბურძგ- : ბუძგ-

ბუძგ-უფ-ს	ბურძგნის
ი-ბურძგ-ინ-ე-ნ	იბურძგნება
ა-ბუძგ-ინ-ე-ნ	ებურძგნება
ბუძგ-ინ-ი	ბურძგნა
ო-ბუძგ-ინუ	ბურძგნა
ბუძგ-ინერი	გაბურძგნული

ქართ. **ბურძგ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. **ბუძგ-** და მეგრ. **ბუძგ-.** მეგრ. **ბიძგ-** ფორმაში მომხდარია **უ>ი** ცვლილება.

მეგრული და ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 256); გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა ***ბურძგ-** და ***ბურძგა-** არქეტიპები. ჰ. ოენრიხი და ზ. სარჯველაძე ***ბურძგ-** ძირს ს.ქართვ. დონეზე აღადგენენ (ფენრიხი... 2000: 125-126).

ლაზურში **ბუძგ-**იში ორი მნიშვნელობით იხმარება:

1. ყინითენ **ბუძგუნ„**ყინვისგან კანკალებს”;

2. თომა **ბუძგინეი** „თმა აბურძგნული”.

ლაზურში **კანკალ-** ფორმაც იხმარება: კოჩიქ ყინითენ **კანკალაფს;** შქურინათენ **ბკანკალაფტი.**

საილუსტრაციო მასალა: კოჩი ყინითენ **ბუძგუნ** (ი. თანდ., სარფი)„კაცი სიცივით იბურძგნება"; ჭიტა ბიჭეფეს თიშ თომა მთელი **ბუძგინეი** უღუნან (ი. თანდ., სარფი)„პატარა ბიჭებს თავზე თმა მუდამ აბურძგნული აქვთ".

ბუძგ- ძირისგან ნაწარმოებ ზმნას აქვს აქტიური და პასიური ვარიანტები: **ბუძგ-უფ-ს**„ბურძგნის"- **ი-ბურძგ-ინ-ე-ნ** „იბურძგნება".

21. *ბღლარძ- : ღლანძ-/ბღლაძ-

ი-ღლანძ-ე-ნ	იბღლაძება
ა-ღლარძ-ე-ნ	ებღლაძება
ნა-ღლარძ-ე-ნ	ებღლაძება
ო-ღლანძ-უ	ბღლაძუნი

აღნიშნული ზმნა შენიშნული აქვს სულხან-საბას: **ბღლარძუნი** „უგვარო ჭიდებით თამაშობა". **ბღლარძ-** ძირის მეგრული შესატყვისი **ღურჯ-/ღურქ-** მიღებული უხდა იყოს ***ბღლორჯ-** არქეტიპისაგან (ო-ს უ-ში გადასვლით თავკიდური ბ-ს ზეგავლენით) . შეგდეგ **ბღ** კომპლექსი გამარტივდა და **ლ**-ც დაიკარგა.

მეგრული მასალა გააანალიზა ზ. სარჯველაძემ (სარჯველაძე 1985: 23).

ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში არ არისმოყვანილი შესაბამისი ლაზური ძირი. ჩვენი აზრით, ქართ. ***ბღლარძ-** ძირის შესატყვისად უნდა განვიხილოთ ლაზური **(ბ)ღლანძ-/(ბ)ღლარძ-: ო-ღლანძ-უ/ო-ღლა(რ)ძ-უ, ღლანძ-ინ-ი ...**

საილუსტრაციო მასალა: არ მენდაწკედი მუთხანი **ბაჭქათურლი იბღლანძენ** (ი. მემიშიში, სარფი)„ერთი შეხედე, რაღაც სხვანაირად იბღლაძუნება"; ჭე ბიჭი, კულანის მო **ნოღლანძე**, ნასთეი (ი. ბაიარაქტარი, ვიწე)„ე ბიჭო გოგონას ნუ ებღლაძუნები, მიეთამაშე".

22.*გ- : გ-

ო-გ-აფ-ს	აგებს
უ-გ-აფ-ს	უგებს
ქონა-გ-ე-ენ	მოგებებია
ი-გ-აფ-ე-ნ	იგება
მე-გნ-აფ-უ	გაგება
მო-გ-აფ-უ	მოგება

გ- ძირისაგან ნაწარმოები ფუძეები მეგრულთან შედარებით ნაკლებ-პროდუქტიულია ლაზურში, ხოლო სვანურში თითო-ოროლა ფუძე თუ დასტურდება (იხ. ფენრიხი... 2000: 69).

ქართ. მო-გ-ებ-ა, მეგრ. მო-გ-აფ-ა, ლაზ. მო-გ-უ, ასევე, ქართ. წა-გ-ება, და-გ-ებ-ა, ა-გ-ებ-ა, გა-გ-ებ-ა (მო-გ-აფუ) და შესაბამისი მეგრ. და ლაზ. ფორმები ერთმანეთს დაუკავშირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:257).

***გ-** არქეტიპი აღდგენილია ს. ქართვ. დონეზე (ფენრიხი... 2000: 130). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 57).

საილუსტრაციო მასალა: მციქა ეიშა ნა იდეს, არ ეის დიკა ხაჩქეი **ქონაგეს** (კარტ. 17, 37)„ცოტა რომ წავიდნენ, ერთ ადგილას დათესილი ხორბალი შეხვდათ“; გზას ჯოღოი **ქონაგეენ** (კარტ. 4, 16-77)„გზაზე მაღლი შეხვედრია“; ლაზეფე ზამანის ფაა **მოგაფუშენი** კურბეთიშა ნიტეენან (ხ. კახიძე, სარფი)„ლაზები ძველად ფულის **მოსაგებად** საშოვარზე მიდიოდნენ“.

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: ო-გ-აფ-ს „აგებს“ – ი-გ-აფ-ე-ნ „იგება“.

23.*გაბ-/გბ- : გუბ-/გიბ-/ჯიბ-

გუბ-უფ-ს ხარშავს

გიბ-უმოხარშა

უ-**გიბ-**უ მოუხარშა

გიბ-ინ-ი ხარშვა

ო-**გიბ-** უ მოხარშვა

უ-**გიბ-**უ მოუხარშავი

***გაბ-** ძირის ზუსტი ფონემური შესატყვისი დასტურდება მეგრულში, ლაზურსა და სვანურში. ლაზ. **გუბ-/გიბ-/ჯიბ-** ფონეტიკური ვარიანტები დამახასიათებელია ათინურისათვის (ჩიქობავა 1936: 26). ქართველური მასალა შეაპირისპირა ვ. თოფურიამ (თოფურია 1926, 203). არნ. ჩიქობავამ დაიმოწმა ათინური დიალექტის **ჯიბ-**ვარიანტი (ჩიქობავა 1938: 265-266). ***გაბ-/გბ-** არქეტიპი ს.ქართვ. ფუძე-ენის დონისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 58).

საილუსტრაციო მასალა: დაჩხიის **დობგიბუბთ** (ასათ. 71, N33, 3)„ცეცხლზე მოვადუღებთ“; ხუთ მაქვალი ქოდულუტახუფან, **დოგიბუფან**, ტუცა-ტუცა აია ქარტალეფეშ ჟინ ქოგიობაფან (ასათ. 75, 38-7, 8, 9)„ხუთ კვერცხს ჩაატეხენ, მოხარშავენ,

ცხელ-ცხელად ამ ფურცლებზე მოასხამენ"; კიშის ხომულა ლაზუტი **გიბეი** კაი იჭკომენ (რ. ქერეჯოღლი, სუფსა).

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: **გუბ-უფ**-ს „ხარშავს", **ი-გიბ-ე**-ნ„იხარშება".

24. *გაე-/გე- : გ-/ნგ-

ნუ-**გ**-ამ-ს/ნუ-**ნგ**-ამ-ს	ჰგავს
ნა-**ნგ**-უ	დაემგვანა
მე-**ნგ**-აფა	მსგავსება
მე-**ნგ**-აფინუ	დამსგავსება

ლაზურში წარმოდგენილია **გ-** (<*გე) ეზოგჯერ დასტურდება ქართ. **გვ-ან** და მეგრ. **გ-უნ-** ფუძის შესატყვისი ფუძეც: ნ-უ-მ-**გ-უნ**-ს / ნ-უ-მ-**გ-უმ**-ს (მარი 1919: 133) „ჩანს; ჰგავს".

ქართ. **გავ-/გვ-** და მეგრ. **გ**-ერთმანეთთან დააკავშირა ვ.თოფურიამ(თოფურია 1926:203); ლაზური **გ**-ძირი მოიხმო არნ.ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:258); სვანური **გუ**-ეკვივალენტი გამოავლინა კ. შმიდტმა (შმიდტი,1962: 99).

ს. ქართვ. ფუძე-ენის დონისათვის ***გაე/გე**–აღადგინეს ჰ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ (ფენრიხი... 2000: 133).

საილუსტრაციო მასალა: ა კულანი მთელი ნანამუშის **ნუნგაფს** (ი.თანდ., სარფი),,ეს გოგო სულ დედამისს ჰგავს"; ჩინიშ მილეთი ართიკართის **ნუნგაფან** (ხ. კახიძე, სარფი) „ჩინელები ყველანი ერთიმეორეს ჰგვანან"; მეხთი, იალის მენდაწკედი დო ქოძიროზ მუს **ნუნგაფ** (ჯ.აბულაძე, სარფი) „მიდი, სარკეში ჩაიხედე და დაინახავ, რას გავხარ".

25.*გარ- :გორ-

გორ-უფ-ს	ეძებს
გორ-უ-	ეძება
გორ-ა-ს	ეძებოს
ი-**გორ**-უ-ნ	იძებნება
გორ-ინ-ი	ძებნა
ო-**გორ**-უ	მოძებნა
ნო-**გორ**-ელი	ნაძებნი

გორ-ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ.-**გორ** და მეგრ.-**გორ**. როგორც ქართული, ისე მეგრული და ლაზური ძირების მნიშვნელობათა სხვაობა არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას ერთმანეთთან მათი დაკავშირებისათვის (ფენრიხი... 2000:74).

მეგრულიდა ლაზური ძირები ერთმანეთთან დააკავშირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:265). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *გარ-ძირი (ფენრიხი... 2000:74).

საილუსტრაციო მასალა: ნანაქ **გორუპტუ, გორუ, გორუ,** ვარ აძირუ, მციქაჩქვა **გორუ,** ეკულე ქოძირუ (ჩიქ.I.93,32) „დედა ეძებდა, ეძებდა, ეძებდა, ვერ ნახა, ცოტა კიდევ ეძება, მერე ნახა"; ვარ მყოროფ-ნა დოთქვი ბაშქა **დოზგორა** (ხალხ.ლექს., სარფი.)თუ არ გიყვარვარ, თქვი, სხვა მოვძებნო"; არ ბოზო **დოზგორათ,** ბიჭი ჩქინი ოჩილონი დიყუ (ჩიქ.II.30.8) „ერთი გოგო ვნახოთ, ჩვენი ბიჭი ცოლმოსაყვანი გახდა"; პაპული ჩქიმიქ ოღაღალუშენი კოჩი **გორუფს** (ი.თანდ., სარფი) „ბაბუაჩემი სალაპარაკოდ კაცს ეძებს".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: **გორ-უფ-ს** „ეძებს" -ი-**გორ**-ინ-ე-ნ „იძებნება".

26. *გუალ- : გულ-

გულ-უ-ნ	დადის (იარება)
გულ-ილ-აფ-ს	შემოივლის (გაივლის)
გულ-ულ-ი-თ	შემოავლეთ წრე შემოეხვიეთ
გულ-ვ-ა	სვლა (სიარული)
გულ-ინ-ი	სვლა

გუალ- ძირისგან წარმოქმნილი ცალკეული ფორმები გვხდება ძველ ქართულ სამწერლობო ენაში: **გუალე,** გარდავედ (გამოსვლ. 17.24 O); **გუალე** და მოვიქცეთ ჩვენდა (1. მეფეთა, 9, 5).

გ. კლიმოვმა ქართ. **გუალ-** ძირს დაუკავშირა სვანური **გუალ-** დას.ქართვ. დონეზე ***გუალ-** აღადგინა (ЭСКЯ: 61).

ასეთი შედგენილობის ძირი არ ჩანს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. ლაზურში მოვიძიეთ გ. კლიმოვის მიერ აღდგენილი არქეტიპი. ვფიქრობთ, ლაზურში დაძებნილი **გულ-/გუილ-** ძირი შეიძლება შეუდარდეს ს.ქართვ. ***გულ-** ძირს.

სვანურში წარმოდგენილი ძირი**გუალ-/გუალ-** ფორმები და ლაზური **გულ**-ვ-ა, ჩვენი აზრით, ქართ. ძირის კანონზომიერი შესატყვისიუნდა იყოს.

საილუსტრაციო მასალა: ანწი პატი ძაბუნობა **გულუნ** (ი. თანდ., სარფი)„წელს ცუდი ავადმყოფობა დადის"; გერმა კოჩი მწკუფის **გულუნ** (კ. კახიძე, სარფი)„ტყის კაცი ბნელში (სკვარამში) დადის"; არ ელახთი დო ონტულე **გუილ-ი** (ნ.ლაზიშვილი, სარფი) „ერთი ადი და ბოსტანი შემოიარე".

27. *გუას₁/გუს₁ :შვ-/შ-

შ-უ-ფ-ს	ქსოვს (წინდას)
ო-შ-უ	ქსოვა
ო-შვ-ალ-უ	ქსოვა (წინდის და სხვ.)
ო-შვ-ალ-ონ-ი	საქსოვი (დაზგა)
მ-შვა-ლუ	მქსოველი

გუას-/ქუს- ძირი გვხდება ძვ.ქართ. ტექსტებში: უკუეთუ დაქსოვო შჯდი ესე კოწოლო თავისა ჩემისაჲ **საგუასალსა** თანა (მსაჯ.16,13); ანუ **საქუსალსა,** ანუ ფესუსა შინა (ლევ. 13,48).

ზმნური ძირია **გუას-,** რომლის რედუცირებული ვარიანტია **გუს-.** შემდგომ **გუს- > ქუს-. გუს-** ფორმის შემდგომი რედუქციით ჩანს მიღებული ***გს.** არაკანონიკური **გს** კომპლექსი შეიცვალა **ქს** მიმდევრობით (თოფურია 1926: 209).

გს-/ქს- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ.-მეგრ. **რშ-** და სვანური **ჯიშ-** (გასარკვევია **ი**-ს წარმომავლობა):

მეგრ.: **რშ**-უ-ალ-ა „ქსოვა"

სვან.: ლი-**ჯიშ** „ქსოვა".

მეგრული და სვანური ფორმები გააანალიზა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 25), ლაზური ძირი დაამებნა ვ. თოფურიამ (თოფურია 1926: 209-210).

გ. კლიმოვმა ს.ქართვ. დონეზე აღადგინა ***გს₁-/გუს₁** ძირი. (შდრ. ფენრიხი 1990: 90).

ნანდიდი ჩქიმიქ კიშის შალის წინეკეფე **მიშუბტეს** (ი.თანდ., სარფი) „ბებია ჩვენ ზამთარში შალის წინდებს გვიქსოვდა"; მუ ვიქიმ დო წინეკი **ფშუმ** (ზელიხა, სარფი) „რას ვშვრები და წინდას ვქსოვ"; ნანა, არ კაი წინეკი **დომიშვი** (ი.თანდ.) „დედა, ერთი კაი წინდა მომიქსოვე"; ლაზეფექ პანტა მოსა **შუფან** (კ.ნუმანიშვილი, სარფი)„ლაზები სულ ბადეს ქსოვენ".

28.*გზ- : გზ-

გზ-ა	გზა
გზ-ალ-ა	სიარული (გზობა)
ო-გზ-ალონი	საგზაო
ა-გზ-ალი	გაეგზავნე
ი-გზ-ალი	წადი (გზას გაყევი)
ი-გზ-ალეენან	უმგზავრიათ (წასულან)

ლაზურში **გზ-ა** ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება **გზ-ა. გზ-ა-ლ-** ფორმაში **ლ** ფონეტიკური ჩანართია. გვხვდება როგორც სახელურ, ისე ზმნურ ფორმებში.

ქართ. **გზ-ა** და ლაზ. **გზ-ა** დააკავშირა გ. როზენმა (როზენი 1945: 33); დანარჩენი ლაზური და მეგრული სახელური და ზმნური ფორმები შეაპირისპირეს ა. ცაგარელმა (ცაგარელი 1880: 57) და ი. ყიფშიძემ (ყიფშიძე 1914: 395); სვანური შესატყვისი გამოავლინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1969: 26).

***გზ-**არქეტიპი საერთო ქართველური ფუძე -ენის დონეზე აღადგენენ ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე (ფენრიხი... 1990: 81). შდრ.: კლიმოვი 1998: 30. ი. მელიქიშვილი ***გეზ-/გზ-** არქეტიპს აღადგენს (მელიქიშვილი 1999); შდრ. აგრეთვე: ჩუხუა 2000: 104-105.

საილუსტრაციო მასალა: ანთეფე ჟუითი **იგზალეენან** (კარტ., 4, 22) „ამათ ორივეს ერთად უმგზავრიათ"; ბაბამუშიქ ჭიტა ბეეს **ოგზალონი** დუხვენუ (ი. თანდ., სარფი)„მამამისმა პატარა ბავშვს ოჭივარა გაუკეთა"; ნოდეიშკულე მთელი ოხოეფეშა **იგზალეს**(ი. ვანილიში, სარფი) „წადის შემდეგ ყველანი სახლებში წავიდნენ".

ლაზურში ო-**გზ**-ალ-ი-ს პარალელურად იხმარება აგრეთვე **ხთიმაფა**: ოგზალონი /ოხთიმონი „წასასვლელი".

29.*გონ- : გონ-/გონ-

ი-**ნგონ**-აფ-ს	იგონებს
მუ-ი-**ნგონ**-უ	მოიგონა
მუ-**ნგონ**-უ	მოუგონა
ი-**ნგონ**-ინ-ე-ნ	აგონდება
მო-**ნგონ**-უ	მოგონება
მო-**ნგონ**-ე(რ)ი	მოგონილი

ლაზური **გონ-**, მეგრული **გონ-** და სვან. **გონ-/გნ-** კანონზომიერად შეესატყვისება ქართ.**გონ-** ძირს. ლაზური და მეგრულიმასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ ჩიქობავა, 1938"262), სვანური ექვივალენტი დაძებნა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1987: 33). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია **გონ-** ძირი (ფენრიხი... 1990: 83) შდრ. გ. კლიმოვი ***გონ-** არქეტიპს ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგენს (ЭСКЯ: 63).

საილუსტრაციო მასალა: **ხოჯაქ** არ მცუდი **ქომუინგონუ**. „ხოჯამ ერთი ტყუილი მოიგონა"; **ია აშო ვარ იენ, მონგონეი** იყვენ (ო. ჯევაიში, სარფი)„ის ასე არ არის, მოგონილია".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები:**ი-ნგონ-აფ-ს**„იგონებს"-**ი-ნგონ-ინ-ე-ნ** „აგონდება".

30.*გორ- : ნგორ-/რგ-

ო-ნგორ-აფ-ს	აგორებს
ი-ნგორ-ს	გორავს
ი-ნგრ-იმინ-ს	გორაობს
ო-ნგორ-უ	გააგორა
ი-ნგრ-ინ-ე-ნ	შეიძლება გაგორდეს
ო-რგ-ინ-უ	გორვა

გორ- ძირისგან ნაწარმოები ფორმები დასტურდება ძველ ქართულში: ფრიად **გორვითა**, მრკ. 9, 26; რომელი **აგორვებდეს** ლოდსა (იგავნი 26; 27).

ს.ქართვ. **გორ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური და მეგრ. **გორ-**, ასევე სვან. **გერ- (<*გორ-)**. ლაზ. **ნგორ-** მიღებულია **ნ**-ს განვითარებით.

მეგრ.: **გორ-გოლ-უ-ა** „გორვა"

სვან.: **ლი-გერ-ან-ე** „გორვა"

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **ნ** თანხმოვნიანი ვარიანტი დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც: ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა **ვინგორები** მე მწირესა შინა ცოდვისასა (მამ. სწავლ. 261, 7-8).

ლაზური და მეგრული მასალა გააანალიზა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 263-264); სვანური შესატყვისი გამოავლინა ნ. მარმა (მარი 1911-14: III, 596). გ. კლიმოვმა ს.ქართვ. ფუძე-ენის დონეზე აღადგინა ***გორ-/გრ-** არქეტიპი (ЭСКЯ: 64).

საილუსტრაციო მასალა: დაღიშენ თხომუშ ჯაეფე რგიმონეი-რგიმონეი გელოვობღაფტით (ი.თანდ.) „ტყიდან თხემლის შეშა **გორვა-გორვით** ჩამოგვქონდა"; ღეჯი მთელი ტალახის **ინგორს** (იბრ. ჯევაიში, სარფი) „ღორი სულ ტალახში გორაობს"; ია ბიგა მტვეის **ინგორაფს** (ჩიქ. I, 125,12)„იმ ჯოხს მტვერში აგორებენ"; მჭაჭი ეფუთხუ დო ზენონას ჟინ **ონგორუს** ქიგიოჭკუ (ოკიტ. 53, 19) „ბუზი აფრინდა ზენონას ზემოთ გორაობა დაიწყო".

31.*გრახ- : ნგრიხ-

ნგრიხ-უფ-ს გრეხს

გო-**ნგრიხ**-უ გრეხა

მუ-**ნგრიხ**-უ მოუგრიხა

გუ-**ნგრიხ**-ეს გადაუგრიხეს (ხელები)

ო-**ნგრიხ**-უ გრეხა

გო-**ნგრიხ**-ერი გადაგრეხილი

ქართული **გრიხ-** ფორმის კანონზომიერი ექვივალენტია ლაზ. **ნგრიხ-** (<გრიხ; **ნ**-განვითარებულია), მეგრ. **გირახ-** (<*გრახ-). მეგრ. მასალა შეაპირისპირეს თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა (გამყრელიძე... 1965: 271); ლაზური ეკვივალენტი დაძებნა ზ.სარჯველაძემ (ფენრიხი1990: 85). ს.ქართვ. დონეზე აღადგინეს ჰ. ფენრიხმა და სარჯველაძემ (ფენრიხი... 2000: 150).

საილუსტრაციო მასალა: სუღუიში თოკი იქიფან, ოკულე კაი **დონგრიხუფან** დო კალათას ნუკიდაფან (ი. ვანილიში, ჰ. კახიძე; სარფი) ,,კანაფისგან თოკს აკეთებენ, მერე კარგად დაგრეხენ და კალათაზე მიაბამენ"; ეშქია ოჭოფეს, ჟურ ხეეფეთი გეიდე **ქომუგრიხეს** და თოკი ქოგოდვეს (ს. სარიძე, ს. სარფი) „ყაჩაღი დაიჭირეს, ორივე ხელები უკან მოუგრიხეს და თოკი დაადვეს"; ჯუმალეფექ ჭიტა ჯუმა **ნგრიხეი** თოკითენ კუიშა ქაგინჭეს (ლაზ. საუბრ.) „ძმებმა პატარა ძმა დაგრეხილი თოკით ორმოში ჩაუშვეს."

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: **ნგრიხ**-უფ-ს „ვგრეხ" -ი-**ნგრიხ**-ინ-ე-ნ„იგრიხება".

32.*გუზ- : გზ-/ზ-

ო-გზ-აფ-ს ანთებს

უ-გზ-აფ-ს უნთებს

ო-გზ-აფუ დაანთებინა

ო-გზ-აფ-აფ-ს ანთებინებს

ო-გზ-უ დანთება (აღგზნება)

გზ-ე(რ)ი დანთებული (აღგზნებული)

გზ- ძირი გვხდება ძველ წერილობით ძეგლებში: არა **აგზებდა** რისხვასა თჳსაა (ფსალმ. 77,38). დასტურდება „ვეფხისტყაოსანში": შამძისა ძირსა ჩამოხტა, ცეცხლი **დააგზო** კვესითა".

ლაზური **გზ-** ძირი კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **გზ**-ს და მეგრ. **რზ**-ს.ქართველური მასალა შეაპირისპირა გ. დეეტერსმა (დეეტერსი 1930: 61).***გზ-** ძირი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 62). ი. მელიქიშვილის აზრით, უნდა აღდგეს ***გუზ-/გზ-** ძირი. ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე არქეტიპად ასახელებენ ***გუზ-** ძირს (ფენრიხი2000: 155).

საილუსტრაციო მასალა: დაჩხი **გამოვოგზაფთ** მჭიფე ცხიკითენ (ჩიქ. 2, 75, 22)„ცეცხლს ვანთებთ წვრილი ფიჩხებით"; წკაი ქონოკიდაფან კარდალათენ კერმულის, თუდე დაჩხიი **ქონუგზაფან** (ჩიქ.1,147,10) „წყალს ჩამოკიდებენ კარდალით კერიაზე, ქვემოდ ცეცხლს შეუნთებენ"; დიდო დერდეფეში დაჩხიი **გომოგზუნ** (ხ.ნარაკიძე, სარფი) „დარდების ცეცხლი მაქვს შემონთებული".

გზ- ძირისგან მომდინარე ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: ო-**გზ**-აფ-ს „ანთებს"– ი-**გზ**-ინ-ე-ნ „ინთება".

33. *გურგე- : გურგ-/გირგ-

გურგ-ულ-აფ-ს გრგვინავს

გორგ-ინ-აფ-ს გრგვინავს

გირგ-ინ-ი გრგვინვა

გურგ-ულ-ი გრგვინვა

ო-გირგ-ინ-აფ-ს აგვრგვინვებს

გვხვდება ძვ. ქართულში: მაშინაგრგინდის ძრვითა მით სინაგანითა (აგებ. 159,1-2).

ლაზურ-მეგრული **გურგ-** კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **გურგე-** ძირს, სვანური წარმოდგენილია გურგე ფორმით:

მეგრ.: **გურგ**-ინ-ი „გრგვინვა"

სვან.: ლი-გურგე-ნი „ქუხილი"

მეგრული მასალა წარმოადგინა გ. როზენმა(როზენი 1845: 45), ლაზური და სვანური ეკვივალენტები დაძებნა გ. კლიმოვმა და ს.ქართვ. ფუძე-ენის დონეზე აღადგინა *გრგეინ-(ЭСКЯ: 64-65). ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე აღადგენენენ *გურგე- არქეტიპს (ფენრიხი... 2000: 157-158).

საილუსტრაციო მასალა: სირთეფეს ნა ხონცას დუნია **ოგირგინაბს** (შ. მემიშიში, სარფი)„მთებში რომ იქუხებს, ქვეყანა გრგვინავს.

34.*დეგ-/დგ- : დგ-

დგ-იფ-ს	დგამს
უ-დგ-ი-ნ	უდგას
უ-დგ-უ-ნ	დაუდგამს
დო-დგუ	დადგა
დი-დგუ	დაიდგა
დუ-დგ-უ	დაუდგა
დ-ი-დგ-ინ-ე-ნ	დაიდგომება
დო-დგ-ინუ	დადგომა
ო-დგ-იმ-უ	დადგმა

ამ ძირისაგან ნაწარმოები ფორმები ხშირია ძველ ქართულში:**აღდეგ,აღდგომაი, აღდგებიან, აღადგინა** და სხვა.

დგ-/დეგ- ძირისაგან არის ნაწარმოები: ა-**დგ**-ილ-ი, მო-დგ-მა, წარდგმა, მიდგმა; წარედგინებადა სხვა.

ლაზ. დო-**დგ**-უ - მეგრ. დო-**დგ**-უ

ლაზ.**დგ**იმა - მეგრ. **დგ**-უმ-ა

ლაზ.**დგ**-ინ -მეგრ. **დგ**-უ-ნ

ლაზ.-მეგრ.**დგ-** ზუსტად შეესატყვისება ქართულ **დგ-** ძირს. დგ- ძირის შესატყვისად წარმოდგენილია სვან. **ზგ-/<*ზიგ- <*დიგ-**: სვან.: ი-**ზგ**-ე „ცხოვრობს" (ჩუხუა 2000: 103).

მეგრული მასალა გააანალიზეს მ. ჯანაშვილმა და გ. დეეტერსმა (დეეტერსი 1930: 1270), ლაზური – არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 268-269). ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის *დეგ-/დგ- არქეტიპს აღადგენენ (ფენრიხი... 1990: 98-99; შდრ.: ЭСКЯ: 70-71). შდრ.: ჩუხუა 2000: 103.

საილუსტრაციო მასალა: იეი ქეჭოფუ... ამმა ოხოი ვარ **უდგინ** (ჩიქ. II. 43, 32.)„ადგილი იყიდა მაგრამ სახლი არ უდგას"; უქუმეთის სინოის ასქერეფე **უდგინ**(ასათ., სარფი) „სახელმწიფოს საზღვარზე ჯარი უდგას"; ჩქიმი ოხოის ჭუმანიშენ ახჩამიშა მჟორა **ნოდგინ** (დ. თანდ., სარფი) „ჩემს სახლს დილიდან საღამომდე მზე ადგას"; კიცითი იეზდიფან დო ოკიცალეს **ქონოდგიფან** (ჩიქ.II.147,31.) „კეცსაც აიღებენ და საკეცეში მიადგამენ"; **ქონადგუ** ღალის (კარტ.185, 21.) „მდინარეს მიადგა".

35.*დეე-/დე- :დვ-/დ-

დო-**დ**-უ	დადო
გი-**დ**-უ	დაიდო
დი-**დ**-უ	დაიდო
გე-**დვ**-ალ-უ	დადება
დო-**დვ**-ალ-უ	დადება

გვხვდება ძველ ქართულში: **სდევით, იდვა** და სხვა.

დ-/დვ-/დევ- ძირისაგან არის ნაწარმოები: გამოდება, განდება, მიმოდება, მოდება, შემოდება და სხვა.

ლაზური **დვ-/დ-** ზუსტი ეკვივალენტია მეგრულ **დვ-/დ**-სა და ქართული**დვ-/დ-** ძირისა, ხოლო სვანური **დ<დე** ქართული **დვ-** ძირის შესატყვისია:

მეგრ.: **დვ**-ალ-ა „დება"

სვან.: ლი-**დ**-ი „დადება"

ლაზური და მეგრული მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 269-270); სვანური ეკვივალენტი გამოავლინა გ. დეეტერსმა. ჰ. ფენრიხი დაზ. სარჯველაძე ს.ქართვ. ფუძე-ენის დონეზე აღადგენენ*დეე-/დე- არქეტიპს (ფენრიხი1990: 101).

საილუსტრაციო მასალა: ეშქიაფე ოდაშა ამახთეს, ტოფეღეფე **ქოდოდვეს** და გიაი ოჭკომუ ქოგიოჭკეს(მ. ოზშანინ. ,ხოფა (სარფი)„ყაჩაღები ოთახში შევიდნენ, თოფები დადვეს და საჭმლის ჭამა დაიწყეს"; წანა **ქოგედვეს** (კარტ. გვ. 7, 32)„დრო (წელი) დადვეს (დათქვეს)"; თოკი გიდუ შქას დო კუიშა ქაგეხთუ (კარტ. 2. გვ. 19, 16) „თოკი მოიბა წელზე და ორმოში ჩავიდა".

36. *დერ-/დრ- : დრ-/დურ-

დრ-იკ-უფ-ს	დრეკს
დრ-უკ-უ-ნ	იდრიკება

დრ-უკ-უ მოიდრიკა

დრ-იკ-ე(რ)-ი მოდრეკილი

გვხვდება ძველ ქართულში: რომელნი **განსდრეჭდეს** გზათა თვისთა (იქ. სოლ. 10, 9); **განდრკა** გული მისი (ისაია ზარაქ. 10,14) და სხვა.

ქართ. **დრ-ეკ-** ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. **დირ-აკ**(<*დრ-აკ);ქართ. **დრ-იკ-** ფუძის შესატყვისია მეგრ. **დირ-იკ-** (<*დრ-იკ) და ლაზ. **დრ-იკ-**;ლაზ. **დრ-** კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **დრ-** (<*დრ-კ) ფუძეს.

ლაზ. **დრ-იკ-უფ-ს** – მეგრ.**დირ-იკ-ულ-ს** „დრეკს"

მეგრული მასალა გააანალიზა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1895: XII, 103), ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:270.).

ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის გ. კლიმოვმააღადგინა **დრეკ-/დრიკ-/დერკ-** არქეტიპი, თ.გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა – ***დერ-/დრ-** (გამყრელიძე... 1965: 188-191).

საილუსტრაციო მასალა: ჯოღოიში **მონდრაკელი** კუდელი ვარ იდუზანენ (ლაზ. ანდაზა) „ძაღლის მოდრეკილი კუდი არ გასწორდება"; ენა იხჩინა, **მონდრუკუ** (ი. თანდ., სარფი) „რომ მოხუცდები, მოიდრიკები"; **მენდრიკონიში** წალე მსვა-თი ქანოჭკიაფან (ჩიქ. 142-24) „მოდრეკილის ქვემოთ ფრთა თავს მოჭრიან"; მჯვეში ჯა ვარ **მენდრუკუნ,** მეტუხუნ (ჩიქ. II.70,13) „ძველი ხე არ მოდრკება, მოტყდება".

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: **დრ-იკ-უფ-ს** „დრეკს" – **ი-დრ-იკ-ე-ნ** „იდრიკება".

37.*დნ- : ნდინ-/ნდუნ-/დუნ-

გო-ნდუნ-უ დაიკარგა

ქაგოვო-ნდინ-ი დავკარგე

გო-მდუნ-უ ვიკარგები

გო-ნდინ-აფ-ა დაკარგვა

გო-ნდ-ინ-ერ-ი დაკარგული

დნ- ძირი გვხვდება ძველ ქართულში:ვითარცა ცვლი რაჲ **დადნის** წინაშე ცეცხლსა (ფს.67.3); **დადნენ** ხორცნი მათნი (ზაქარია 14, 12) და სხვა.

ქართული **დნ-** ფორმის შესატყვისი უნდა იყოს მეგრ.**დინ-/დჱნ-(<დნ-)** და ლაზური **დუნ-/ნდინ-/ნდუნ-** (<**დნ-**) და სვან. **ნ- <დნ-**. ლაზურში **ნ** განვითარებულია.

ლაზ. გო-**ნდინ**-აფ-ა – მეგრ. დინ-აფ-ა – სვან.ლი-**ნ**-ე „დაკარგვა“

მეგრული მასალა შეაპირისპირა ვ.თოფურიამ(თოფურია 1930: 300). ლაზური ექვივალენტი გამოავლინა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 271), სვანური - გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 74). ს.ქართვ. დონისათვის **დნ-** არქეტიპი აღდგენილია გ. კლიმოვის მიერ (იქვე).

საილუსტრაციო მასალა: ბაბა ჩქიმიში იერი **გონდუნუ** (ჩიქ. 2. 263,25) „მამაჩემის ადგილი დაიკარგა“; ჩარჩის სუმ ნეკნა უღუტუ,ამაფთით-შ-კულე **გომდუნით** (ჩიქ. II. 290,19) ბაზარს სამი კარი ჰქონდა, რომ შევედით, დავიკარგეთ“; ქიმოლი მუში კურბეთიშა იდუ დო სუმ წანას **ქაგინდუნუ** (ი. აბდულიში, სარფი) „მისი ქმარი საშოვარზე წავიდა და სამ წელს დაიკარგა“; **გონდინეი** კოჩი ქომოხთუ (სარფის საუბ.) „დაკარგული კაცი მოვიდა“.

38. *დუღ- : ნდუღ-

გე-**ნდუღ**-ერ-ი „საჭმლის სახეობა“ (ეტიმოლოგიურად: “ადუღებული; მოდუღებული”)

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: **აღსდუღდი,** ვითარცა წყალი (შესაქმ. 49,4 O); **აღადუღის** უფსკრული (იობ. 41,21 O).

***დუღ-** ძირს შესატყვისი მოეპოვება მეგრულსა და სვანურში:

მეგრ. **დუღ**-უ-ა „მდუღარეში ამოვლება“

სვან. ა-დღჰე-ე/ა-დღიე-ე „კაშკაშებს”.

მეგრული მასალა შეაპირისპირა ი. ყიფშიძემ (ყიფშიძე 1914: 229), ლაზურიეკვივალენტი გამოავლინა და ***დუღ-** არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 169). სვანური შესატყვისი დაძებნა და ს.ქართვ. დონეზე ***დუღ-** ძირი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა2000: 95)

საილუსტრაციო მასალა: ნანაქ **გენდუღეი** დომიხვენუ „დედამ ღომი გამიკეთა (მომიმზადა)”.

39. *დღულ- : ნდღულ-

ო-**ნდღულ**-ინ-აფ-ს	ადნობს
ნდღულ-უ-ნ	დნება
ი-**ნდღულ**-ენ	დნება
დო-**ნდღულ**-უ	დადნა
ო-**ნდღულ**-უ	დნობა

ნდღულაფა	დნობა
დღლ-უვ-ი	თხელი

ქართ. დღლ- (<*დღულ-) ფორმას შეესატყვისება მეგრ. ნდღულ- (ნდღულ-<დღულ) და ლაზ. -ნდღულ-(<დღულ; ნ განვითარებულია (ჟღენტი 1953, 92-98).

ლაზ.ნდღულ-აფ-ა – მეგრ. ნდღულ-აფ-ა „დნობა"

ლაზურ-მეგრული მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა, 1938, 271). *დღლ-არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის დონისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 169). ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე აღადგენენ *დღულ- ძირს (ფენრიხი... სარჯველაძე 2000: 181).

საილუსტრაციო მასალა: ჯუმუთი მთელი დონდღულუში, ეშეღი ქაგამახთუ (ჩიქ. I. 457.27) „მარილიც მთლიანად რომ დადნა, ვირი გამოვიდა"; ტაღანის იაღი ნა გედვა, დონდღულაში მაქვალი ქოგილუტახი(ნ. ლაზაშ., სარფი) „ტაფაზე ერბო რომ დადნება, კვერცხი ჩაატეხე".

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: ო-ნდღულ-ინ-აფ-ს „ადნობს" – ნდღულ-უ-ნ„დნება".

40. *დღე- : დღვ-

ნ-დღვ-აბ-უფ-ს	დღვებს
უ-ნ-დღვ-აბ-უფ-ს	უდღვებს
დო-ნ-დღვ-აბ-უ	ადღვიბა
დუ-ნ-დღვ-აბ-უ	აუდღვიბა
ი-ნ-დღვ-აბ-ე-ნ	იდღვიბება
ნო-ნ-დღვ-აბ-ე	ადღვებილი
დღვ-აბ-ე(რ)-ი	ადღვებილი

ქართ. დღვ- ძირს შეესატყვისება ლაზ. და მეგრ. დღვ- და სვან. დღ- (<დღე-):

მეგრ. ონო-დღვ-აბ-უ, დინა-დღვ-აბ-უ „ტყაპანი"

სვან. დღ-ულ-/დღჰლ- „რძის ხმა ჩამოწველისას".

ლაზური და მეგრული მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 271); სვანური ეკვივალენტი გამოავლინა და ს.ქართვ. ფუძე-ენის დონეზე *დღვებ- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 76). შდრ. ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე ს.ქართვ. დონეზე *დღე ძირს აღადგენენ (ფენრიხი2000: 180).

საილუსტრაციო მასალა: (ნ)დღვაბეი მაქვალის მონჭვაქ ჭუჭული ვარ გეწილუფს (ხ. თანდ., სარფი) „ადღვებილ კვერცხზე კრუხი წიწილას არ გამოჩეკავს"; ბაზი მაქვალი **დინდღვაბენ** დო ვა გამაწიდუფს (ჩიქ.I, 164,16) „ზოგი კვერცხი აიდღვიბება და არ გამოჩეკავს"; მჭიფე-მჭიფე ხორცი დოპიტოლარ... უნტალარ, **დომდღვალარ** (ჩიქ. II,114,8) „წვრილ-წვრილად ხორცს დავკენკავ?.. ავურევ, ავდღვებ".

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: ნ-**დღვ**-აბ-უფ-ს „დღვებს" – ი-ნ-**დღვ**-აბ-ე-ნ„იდღვიბება".

41.*ვალ-/ვლ- : ულ-

ულ-უ-ნ	მიდის
მ-ულ-უ-ნ	მოდის
მინდ-ულ-ვ-ან	წავლენ
ულ-უსვლა;	მოგზაურობა
გო-ვ-ულ-უ-რ	დავდივარ
ი-ულ-ვა	აღმოსავლეთი
ნო-ველ-ი	ნავალი

ვალ- ძირისაგან ნაწარმოები ფორმები ხშირია ძველ ქართულში: **მოვალს, ვალს, ვლენან, სლვაი**...

ვალ-/ვლ- ძირის კანონზომიერი ფონემური შესატყვისია მეგრულსა და ლაზურში წარმოდგენილი **ულ-** (<ვოლ-). ლაზ. ველ- (ნო-ველ-ი „კვალი") მომდინარეობს *ნო-ვოლ- ფორმისაგან.

მეგრული მასალა გააანალიზეს ა. ცაგარელმა (ცაგარელი 1880: 13) და ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი, 1998c); ლაზურიმასალაშეაპირისპირეს: ჰ. ჭარაიამ (ჭარაია 1918: 265), არნ. ჩიქობავამ(ჩიქობავა 1936: 172). *ულ- არქეტიპი აღდგენილია ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის (ფენრიხი... 1990: 118). შდრ. ჩიქობავა 1938: 274; შმიდტი 1962 : 108; ЭСКЯ:84).

საილუსტრაციო მასალა: მკიაფუ დო მთუთი **მინდულვან** მსქიბუშა (კარტ., 4, 8.) „მელია და დათვი წავლენ წისქვილში"; სინ აქ ტაია დო მან აწი **მოულუია** (კარტ., 4, 9.) „შენ აქ იყავი და მე ახლავე მოვალო"; ბიჭი **ნულუნ** დო უწუმეს (კარტ., 21,4)„ბიჭი მივა(ლ)ს და ეტყვის".

42.*ეედ-/ეიდ-:იდ-

ვ-იდ-ი წავედი

იდ-უ წავიდა

(ბ)-იდ-ი-თ წავედით

(ბ)-იდ-ა-თ წავიდეთ

სხვადასხვა ზმნისწინით (იშვიათად უზმნისწინოდაც) გვხდება ძველ ქართ. სალიტ. ენაში: მოვედ, მოხვედ, მოვიდა...

ქართ. ვიდ- ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ.-მეგრ. იდ- (<*ვიდ) (ჩიქობავა 1938: 274). ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგენენ *Ɛედ-/Ɛიდ- ძირს (ფენრიხი... 1990: 121-122).

ლაზურსა და მეგრულში თავკიდური ვ დაკარგულია: ვიდ->იდ(ქართვ.ე : მეგრ.-ლაზ. ი):

ლაზ. ვ-იდ-ი „წავედი"; იდ-უ „წავიდა"; ვ-იდ-ი-თ „წავედით";

მეგრ. ვ-იდ-ი „წავედი"; იდ-უ „წავიდა"; ვ-იდ-ი-თ „წავედით".

საილუსტრაციო მასალა: აწი ოხოიშა ვიდათ (ხ. კახიძე, სარფი) „აწი სახლში წავიდეთ"; ვიდი, ვიდი დო არ ფაცხა ქობძირი(ხ. კახიძე, სარფი) „წავედი, წავედი და ერთი ფაცხა დავინახე"

43. *ველ-: ვალ-

ვალ-უფ-ს ელავს

გუ-ლ-ი-ვალ-უ გაიელვა

ო-ვალ-უ გაელვება

გვხდება ძველ ქართ. სამწერლობო ენაში: ცეცხლისა მისგან გამოჰკრთებოდეს ელვანი (ეზეკ.1, 13.) და სხვა.

ქართ. ელ- (<*ეელ-)ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. და მეგრ. ვალ-, აგრეთვე სვან. ჰელ-:

ლაზ. ვალ-უფ-ს „ელ-ავ-ს"; ო-ვალ-უ „გაელვება";

მეგრ. ვალ-უნ-ს „ელავს"; ვალ-უ-ა „გაელვება";

სვან.ჰელ„ელვა"; ლი-ელ-ე „გაელვება"...

ლაზური და მეგრული მასალა შეისწავლა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 272-273). სვანური ეკვივალენტი გამოავლინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1960: 24) და ქართ.-ზანური

ერთიანობის დონეზე ელ- არქეტიპი აღადგინა (ЭСКЯ: 79). შდრ. ს.ქართვ. ძირად მიჩნეულია *ველ- (ფენრიხი... 2000: 198).

საილუსტრაციო მასალა: წოხლე ვალუფს დო ეკულე ხონცუნ (ი. თანდ., სარფი) „ჯერ ელავს და მერე ქუხს"; გულივალუ დო მენდახთუ (მ. კახიძე, სარფი) „გაიელვა და წავიდა".

44. *ელთ- : რთ-

ოკო-რთ-უფ-ს	ყოფს
ჰ-აკ-უ-ი-რთ-ე-ს	გაიყვეს
ოკო-რთ-უ	გაყოფა
ი-რთ-ე-ნ	იყოფა
ოკო-რთ-ე(ლ)-ი	გაყოფილი
ო-კონ-ო-რთ-ე	განაყოფი

ვლთ- ძირისაგან წარმოქმნილი ფორმები გვხდება ძველ ქართულ ენაში: [illegible] თავსა თვისსა **განევლთა** (მთ. 12.26 HJK) **განევლთას** მამაჲ ძირისაგან ძეჲ მ[illegible] 12,53 DE) და სხვა.

ქართული **ვლთ-** ძირის კანონზომირი ფონემური შესატყვისი არის წარძღვრებული მეგრულსა და ლაზურში **რთ**-ს სახით (თავკიდური **ვ** დაკარგულია). ლაზურის ჩხალური დიალექტში არსებობს **ლთ**-ვარიანტი: ოკო-**ვლთ**-ით „გავყავით" (ЭСКЯ:84). სვანურში დაკარგულია თავკიდურა *ელკომპლექსი:

ლაზ. ოკო-**რთ**-უ „გაყოფა"; ოკო-**რთ**-უფ-ს „ყოფს"; ოკო-ბ-ი-**რთ**-ათ „გავიყოთ".

მეგრ. გო-**რთ**-უ-ალ-ა „გაყოფა";**რთ**-უ-ნ-ს „ყოფს"; გო-**რთ**-უ „გაყო";

სვან. ლი-თ-ე„გაყოფა"; ხუ-ა-თ-ი „ვყოფ"; მჰ-თ-ე „გამყოფი".

ლაზურ-მეგრული მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:309.) სვანური ეკვივალენტი გამოავლინა და ს. ქართვ. ფუძე-ენის დონეზე ***ელთ**- არქეტიპიაღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 85).

საილუსტრაციო მასალა: ჯუმალეფექ დიხა **ჰაკუირთეს** (ზ. კახიძე, სარფი) „ძმებმა მიწა გაიყვეს"; სარფი **ოკორთეი** ქმოთ რენ (ნ. თანდ., სარფი) „სარფი გაყოფილი სოფელია".

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: ოკო-**რთ**-უფ-ს „ყოფს" – ი-**რთ**-ე-ნ „იყოფა".

45. *ვლტ- : მტ-/ტ-

ი-მტ-უ გაიქცა

გა-მა-ბ-ტ-ი გავიქეცი

ო-მტ-ინ-უ გაქცევა

მტ-ი-ნ-ერ-ი გაქცეული

გვხდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: **დაუტევნის** ცხოვარნი და **ელტვიან**; უცხოსა არა შეუდგიან, არამედ **ივლტოდიან** მისგან...

ქართული **ვლტ-**, მეგრული **რტ-/ნტ-** და ლაზური **მტ-/ტ-**, აგრეთვე სვანური **ტე-** კანონზომიერად შეესატყვისებიან ერთმანეთს:

ლაზ. ო-მტ-ინ-უ „გაქცევა"; ვ-ი-მტ-ი „გავიქეცი".

მეგრ. რტ-ებ-ა/ ნტ-ებ-ა „გაქცევა";ვ-ი-რტ-ი „გავიქეცი".

სვან. ლმ-ტე „გაქცევა".

მეგრული მასალა გააანალიზა ა. ცაგარელმა (ცაგარელი 1880: 51); ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა ჰ. შუხართმა (შუხართი 1902c: 393), სვანური – გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 85).***ვლტ-** არქეტიპისაერთო ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1998: 54).

საილუსტრაციო მასალა: ბიჭის ხეშენ კვინჩი **ამტუ** (ი. თანდილ., სარფი) „ბიჭს ხელიდან ჩიტი გაექცა"; აია იეიშენ ურუსიშ გენერალი **იმტუ** (იბ. ჯევაიში, სარფი) „ამ ადგილიდან რუსი გენერალი გაიქცა".

46. *ზარდ-/ზრდ- : რდ-

რდ-აფ-ს ზრდის

ი-რდ-უ გაიზარდა

ი-რდ-ენ იზრდება

ა-რდ-უ გაეზარდა

მა-რდ-ენ გამეზარდა

რდ-ალ-ა ზრდა

მო-რდ-ელი მოზრდილი

მა-რდ-აფუ მოზარდი

ზარდ-/ზრდ- ძირი გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: **მზრდელი, ზრდინ, მზარდული**...

ლაზურ-მეგრულსა და სვანურში წარმოდგენილია **ზრდ-** შეკუმშული ძირის კანონზომიერი ვარიანტი **რდ-** (მიღებულია **ზრდ**-სგან **ზ**-ს დაკარგვით):

ლაზ. ო-**რდ**-უ „ზრდა"; დ-ი-**რდ**-უ „გაიზარდა"; მა-**რდ**-აფ-უ „გამზრდელი"

მეგრ. **რდ**-უ-ალ-ა „ზრდა"; მი-**რდ**-უ „გაიზარდა"; მ-ო-**რდ**-უ„გამზრდელი"

სვან. ლი-**რდ**-ი „გაზრდა";ი-**რდ**-ი „იზრდის"; ლგ-**რდ**-ე „გაზრდილი".

მეგრული და სვანური მასალა შეაპირისპირა მ. ჯანაშვილმა (ჯანაშვილი 1906: 29). ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 308-309). გ. კლიმოვმა ს.ქართვ. ფუძე-ენის დონეზე აღადგინა ***ზრდ-** არქეტიპი (ЭСКЯ: 88).

საილუსტრაციო მასალა: ჰეა დაღის **ირდუ** (ჩიქ. II. 274-2) „ის ტყეში გაიზარდა"; აკო მსქვა თი სო **ირდი** (ი. თანდ.) „ასეთი ლამაზი სად გაიზარდე"; არ **მორდელი** ბიჭი ოფუტეს გუიტუ (ხ. თანდ., სარფი) „ერთი მოზრდილი ბიჭი ეზოში დადიოდა"; ფუჯის **მარდაფუ** გენი ვარ უყონუნ-ნა ვარ იყვენ (ხ. თანდ., სარფი) „ძროხას მოზრდილი ხბო თუ არ ჰყავს, არ შეიძლება".

ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: **რდ**-აფ-ს „ზრდის", ი-**რდ**-ენ „იზრდება".

47. *ზელ-/ზილ- : ზალ-

ზილ-უფ-ს	ზელს
ი-**ზილ**-ე-ნ	იზილება
ა-**ზილ**-ე-ნ	ეზილება
უ-**ზილ**-უ-ნ	უზელია
ო-**ზალ**-ე	საზელი
ზ-ა-ფ-ს	ჭყლეტს
ი-**ზ**-ე-ნ	იჭყლიტება
ა-**ზ**-ე-ნ	ეჭყლიტება
უ-**ზ**-ა-ფ-ს	უჭყლეტს
ი-**ზ**-ე-ნ	იჭყლიტება
ზ-უ-ნ	მოზილა

გვხდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: **დავზილნე, შეზილის...**

ზელ- ძირის კანონზომიერი შესატყვისია ლაზ.-მეგრ. **ზალ-**. დამაჯერებლად არ არის დასაბუთებული ქართ. **ზელ-**, მეგრ. **ზალ-**ძირებთან ლაზური **ზ**-და სვან. **ზიჭ-**

ზმნური ძირების დაკავშირება. კანონზომიერი შესატყვისი ჩანს დაცული ო-ზალ-ე-(საზელი) ფუძეში. გ. კლიმოვი საერთო ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგენს ზ-არქეტიპს (ЭСКЯ: 86). შდრ. ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *ზელ-/ზილ- ძირი (ფენრიხი... 2000: 210).

შდრ.: ს. ქართვ. *ზელ-/ზილ- ძირისკანონზომიერიშესატყვისიასვან. ზად-(ლ>დდაე>ე>აპროცესებისშედეგად): სვან.: ზად/ზედ„საფუარი" (ჩუხუა 2000: 100).

საილუსტრაციო მასალა: ღომუ კიზითენ ზაფან (ასათ. ოჩამჩ.) „ღომს კოვზით ზელენ"; კაბუკლი-კურბაღა მუჯო იზასინონ-და (ჩიქ.I.24,22) „კუ როგორ დაიჭყლიტებაო"; მაშინაქ კატუ დოზეენ (ი. თანდ.) „მანქანას კატა დაუჭყლეტია".

შდრ. აჭარ.: ფხალი მოზელილი, ძიგურას მოზილვენ და მერე ნიგოზს ურთვენ (ლ. ბათაძე).

ზმნა აწარმოებს აქტიურ და პასიურ ყალიბებს: ზილ-უფ-ს „ზელს" – ი-ზილ-ე-ნ „იზილება".

48.*ზეპ- : ზაპ-

ზაპ-უფ-ს	სცემს
დო-ზაპ-უ	სცემა
დუ-ზაპ-უ	უცემა
ი-ზაპ-უ	იცემა
ო-ზაპ-უ	ცემა

*ზეპ- ძირი არ არის დადასტურებული ძველ ქართ. წერილობით ძეგლებში.

ლაზ.-მეგრ.ზაპ- კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ ზეპ-ძირს. მეგრული და ლაზური მასალა შეაპირისპირა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 87). მანვე ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგინა *ზეპ- არქეტიპი.

გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ბ-ზაპ-უფ „ვცემ" – ი-ზაპ-ენ „იცემება"

49.*ზიდ- : ზდ-

ა-ზდ-უ	მოეჭირა
უ-ზდ-უ	მოუჭირა
მო-ზდ-უ	მოქაჩა
ნუ-ზდ-უ	მიუშვა
ო-ზდ-უ აღება,	მოჭერა

მე-ზდ-უ- მოზიდვა

დო-ზდ-უ მოზიდვა

ზდ-იმ-ერ-ი მოზიდული

მო-**ზდ-იმ-ერ-ი** მოზიდული

გვხდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: **ჰზიდა, აღმოზიდის...**

ქართ. **ზიდ-** ძირს შეესატყვისება მეგრ. **ზინდ-** (**ნ** განვითარებულია). ლაზურში წარმოდგენილია **ზიდ**-ძირის რედუცირებული **ზდ**-ვარიანტი (***ზიდ-**).

ქართველური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 275-276). ქართულ-ზანური ერთიანობისთვის **ზიდ-** არქეტიპი აღდგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 87).

საილუსტრაციო მასალა: ბიჭი ... დიზგინი **მოიზდამს** (ჩიქ. II, 352-15.) „ბიჭი ლაგამს მოიზიდავს"; ხოჭი ყონუტუ , არაბა იყონუ დო **დოზდუ** ჯაეფე(ჩიქ. II, 282-12.) „ხარი ყავდა, ურემი წაიყვანა და ჩამოზიდა ხეები..."; ოხორიშენ გამიტაში ნეკნა **მოზდი**(ი. თანდ.) „კარებიდან რომ გახვალ კარი მოხურე (მოზიდე)".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: უ-**ზდ**-იფ-ს „ზიდავს" - ი-**ზდ**-ინ-ე-ნ „ზიდვა შეიძლება".

50. *ზირ- : ძირ-/ზირ-

ძირ-უფ-ს ნახავს

ძირ-უ ვნახე

ძირ-ი ნახე

უ-**ძირ**-ი უნახე

ა-**ძირ**-ი ეჩვენე

ო-**ძირ**-უ ხედვა, მზერა

ნო-**ძირ**-ელი ნახული

გვხდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში : **მიმზირდეს, უმზირის, მზერაი...**

ქართ. **მ-ზირ-** ფუძეს შეიძლება შეესატყვისებოდეს მეგრ. **ძირ-** (<**მზირ-**) და ლაზ. **ზირ-//ძირ-**(<***მზირ-**). მეგრული და ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 390).

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: **ძირ**-უფ-ს „ნახავს" – ი-**ძირ**-ე-ნ „დანახვა შეიძლება".

51.*ზომ- : ზუმ-/ზიმ-

ზუმ- უფ-ს ზომავს

ზუმ-უ ზომა

ი-**ზიმ**-ე-ნ იზომება

ა-**ზომ**-ე-ნ ეზომება

ო-**ზიმ**-უ ზომვა

ო-**ზიმ**-ონ-ი საზომი

გვხდება ძველ ქართ. წერილობით ძეგლებში: **საზომელი, ზომაი, ზომით...**

ქართული **ზომ**-ძირის კანონზომიერი შესატყვისია ლაზური **ზუმ-/ზიმ-** (<ზომ-), მეგრული **ზომ-** და სვანური **ზუმ-**:

ლაზ. ო-**ზიმ**-უ „ზომვა"; **ზუმ**-უფ-ს „ზომავს"

მეგრ.: **ზომ**-უ-ა/**ზიმ**-აფ-ა „ზომვა"; ვ-**ზიმ**-უ-ნ-ს„ზომავს"

სვან.: ლი-**ზმ**-ე „**ზომვა**"; ა-**ზმ**-ი „ზომავს'; ა-**ზმ**-ი-ე„ზომავდა".

მეგრული და სვანური მასალა შეაპირისპირა მ. ჯანაშვილმა; ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 276). საერთო ქართველური ფუძე-ენისათვის **ზომ**- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 88).

საილუსტრაციო მასალა: ჩოხა ვა ეჭოფაშა ხაი მო **იზუმუმ** (კარტ. 227-23) „ჩოხას სანამ არ იყიდი ტანზე ნუ იზომავ"; კულანეფეს კუჩხე **უზიმუპტეს** (კარტ.60,19) „გოგონებს ფეხს უზომავდნენ"; ოწინუში ულუტეს ხვენერი, **ოზიმალე** ქილე (ასათ. ოჩამჩ., სარფ.) „საწონი ქონდათ გაკეთებული, საზომი ქილა".

ზმნა აწარმოებს აქტიურ და პასიურ ყალიბებს:**ზომ**-უფ-ს„ზომავს" – ი-**ზიმ**-ე-ნ „იზომება".

52. *თ- : თ-/თ-ან-

თ-ან-აფ-ა თენება

ო-**თ-ან**-აფ-ს ათენებს

ს. ქართვ. ***თ**-ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. თ-, თ-ან- და სვან. თ-:

მეგრ.: ო-**თან**-უ-ან-ს „ათენებს"

სვან.: ლე-**თ** „წუხელ"

ს.ქართვ. დონეზე ***თ-** ძირი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 106).

საილუსტრაციო მასალა: თუთაქ წკუფი **ოთანაფს** (ი. თანდ.) „მთვარე სიბნელეს ანათებს".

53.*თარ-/თრ- : თორ-თურ-/თირ-

თირ-უფ-ს	ათრევს
თირ-ეს	ათრიეს
ი-**თირ**-ენ	თრევა
ა-**თირ**-ენ	თრევა შეუძლია
ქაგამა-**თირ**-უნს	გამოათრევს
ო-**თირ**-უ	თრევა
ნო-**თირ**-ე	ნათრევი

გვხვდება ძველ ქართულ ძეგლებში: **თრევით მოგითრიო** (შუშ. 5, 4)...

ქართული **თრ-** ძირის ზუსტი ფონემური შესატყვისია ლაზური **თირ-**, მეგრული **თირ-/ნთირ-** და სვან. **თრ-**:

ლაზ.: ო-**თირ**-უ „თრევა"; **თირ**-უფ-ს„ათრევს"

მეგრ.: **თირ**-უ-ა „თრევა"; **თირ**-უ„ათრია"

სვან.: ლი-**თრ**-ინ-ე „თრევა";ა-**თრ**-ინ-ე „ათრევს"

შდრ. აჭარ.: **ეთრია**, ეთრია და მემრე მოვდა".

მეგრულ-ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 281); სვანურისა – ო. უორდროპმა (უორდროპი 1911: 602); საერთო ქართველური ფუძე ენისათვის გ.კლიმოვმა აღადგინა***თარ-/თრ-**არქეტიპი (ფენრიხი... 1990: 143).

საილუსტრაციო მასალა: ცხენითე ხარმანიშ **ოთირუშა** ქომოხთას ოჯაღიშა (ჩიქ. I, 125,24) „ცხენით სიმინდის გროვის სათრევად მოვიდეს სახლში (ოჯახში)"; გიაი **უთირუფს** დო ჩუმერს (კარტ. 100,35) „საჭმელს უზიდავს და ელოდება"; დაღიშა ვიდამინონ დო ჯა **გეფთირამინონ** (ჩიქ. I, 7-26.) „ტყეში უნდა წავიდე და ხე ჩამოვათრიო"; ბაშქაშ **გოთირელი** კულანი მუ ყვაი (ი.თანდ.) სხვისი ნათრევი გოგო რად გინდა".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: **თირ**-უფ-ს „თრევს" - ი-**თირ**-ე-ნ „თრევა შეიძლება".

54.*თელ- : ნთალ-

ნთალ-უფ-ს	თელავს
ი-ნთალ-ენ	ითელება
ა-ნთალ-ენ	თელვა შეუძლია
უ-ნთალ-უფ-ს	უთელავს
ნთალ -ა	თელვა
ნთალ- ე(რ)-ი	მონათალი

გვხდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: **შეთელვითა** ქარითათა...

ლაზ.: **ნთალ-უფ-ს** „თელავს"; **ნთალ** -ა „თელვა "

მეგრ.: **თალ-უ-ა** „თელვა"; **თალ-უნ-ს** „თელავს"

სვან.: **ლით-ელ/** ლი-**თლ-ე** „მოჭერა, შეხება"

ქართული **თელ-**ძირის კანონზომიერი შესატყვისი უნდა იყოს მეგრული **თალ-**; სვანური **თელ-** და, ჩვენი აზრით, ლაზური **ნთალ-** (სადაც **ნ** განვითარებულია: ნთალ-<თალ-). ეს ძირი არ არის დაძებნილი დღემდე.

გ. კლიმოვის მიერ აღდგენილი **თელ-**არქეტიპის გვერდით შეიძლება დაისვას ლაზური **თალ-<ნთალ-**ძირი.

საილუსტრაციო მასალა: მთუთი ყონაშა ნა ამახთას, მთელი შეი ნთალუფს (ი. თანდ.) „დათვი ყანაში რომ შევა, ყველაფერს გათელავს".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: **თალ-უფ-ს** „თელავს" – **ი-ნთალ-ე-ნ** „გათელვა შეიძლება".

55.*თეს- : თას-

თას-უფ-ს	თესავს
დო-თას-უ	დათესა
ი-თას-ენ	ითესება
ა-თას-ენ	ეთესება
ო-თას-ულე	თესლი
ნო-თას-ე	ნათესი
თას-ე(რ)-ი	დათესილი
გე-თას-ულე	სათესი ადგილი

გვხვდება ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში: **მთესვარი, თესვად, ხთესვე...**

ქართული **თეს-**ძირის კანონზომიერი ფონემური შესატყვისია ლაზ. **თას-** და მეგრ. **-თას-**:

ლაზ.: **თას-უფ-ს**„**თესავს**"; **ო-თას-ულე** „თესლი"

მეგრ.: **თას-უნ-ს**„**თესავს**"; **თას-ი** „თესლი"

მეგრული შესატყვისი გამოავლინა მ. ბროსემ (ბროსე 1849: 77), ლაზური – არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 145-146). ქართულ- ზანური ერთიანობის ხანისთვის ***თეს-**, ***თესლ-** არქეტიპები აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 92-93).

საილუსტრაციო მასალა: დადიქ ნოდეი მიხვენეს დო ყონას ბრინჯი **დოთასეს**(ხ. თანდ.) „მამიდამ ნადი გაგვიკეთა და ყანაში ბრინჯი დაგვითესა"; **გეთასულეს** იყვენ: შურკა, ფატლიჯანი (ჩიქ. II, 72,23) „ბოსტანში იქნება: კიტრი, ბადრიჯანი; ნა თქუქ, **თასუ** (ანდაზა) „ვინც თქვა დათესა".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: **თას-უფ-ს** „თესავს" – **ი-თას-ე-ნ** „ითესება".

56.*თრთ- :თირთ-

თირთ-ინ-აფ-ს	თრთის
თირთ-ინ-ტ-უ	თრთოდა
ა-თირთ-ინ-ე-ნ	ათრთოლებს
ო-თირთ-ინ-უ	თრთოლა
თირთ-ინ-ი	თრთოლა
თირთ-ინ-ე(რი)	თრთოლვით

დასტურდება ძვ. ქართ. ენაში: **თრთოდა, თრთოლანი...**

ლაზ.**თირთ-** და მეგრ.**თირთ-** კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **თრთ-**ძირს:

ლაზ.: **თირთ-ინ-ი** „თრთოლა"; **თირთ-ინ-ტ-უ** „თრთოდა "

მეგრ.: **თირთოლი** „თრთოლა, ფაცი-ფუცი ";**ი-თირთ-ოლ-უ-ნ** ,,ფაციფუცობს" .

მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 281). **თრთ-** არქეტიპი ს.ქართვ. დონეზე აღადგინეს ჰ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ (ფენრიხი... 1990: 152).

საილუსტრაციო მასალა: ჰემდი ხოლო ყინითენ **თირთინტუ** (ჩიქ. I, 103-17) „ჰემდი კვლავ სიცივისაგან თრთოდა (კანკალებდა)"; **ოთირთინით** მხუჯეფე (სიმღერა, სარფი) „ათრთოლეთ მხრები"; ოხორჯას ბაშქა ბერე-ნა ვა უყონუნტუშენი, ემუშ ჟინ **თირთინტუ** (ჩიქ. I, 77-22) „ქალს სხვა ბავშვი რომ არ ჰყავდა, ამიტომ მის თავს დაჰკანკალებდა";

ღომან ეშო ხონცუტუქი დიხაქ **თირთინტუ** (ი.თანდ.) „გუშინ ისე ქუხდა რომ მიწა თრთოდა".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: **თირთ-ინ-აფ-ს** „ათრთოლებს" – **ი-თირთ-ინ-ე-ნ** „თრთოლა შეუძლია".

57.*თუთქ- : თუთქ-

თუთქ-უფ-ს	თუთქავს
ი-თუთქ-უ-ნ	ეთუთქება
დომი-თუთქ-უ	დამეთუთქა
თუთქ-ინ-ი	თუთქვა
თუთქ-ე(რ)-ი	დათუთქული
თუთქ-ინ-ე(რ)-ი	დათუთქული

საბას ლექსიკონში დასტურდება **თუთქ-ი** „ცხელი ნაცარი".

ქართ. **თუთქ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. **თქუთქ-** და ლაზ. **თუთქ-**:

ლაზ. **თუთქ-ინ-ი** „თუთქვა"; **თუთქ-უფ-ს** „თუთქავს"

მეგრ.: **თუთქ-უ-ა** „თუთქვა"; **თქუთქ-უნ-ს** „თუთქავს"

საილუსტრაციო მასალა: ხეს ტუცა წკაი გომაბუ დო **დომითუთქუ** (დ. მემიშიში) „ხელზე ცხელი წყალი გადამესხა და დამეთუთქა"; ჭინოში ბიგა ოხვენუშენი მთხიშ ყა დაჩხიის კაი **ოთუთქინაფან** დო ოკულე ყაზუფან (მ. მემიშიში) „ჭინოს ჯოხისთვის თხილის ტოტს ცეცხლზე კარგად მოთუთქავენ და მერე გათლიან".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: **თუთქ-უფ-ს** „თუთქავს" – **ი-თუთქ-ინ-ე-ნ** „თუთქვა შეიძლება".

58.*თქარ-/თქრ-: ნთქირ-/თქირ-

ნთქირ-უნ	ხმება
უ-ნთქირ-უნ	უხმება
ო-ნთქირ-ინ-აფ-ს	ახმობინებს
ო-ნთქირ-უ	გახმობა

მეგრული: **ნთქირ-უ-ა** ნიშნავს „ბევრ ჭამას". სალიტ. ქართ. **თქრ-ომ-ა** იხმარება სხვა მნიშვნელობით, მაგრამ ჭკნობისა და გახმობის მნიშვნელობა ლაზურშია შემორჩენილი(ნ-თ-ს წინ განვითარებულია , რომლის შესახებ იხ. ჟღენტი 1953: 92-98). ლაზური შესატყვისი აქამდე არ იყო გამოვლენილი.

მასალა შეაპირისპირა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1985: 26). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *თქარ-/თქრ- არქეტიპი (ფენრიხი... 2000:241).

საილუსტრაციო მასალა: უწკაელი ფუქირი **ნთქირუნ** (ი. თანდ.) „უწყლოდ ყვავილი ხმება"; ლუყუ მოჭკიაში სუმ დღაში **ნთქირუნ** (ი. თანდ.) „ფხალი რომ მოჭრა სამ დღესი ჭკნება".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ფორმები: **თქირ**-უფ-ს „ახმობს", ი-**ნთქირ**-ინ-ე-ნ „გახმობა შეიძლება".

59.*თქვეფ-/თქვიფ- : თქვაფ-

ნთქვაფ-უფ-ს	თქვლეფს
ო-(ნ)**თქვაფ**-უ	ათქვიფა
უნ-**თქვაფ**-უ	აუთქვიფა
ი-**თქვაფ**-ე-ნ	ითქვიფება
თქვაფ-ა	თქვლეფა
თქვაფ-ე(რ)-ი	ათქვლეფილი

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: **აღთქუეფის, აღთქუეფულ...**

სულხან- საბა **თქუეფა** სიტყვას ასე განმარტავს: ,,კვერცხთა და მისთანათა გაქნა".

ქართ. **თქუეფ**-ფორმის შეესატყვისება ლაზ. **თქვაფ** -და მეგრ. **თქვაფ**-:

ლაზ.: ო-**თქვაფ**-უ „თქვეფა"; ნ**თქვაფ**-უფ-ს „თქვეფს"

მეგრ.: **თქვაფ**-უ-ა „(კვერცხის) **თქვეფა**"; **თქვაფ**-უნ-ს „თქვეფს".

ქართველური მასალა შეაპირისპირა და *თქეეფ-/თქეიფ- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1985:170).

საილუსტრაციო მასალა: მაქვალი მუჭოში გიხვენა, გიგიბაი ვარნა **გითქვაფა** დო გეგიჭვა (ნ. ლაზიშვილი, სარფი) „კვერცხი როგორ გაგიკეთო, მოგიხარშო თუ შეგიწვა?"

წოხლე საღანის ჭიტა წკაი გიობაფან, ოკულე მაქვალი **თქვაფუფანდო** ჭკვინეი ტაღანის გიობაფ ან (რ. ქერეჯოღლი, სუფსა) „წინასწარ თეფშზე ცოტა წყალს დაასხამენ ,მერე კვერცხს **ათქვეფენ** და ცხელ ტაფაზე დაასხამენ"; ჯოღოიშ გიაი **ნთქვაფუფს** (სარფი) „ძაღლის საჭმელს თქვლეფს"; დოღუ გიაი ჭკომი, ღეჯისთეი მო **ნთქვაფუ** (სარფი) „წესიერად ჭამე ღორივით ნუ თქვლეფ".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: ნ**თქვაფ**-უფ-ს „თქვეფს" - ი-**ნთქვაფ**-ე-ნ „ითქვიფება".

60. *(ნ)თქმ- : ნთქ-ორ-

ნთქვ-აფ-უფ-ს შთანთქავს

ს. ქართვ. ***(ნ)თქმ-**ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. **ნთქ-ორ-** და სვან. **თქ-უმ-/თქ-ეიმ-:**

მეგრ.: **ნთქ-ორ-უნ-ს** „შთანთქავს"

სვან.: **თქუმ-ე** „აქრობს"

***(ნ)თქმ-** არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 110).

საილუსტრაციო მასალა: გერმაკოჩიქ დაღი **თქვაფუფს** „ტყის კაცი ტყეს შთანთქავს".

61. *თქორ-/ თქრ-: თქრ-

თქრ-იალ-აფ-ს თქრიალებს

უ-**თქრ-**იალ-ს უთქრიალებს

თქრ-იალ-ე(რ)-ი თქრიალით

სვანურად: ლი-**თქრ-**ჰნ-ე „სისხლის... თქრიალით დენა"

ს.ქართვ.**თქორ-/თქრ-** ძირის მეგრულ-ლაზური შესატყვისი საენათმეცნიერო ლიტერატურაში დაძებნილი არ არის, შეპირისპირებულია მხოლოდ ქართული **თქრ-** (<**თქორ-**) და სვანური **თქრ-** ძირები.

სვანური მასალა შეაპირისპირა ზ.სარჯველაძემ (სარჯველაძე1987: 18).

ჩვენ მიერ მოყვანილი ლაზური ძირი **თქრ-**, ვფიქრობთ, კანონზომიერად შეესატყვისება საერთოქართულ ***თქორ-/ თქრ-** ძირს.

საილუსტრაციო მასალა: **თქრიალეი** წკაი მულუნ (ი. თანდ.) „წყალი თქრიალით მოდის"; ხენამემაჭკიუ, დიცხიი **თქრიალეი** მუიტუ (ი. თანდ.) „ხელი რომ მოვიჭერი, სისხლი თქრიალით მომდიოდა"; დიცხიი ვარ დომადგონუ ეშო **თქრიალეი** მომიხთებტუ (ი.თანდ.) „სისხლი ვერ გავაჩერე, ისეთი თქრიალით მომდიოდა".

62.*თქუ- : თქუ-/თქ-

თქ-უ თქვა

ითქ-უ-ე-ნ ითქმის

ა-თქ-ვ-ე-ნ ეთქმის

თქ-უ-მა თქმა

თქ-უ-ალ-ა თქმა

ო-თქ-უ სათქმელი

ნო-თქ-ვე ნათქვამი

ნო-თქ-ვალე ნათქვამი

დასტურდება ძვ. ქართულ წერილობით ძეგლებში: **სთქუ, ბთქუათ, აღთქუმა...**

ლაზური **თქუ-**, მეგრული **თქუ** დასვანური **ქუ-**< ***თქუ-** კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **თქუ-**ძირს (იხ. კლიმოვი 1960: 25; ფენრიხი... 2000: 242).

ლაზ.: **თქ-უ** „თქვა", **თქვ-ა-ლ-ა** „თქმა"

მეგრ.: **თქ-უ** „თქვა"; **თქუ-ალ-ა** „თქმა"

სვან.: **ხა-ქუ** „უთხრა"; ლი-**ქე**-ისგ „თქმა".

ქართველური მასალა შეაპირისპირეს: ა. ცაგარელმა (ცაგარელი 1880: 13), პ. ჭარაიამ (ჭარაია 1895: XII, 114), არნ. ჩიქობავავა (ჩიქობავა, 1938, 282-283), გ. კლიმოვმა ((ЭСКЯ: 96). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია ***თქუ**-არქეტიპი (ЭСКЯ:96).

საილუსტრაციო მასალა: ბიჭიქ მუთუ ვა **თქუ** (გ. კარტ., 2, 19, 15-6) „ბიჭმა რამე არ თქვა"; ბადიქ იდუშუნუ, იდუშუნუ დო **თქუ** (გ. კარტ., 2, 18-6) „მოხუცმა იფიქრა, იფიქრა და თქვა"; მთუთიქ **თქუ**-ქი (გ. კარტ., 2, 3-4) „დათვმა თქვა, რომ".

ლაზურში: **ფთქუმერ**-ის გვერდით იხმარება **ბზოპონ**:

მუ ფთქუმერ – მუ ზოპონ, **ითქვინენ** – ბზოპონ.

63.*თხ-/ნთხ-: ნთხ-

ო-**ნთხ**-ო-აფ-ს აღებინებს

ა-**ნთხ**-ო(რ)-ე-ნ ეღებინება

ო-**ნთხ**-ო(რ)-ინ-უ ღებინება

ო-**ნთხ**-ორ-უ ღებინება

ნო-**ნთხ**-ო-ელ-ი ნაღებინები

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში : დათხევაი სისხლისა; ,გარე დათხევად წყლის...

ქართულ **თხ**-ძირს შეესატყვისება ლაზური **ნთხ**-(ნ-ს განვითარების შესახებ წინაენისმიერთა წინ მეგრულსა და ლაზურში იხ. ჟღენტი 1953:92-98) და სვანური **თხ** -:

ლაზ.: ო-**ნთხ**-ორ-უ „ღებინება"

სვან.: ლი-**თხ**-ულ-ე „პირღებინება".

ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა კ. შმიდტმა (შმიდტი 1962: 115-116).

საილუსტრაციო მასალა: კოჩის გუი აქთენ დო **ონთხოაფს**(ი. თანდ.) „კაცს გული ერევა და აღებინებს"; ღომან მუ ნა ფშვი დო **ბჭოკომი**, მთელი **ვინთხოი** (ი. თანდ.) „გუშინ რაც ვსვი და ვჭამე ყველაფერი ვაღებინე".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: **ო-ნთხ-ო-აფ-ს** „აღებინებს" – **ი-ნთხ-ო-ინ-ე-ნ** „ღებინება შეიძლება".

64. *თხ- : თხვ-/თხ-

დო-**თხ**-უფ-ს	დაართავს
დუ-**თხ**-უ	დაურთო
ო-**თხ**(ვ)-უ	დართვა
თხვ-ერ-ი	დართული
ო-მ-**თხვ**-უ-ში	დასართავი

არ დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. გვხვდება ქართული ენის დიალექტებში: **თხორი**„გორგალი დართული ძაფისა; ნართის გორგალი"(ფშ., ხევს., თუშ., გუდამაყრ.).

ქართულ **თხ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური **თხ-**, სვანური **თხ-** და მეგრული **თუხ-** ძირები:

ლაზ.: ო-**თხ**(ვ)-უ „დართვა"

მეგრ.: **თუხ**-უ-ა „დართვა"

სვან.: ლა-**თხ**-ა/ ლა-**თხე**-ი „საქსლე; ქსელი"

მეგრული და ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:285); სვანური ექვივალენტი დაებნა ნ. ანდღულაძემ(ანდღულაძე 1950: 230-231). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია ***თხ-** ძირი (ფენრიხი... 2000: 245).

საილუსტრაციო მასალა: მონტკოიში **ოთხუ**(სარფი) „მატყლის დართვა"; **ოთხუში** დომაყვენ (ჩიქ. 81, 30.) „დასართავი მექნება"; ენთეფე მა **ფთხვამინონ** დო ნოკეფე პამინონ(ჩიქ. I, 5-5.) „ესენი მე უნდა დავრთო და ძაფები გავაკეთო"; ნანა ჩქიმით ფხენითენ იაფაღი **ნთხუფთუ** და შალიშ წინეკი მიშუბტუ(ი. თანდ.) „დედაჩემი სართავი (ჯოხით) მატყლს დართავდა და შალის წინდას მომიქსოვდა".

გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: **თხ-უფ-ს** „ართავს" – ი-**თხ-ვ-ე-ნ** „დართვა შეიძლება".

65. *(მ)თხ- : ნთხ-

მ-ი-**ნთხ**-უმკრა, მემთხვია

მე-ნ-**თხ**-უ კვრა

ს. ქართვ. ***(მ)თხ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. **ნთხ-** და სვან. **თხ-:**

მეგრ.: **ნთხ**-აფ-ა „დაცემა, თავდასხმა"

სვან.: ა-**თხ**-**ɐ̈ɑ** „ახვედრებს, აპოვნინებს, თავს უყრის"

***(მ)თხ-** არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 111).

საილუსტრაციო მასალა: ხე **ნუნთხი** დო მელაფს (ი.თანდ.) „ხელი ჰკარი და გადავარდება".

66. *თხ- : თხ-იმ-

გო-**ნთხ**-იფ-ს ჭიმავს

გუ-ი-**ნთხ**-ე-ნ იჭიმება

ს. ქართვ. ***თხ-**ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. **თხიმ-/თხ-ჰმ** და სვან. **თხ-ეფ-:**

მეგრ.: **თხიმ-/თხ-ჰმ-** „გაჭიმვა, გადაჭიმვა"

სვან.: ხ-ე-**თხ**-**ეფ**-ენ-ი „გადაეკიდება"

***თხ-** არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000:111).

საილუსტრაციო მასალა: კოჩიქ თოკი **გონთხიფს** (ი. თანდ.) „კაცი თოკს ჭიმავს".

67. *თხაზ-/თხზ-: თხოზ-/ნთხოზ-

ნთხოზ-უფ-ს წნავს

ი-**ნთხოზ**-უფ-ს იწნავს

უ-**ნთხოზ**-უფ-ს უწნავს

ი-**ნთხოზ**-ე-ნ იწნება

ო-**ნთხოზ**-უ დაწვნა

ნთხოზ-ერ-ი დაწნული

დასტურდება ძველ ქართულ ენაში: თმანი **ნათხზენი, თხზული**...

ლაზური **თხოზ-/ნთხოზ-** ზუსტად შეესატყვისება ქართ.**თხაზ**-ძირს. ლაზური და მეგრული მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 285). ქართულ-ზანური ერთიანობისთვის აღდგენილია ***თხაზ-/თხზ**-ძირი (ფენრიხი... 2000: 246).

ლაზურში **თხოზ-** ძირი იხმარება აგრეთვე სულ სხვა მნიშვნელობით: **ა-თხოზ-უ-** ნიშნავს „გააგდო"(დაითხოვა), სადაც ლაზ.**თხ-** და ქართ **თხ-**ს შეპირისპირება არის შესაძლებელი:

მაკვანდექ ჯოღოის **თხოზუნ**, ჯოღოი ვა ნაწკენ(ი. თანდ.) „მათხოვარი ძაღლს დევნის, ძაღლი არ შორდება"; გუნდიშ კაპიტანიქ მთელის **მათხოზეს** (ე. მემიშიში, სარფი) „გუნდის კაპიტანმა ყველა დაგვითხოვა".

საილუსტრაციო მასალა: მოთა ჩქიმის თომა მსქვაშა დოვუნ**თხოზი** (ი. თანდ.) „ჩემს შვილიშვილს თმა ლამაზად დავუწენი"; მხუჯეფეს გიობღუნ თომა **ნთხოზერი** (ვანილ., სარფი) „მხრებზე აყრია თმები დაწნილი"; ნუნკუ-პიჯი ვიბონი, თომა ვი**ნთხოზი** (ასათ. სარფი) „ხელ-პირი დავიბანე, თმა დავიბწენი".

გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ი-**ნთხოზ-**უფ-ს „იწნავს" –ი-**ნთხოზ-**ინ-ე-ნ „დაწვნა შეიძლება".

68.°თხარ-/ თხრ- : თხორ-/ნთხორ-

ნთხორ-უფ-ს	თხრის
უ-ნთხორ-უფ-ს	უთხრის
ი-ნთხორ-უფ-ს	ითხრის
ო-ნთხორ-აფ-აფ-ს	ათხრევინებს
ი-ნთხორ-ენ	ითხრება
დო-ნთხორ-უ	დათხარა
დუ-ნთხორ-უ	დაუთხარა
ო-ნთხორ-უ	თხრა

დასტურდება ძველ ქართ. ძეგლებში: **ვთხარე** ჯურღმული ესე (დაბ. 21, 30); აღმოთხარეს თავისა თვისისა ჯურღმული (იერემია 2, 13).

ლაზური **თხორ-**, მეგრული **თხორ-**და სვან. **შთხარ-/შთხრ-** ზუსტად შეესატყვისება ქართ. **თხარ-** ძირს:

ლაზ. **ნთხორ-უფ-ს** „თხრის"; **ო-ნთხორ-უ** „თხრა"

მეგრ.: **თხორ-უ-ა** „თხრა"; **დო-თხორ-უ** „გათხარა"

სვან.:ხუ-ა-**შთხრ-ი** „ვთხრი"; ლი-**შთხრ-** ი „თხრა".

ლაზურში გვაქვს **ნთხორ-** ვარიანტიც, სადაც **ნ-** განვითარებულია (წინაენისმიერთა წინ **ნ-**ს ასიმილაციით განვითარების შესახებ. იხ. ჟღენტი 1953: 92-98).

მეგრული მასალა გააანალიზა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1896: 1, 56), ლაზური – ვ. თოფურიამ (თოფურია 1926: 207); სვანური – გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1960: 22).

ს. ქართველურდონეზე აღდგენილია *თხარ-/თხრ- არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 249).

საილუსტრაციო მასალა: ლეტა **ნთხორელი** რენ, ეშაჭკირელი (ი.თანდ.) „ბიჭი გათხრილი არის ამოჭრილი"; ვახოქ და ბიჭიკოქ მეზარი **ონთხორუშენი** მითის ფარა ვარ გუწუმენან (ი.თანდ.) „ვახო და ბიჭიკო საფლავის ამოთხრაში ვინმეს ფულს არ ართმევენ"; ქოთუმექ **ნთხოუ , ნთხოუ** დო მუში მეჭკიუში ხამი მუქ ქაგამანხთუ (არდაური) „ქათამმა თხარა, თხარა და მისი დასაკლავი დანა თვითონ გამოთხარა".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: **თხორ-უფ-ს** „თხრის" - **ი-ნთხორ-ე-ნ** „ითხრება".

69.*თხოვ- : თხონ-/თხუნ- ; თხვ-/თხ-

თხონ-ს/ თხუნ-ს	სთხოვს
თხ-უ	სთხოვა
გამი-**თხ-უ**	გათხოვდა
გამა-**თხვ-ე(რ)-ი**	გათხოვილი

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: **ითხოვდით** და მოგეცეთ თქვენ (მთ. 7,7); **ითხოვდეს** მისგან სასწაულსა ზეცით (მრკ. 8, 11c).

ლაზური **თხუ-/თხ-**და მეგრ. **თხუ-** კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **თხოვ-** ძირს, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ძირი იშვიათია მეტყველებაში.

ლაზ.: **თხ-უ** „ სთხოვა", **თხონ-ს/ თხუნ-ს** „სთხოვს"

მეგრ.: ქო-**თხ-უ** „სთხოვა"; ქა-**თხ-უ** „ათხოვა".

მეგრული ფორმები შეაპირიპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია1896: XII, 114), ლაზური – არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 284).

გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობისათვის აღადგინა **თხო-**არქეტიპი (ЭСКЯ:99). შდრ. ჰ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ ს.ქართვ. დონეზე აღადგინეს ***თხოვ-** ძირი (ფენრიხი2000: 262).

საილუსტრაციო მასალა: ბოზო ელირდაში **გამოთხვამან** (ჟღ.161,13) „ქალიშვილი რომ წამოიზრდება ათხოვებენ"; ვარ **გამაბითხვაფუ,** ოხორის არ თელი ვორე (ჟღ. 161,13) „არ გავთხოვდები, სახლში ერთი ვარ"; **გამათხ(ვ)უ** (ასათ., ბათუმი) „ გათხოვება".

70. *კარ-/კრ- : კორ-/კირ-

კორ-უფ-ს კრავს

დო-კირ-უ შეკრა

დო-კირ-უფ-ან შეკრავენ

ნო-კირ-ს აბია

ი-კირ-ე-ნ იკვრება

ო-კირ-უ შეკვრა

კირ-ელ-ი შეკრული

გვხდება ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში: ჰკრევდით, საკრეველნი, მათნი, ვინ გახსნა (იობ. 39,50).

ქართ. კრ- ძირს ზუსტად შეესატყვისება ლაზ. კორ-(ხოფ.კირ- <კურ- < *კორ-) და მეგრ. კირ-/კჱრ-.

მეგრულის მონაცემები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1895: 106); ლაზურისა – გ. დეეტერსმა (დეეტერსი 1930: 125).

კარ-/კრ არქეტიპი ს.ქართვ. დონეზე აღადგინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1998: 86).

საილუსტრაციო მასალა: ხომინეი თიფი ოკობღაფან, თოკითენ **დოკირუფან** დო კაპულას მუიკიდაფან (ი. თანდ.) „გამხმარ თივას შეაგროვებენ, თოკით შეკრავენ და ზურგზე მოიკიდებენ"; დენგი **პკორარე** (ჩიქ. 2, 68,35) „გროვას შევკრავ"; თუთუნიში დენგი **პკირარე**...ვორსი **პკირარე** (ჩიქ. II,106-22-23) „თუთუნის გროვას შევკრავ...კარგად შევკრავ"; ჰამუს ნენა აკაუ დო არდოს ვა აპაამითეტუ(კარტ.191,5) „ამას ენა დაება და ერთ დროს ვერ ლაპარაკობდა".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: კირ-უფ-ს „ კრავს" –ი-კირ-ე-ნ„იკვრება".

71. *კაც- : კიჩ-

კიჩ-უფ-ს კეცავს

ს. ქართვ. *კაც-ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. კიჩ-/კჱჩ- და სვან. კაჩ-/კაჩ-:

მეგრ.: კიჩ-უ-ა „კეცვა"

სვან.: ა-კაჩ-ე „აღმართავს, შეაყენებს"

*კაც- არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 121).

72. *კედ- : კიდ-

ქომო-კიდ-უ	აჰკიდა
გოწო-კიდ-ე-ს	ჩამოჰკიდეს
ოკვა-კიდ-ეს	წაიკიდნენ
ეწ-ვა-კიდ-უ	აეკიდა
ოკო-კიდ-ინ-უ	წაკიდება (ჩხუბი)
ქონა-კიდ-უ	გადაეკიდა
ქომა-კიდ-უ	მოეკიდა
ქონუ-კიდ-უ	მოუკიდა

მეგრული **კიდ-/კინდ-**, ლაზური **კიდ-** და სვანური **კიდ-** ზუსტად შეესატყვისება ქართულ **კიდ**-ძირს:

ლაზ. **ო-კიდ-უ** „აკიდება", ოკვა-**კიდ**-ეს „წაიკიდნენ"

მეგრ.: **კიდ-აფ-ა /კინდ-აფ-ა** „აკიდება"; ეკო-**კიდ**-ირ-ი „ომი,ჩხუბი"

სვანურად: ლი-**კედ**„აღება"; ი-**კედ**„იღებს".

შდრ. აჭარ.: წეეკიდნენ ერთმანეთს; წუუკიდე; ეიკიდა...92);.

ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 292); სვანური – გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 112).***კიდ-** არქეტიპი ს.ქართვ. დონეზე აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 112).

საილუსტრაციო მასალა: ნანდიდი ჩქიმიქ კალათი **ქომოიკიდუ** (ი.თანდ.) „ბებიაჩემმა გოდორი აიკიდა"; ნოღას კოჩეფე **ქოგვაკიდეს** (სარფი) „ნოღაში კაცები წაიკიდნენ"; მან ემუკალა **ოკოკიდინეი** ვორე (სარფი) „მასთან ნაჩხუბარი ვარ"; ბერექ წკინტალი დო ლაკოტი **უკუკიდინაფტუ** (ჩიქ. I, 120, 35) „ბავშვი ცინტალს და ლეკვს ერთმანეთთან აჩხუბებდა"; არ მხუჯის შერაპი, არ მხუჯის-თი ხორცი-ა **ქელომოკიდი-ა** (ჟღ. 111,1) „ერთ მხარეს ღვინო, ერთ მხარეს-აც ხორცი ჩამომკიდე-ო".

73.*კეთ- : კათ-

უ-კათ-უფ-ს	ურევს
ი-კათ-ენ	ირევა
ი-კათ-ინ-ე-ნ	შეირევა
ა-კათ-ენ	ერევა
ო-კათ-უ	შერევა

ო-კათ-ინ-უ შერევა

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: მკეთა უფალმან მე (მსაჯ. 17,13.).

მეგრული კათ- და ლაზური კათ- ზუსტი ფონემური შესატყვისია ქართული კეთ-ძირისა. ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის მ.კლიმოვმა აღადგინა კეთ-არქეტიპი (ЭСКЯ: 112).

საილუსტრაციო მასალა: დიკაში მქიის წკაი გილუბუფან, ჯუმუ უკათეფან (ჩიქ. I, 523-28) „პურის ფქვილს წყალს დაასხამენ, მარილს უზამენ"; ბაშქაშ დულიას ვარ აკათა (ანდაზა) „სხვის საქმეში არ გაერიო"; მადლი ყვაში ჯუმუთი დუკათი (ანდაზა) „მადლს თუ იზამ, მარილიც მოაყარე"; მან ქიმოლეფეშ დულიას ვარ გიკათუთდა (კარტ. 139, 8) „მე კაცების საქმეში არ გავერევი"; ბურეღის ნა ჯუმუ იკათენ, ვა უჩქინან (ასათ. 11,2). „ბურეღის" (ერთგვარი ნამცხავარი) მარილი რომ უნდა შეურიო, არ იციან".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: უ-კათ-უფ-ს „ურევს" - ი-კათ-ინ-ე-ნ „შეირევა".

74. *კ-(ეE-) : კორ-

ი-ნკორ-უმ-ს იცოხნის

ო-ნკორ-უ ცოხნა

ს. ქართვ. *კ-(ეე-) ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ.კორ-/ნკორ-და სვან. კაკ-:

მეგრ.: ი-ნკორ-ს „იცოხნება

სვან.: კაკ-ი „კევი"

*კ-(ეE-) არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 121-122).

საილუსტრაციო მასალა: ფუჯიქ **ინკორს** (ი. თანდ.) „ძროხა იცოხნება".

75. *კეკ- : კანკ-

კანკ-უფ-ს ნაყავს

უ-კანკ-უფ-ან უნაყავენ

ი-კანკ-ე-ნ ინაყება

ა-კანკ-ე-ნ ენაყება

ო-კანკ-უ ნაყვა

კანკ-ე(რ)-ი დანაყული

სამეცნიერო ლიტერატურაში არნ. ჩიქობავასთან განხილულიაკანკ-ძირი „ნაყვის" მნიშვნელობით; ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არ არის

დამოწმებული. ამიტომ მეგრულ **კაკ-** და ქართულ **კეკ-** ძირს შეიძლება კანონზომიერად შევუსატყვისოთ ლაზური **კანკ-**.

მან ლუყუ **კანკეის** დიდო პყოროფ (ი.თანდ.) „მე ფხალი დანაყული ძალიან მიყვარს"; კვანეი ნა იქიფტა ირი შეი **კანკეი** ტასინონ (ი. თანდ.) „შეზელილს რომ გააკეთებ, ყველაფერი დანაყული (დაკეპილი) უნდა იყოს"; ა ხორცეფე მუში **დოპკანკაი** (ი. თანდილ.) „ერთი მისი ხორცები დამენაყა(დამეკეპა)".

ქართ. **კეკ-** და მეგრ. **კაკ-** ერთმანეთს დაუკავშირეს ს. ჟღენტმა (ჟღენტი 1940: 226) და კ.ჰ. შმიდტმა (შმიდტი 1962: 118). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია ***კეკ-** არქეტიპი (ფენრიხი2000: 268).

კანკ-ძირზე დაფუძნებულ ზმნას აქვს აქტიური და პასიური ვარიანტი: **კანკ-უფ-**ს „ნაყავს, კეკავს" – ი-**კანკ-**ე-ნ „ინაყება".

76.*კენკ- : კანკ-

კანკ-უ-ფ-ს	აკაკუნებს
კანკ-უ	დააკაკუნა
ნუ-**კანკ-უ**	დაუკაკუნა
ო-**კანკ-**ონი	სარეკელა
ო-**კანკ-უ**	კაკუნი
ო-**კანკ-**ალე	სარეკელა

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ეს ძირი არ ჩანს. სულხან-საბასთანკენკა ასეა განმარტებული: „ფრინველთაგან მარცვლეულის კენკვა".

ლაზური **კანკ-**და მეგრული **კანკ-** ქართული **კენკ-**ძირის ზუსტი ფონემური შესატყვისია:

მეგრ.: **კანკ-უ-ა** „ღეჭვა"

ქართველური მასალა შეაპირისპირა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1980a). მიუთითებენ ***კენკ-** ძირის ***კეკ-** ძირთან შესაძლო კავშირზე (ფენრიხი... 2000: 269).

საილუსტრაციო მასალა: ოხოიშა მეფთი დო ნეკნას **მეუკანკი** დო ვარ გომინწკუ (ი. თანდ.) „სახლში მივედი და კარებზე დავუკაკუნე და არ გამიღო"; **ბკანკუფ-ბკანკუფ** და ვარ შემაგნაფინუ (ი. თანდ.) „ვაკაკუნებ-ვაკაკუნებ და ვერ გავაგებინე"; ყონას **ოკანკალონი** გელოკიდინა ყვაოჯეფე ვარ ნალენან (ი. ჯევაიში,სარფი) „ყანაში სარეკელას თუ ჩამოკიდებფ ყვავები ვერ მივლენ".

კანკ-ძირზე დაფუძნებულ ზმნას აქვს აქტიური და პასიური ვარიანტი: **კანკ-უფ-ს** „კენკავს" – **ი-კანკ-ე-ნ** „იკენკება".

77.*კერთ-/კრთ- : მკუთ-/კუთ-

კუთ-აფ-ს	კუთავს, წუხს
ე-მკუთ-უ	დაფრთხა
მკუთ-ინ-ი	დაფრთხობა
ე-მკუთ-იე(რ)-ი	დამფრთხალი
კუთ-ინ-ე(რ)-ი	კუთვით

გვხდება ბველ ქართულ წყაროებში: **ჰკრთომა, განკრთომა...**

ლაზური **მკუთ-** და მეგრული **კუთ-** ქართ. **კრთ-** ბირის კანონზომიერი შესატყვისია: ლაზურში **მ** განვითარებულია:

მეგრ.: **ე-კუთ-უ** „შეეკრა (სუნთქვა)"; **ე-კუთ-ებ-უ-ნ** „სუნთქვა ეკვრის".

ლაზურში **კუთ-ინ-ი** „დაფრთხობასაც" ნიშნავს და „კვნესასაც". შდრ. გურ. **კუთვა** „კვნესა"; აჭარ.: რას **კუთავ**! ნუ **კუთავ**!

საილუსტრაციო მასალა: ქარავანი **ემკუთუ** დო იმტუ (ჩიქ. 2. 250-18) „ქარავანი დაფრთხა და გაიქცა"; ხჩინი გულუნ დო **კუთაფს** (ნ.ლაზიშვილი, სუფსა) „დედაბერი დადის და კუთავს"; ნოხაპულე მეკაჯინამან დო **ტოროჯი ემკუთუნ,** ულუნ მოსას მაჭკიდენ (ჩიქ. II. 32 09) „ნაფოტს ესვრიან და მტრედი დაფრთხება (შეკრთება), წავა, ბადეს მოაწყდება".

ზმნას აქვს აქტიური და პასიური ვარიანტი: **კუთ-**ინ-ს „კვნესის" – **ი-კუთ-ინ-ე-ნ** „კვნესა შესაძლებელია".

78.*კეც-: კიც-

კიც-უფ-ს	კეცავს
უ-კიც-უფ-ს	უკეცავს
დო-კიც-უ	დაკეცა
დუ-კიც-უ	დაუკეცა
ი-კიც-ე-ნ	იკეცება
ა-კიც-ე-ნ	ეკეცება
კიც-ე(რ)ი	დაკეცილი

კეც- ძირი გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში:განწმინდის და **შეკეცის** და კიდობანსა შთადვის იგი (მამათა სწავლანი 57,30)...

ეტიმოლოგიურ ლექსიკონში საერთოქართული ***კეც-** ძირის შესატყვისად მოყვანილია მხოლოდ მეგრული **კიჩ-** ძირი (ფენრიხი... 2000: 271). ვფიქრობთ, აქვეა განსახილველი ლაზური **კიც-** ძირიც.

საილუსტრაციო მასალა: მთელი ხჩეეფე დუნახვი, **დუკიცი** და ქოდუდვი (ი.თანდ.) „თეთრეულები გაურეცხე, დაუკეცე და დაუდევი"; ოხოიშა ნა ამახთა, შემმეე **დოკიცი** დო ქოგელოკიდი (ი.თანდ.) „სახლში რომ შეხვალ, ქოლგა დაკეცე და ჩამოკიდე"; ოხოის ნა ბოშინე ხე, გეხთი ნოღაშა იჩალიში და **კიცეი-კიცეი** ფარაფე იშიღი დაა?! (ი.თანდ.) „სახლში რომ ტყუილად ზიხარ, ჩადი ქალაქში, იმუშავე და დაკეცილ-დაკეცილ ფულები მოიტანე რა?!"ოხოიშა ნა ამახთა ტოფეღი წკიფან და **კიცუფან,** ეშო შინახეფან (ი.თანდ.) „სახლში რომ შემოხვალ, თოფი დაშალე, დაკეცე და ისე შეინახე".

კიც- ძირისგან იწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: **კიც-უფ-ს** „კეცავს" - ი-**კიც-ე-ნ** „იკეცება".

79. *კეეთ-: კვათ-

კვათ-უფ-ს	კვეთს, ჭრის
უ-კვათ-უფ-ს	უჭრის
ო-კვათ-აფ-აფ-ს	აჭრევინებს
ი-კვათ-უფ-ს	იჭრის
გონ-კვათ- უ -	შეპირება, გადაწყვეტა
ქანუ-კვათ-უ	შეპირდა
მე-კვათ-ე(რ)-ი	გაკვეთილი, გაჭრილი, შეპირებული

ქართული **კეეთ-/კუთ-** ძირს შეესატყვისება ლაზური **კვათ-/ნკვათ-**, მეგრული**კვათ-** და სვანური **კეთ-**(<***კეეთ-**) ძირი:

ლაზ.: ო-კვათ-უ „კვეთა, ჭრა"

მეგრ.: კვათ-უ-ა „კვეთა, ჭრა"

სვან.: ლი-კეთ-ურ-ე „წვრილ-წვრილად დაჭრა".

მეგრული მასალა შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1895:XII, 105) და რ. აბაშიამ (აბაშია, 1998, 8); ლაზურისა – ნ. მარმა (მარი1938: 332), არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:

289) და ზ. სარჯველაძემ (სარჯველაძე 1987: 19); სვანურის ეკვივალენტი გამოავლინა ზ. სარჯველაძემ (სარჯველაძე 1987: 19).

საილუსტრაციო მასალა: მთელი შეი კაითენ დიჩოდუნა, არ მჩხუი მეკვათეი მიღუნ(ი. თანდ.) „ყველაფერი კარგად თუ დასრულდა, ერთი ცხვარი შეპირებული მაქვს"; ელჩეფე მოხთეს დო დუგუნიშ ნდღა **ქაგონკვათეს** (ი. თანდ.) „ელჩები მოვიდნენ და ქორწილის დღე გადაწყვიტეს"; მთელი შეი **გონკვათეი** რენ, მო გაშქუინეტას (ი. თანდ.) „ყველაფერი გადაწყვეტილია, ნუ შეგეშინდება".

კვათ- ძირისგან იწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: **კვათ-უფ-ს** „ჭრის" – **ი-კვათ-ე-ნ** „იჭრება".

80. *ǯეს-/კუს- : კუს-

კუს-აფ-ს	კვნესის
ა-კუს-ინ-ე-ნ	ეკვნესება
ო-კუს-უ	კვნესა
კუს-ინ-ი	კვნესა
ო-კუს-ინ-უ	კვნესა
კუს-ინ-ე(რ)-ი	კვნესით

კუს- ძირი დასტურდება ძველ წერილობით ძეგლებში: **კუნესოდიან** შენ ზედა (ეზიკიელ. 29,160).

მეგრულ-ლაზური **კუს-** და სვან. **კეეც**ზუსტად შეესატყვისება ქართულ **კუს-**ძირს:

ლაზ.: **კუს-**აფ-ს „კვნესის", ო-**კუს-**უ „კვნესა"

მეგრ.: **კუს-**ან-ს „კვნესის", **კუს-**აფ-ა „კვნესა"

სვან.:**კეეც** „კვნესის",ლი-**კეეც** „კვნესა".

მეგრულ-ლაზურ და სვანურ ფორმებთან შედარება ნათელყოფს, რომ **კუნეს-**<**კუსენ** მეტათეზისის გზით (ფოგტი 1947a:48).

მეგრულ-ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 300); სვანური ეკვივალენტი გამოავლინა ჰ. ფოგტმა (ფოგტი 1947a:48). **კეეს -/კეს-** არქეტიპი აღდგინეს თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა (გამყრელიძე...1965: 48).

შდრ. ს. ქართვ. ***კუს-ენ-/კუს-ინ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. **კუშ-ინ-** და სვან. **კეაც-** (<**კეეც-** < ***კუს-** < ***კუშ-**). ს.ქართვ. დონეზე აღდგება ***კუს-ენ-/კუს-ინ-** არქეტიპი (ჩუხუა 2000: 133).

საილუსტრაციო მასალა: აჯუნტუ დო **კუსაფტუ** (ჩიქ. I, 455-23) „ტკიოდა და კვნესოდა"; მუ იყუე **კუსინეი-კუსინეი** მოთ გულუ? (ი. თანდ.) „რა მოხდა კვნესა-კვნესით რად დადიხარ?" კურშუმი მოტალეი დელფინა, ფელუკაშა ნა იყონან, ომგარინუს დო ოკუსინუს გიოჭკაფს (კაკაბ., სარფი) „ტყვია მონახვედრ დელფინს, ნავზე რომ აიყვანენ, ტირილს და კვნესას იწყებს"; თემბელი დოჭკინდინერი რენ დო **კუსაფს**(ჩიქ. I, 38,19) „ზარმაცი დაღლილია და კვნესის".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: ო-**კუს**-აფ-აფ-ს „აკვნესებს" - ი-**კუს**-ინ-ე-ნ „კვნესა შეიძლება".

81. *კეირ- : კვირ-

ა-**კვირ**-უ	უკვირს
ა-**კვი**-ენ	უკვირს
გუი-**კვი**-უ	გაუკვირდა
გაა-**კვირ**-უ	გაუკვირდა
ოი-**კვირ**-უ	გაიკვირვა
ო-**კვირ**-აფ-უ	გააკვირვა
ო-**კვირ**-ონ-ი	საკვირველი
გო-**კვირ**-ინ-ი	გასაკვირი

გვხდება ძველ ქართულ ტექსტებში: **უკვირდა** სიტყუაი იგი (ლ, 2, 18DE); განუკვირდა ისაკს **განკვრეებითა** დიდით (დაბ. 27, 33).

ქართულ **კვირ**-ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზურ-მეგრული **კვირ-** და სვანური **კეირ**:

ლაზ. ო-**კვირ**-უ „გაკვირვება".

მეგრ.: **კვირ**-აფ-ა„გაკვირვება"; ი-**კვირუ**-ან-ს„უკვირს".

სვან.: ლი- მ-**კე ირ**-ი „ყურადღება"; მუ-**კეირ** „გამჭრიახი"...

შდრ. აჭარ.: **გიგიკვირდება** განა? რას **კვირობჭო**?

მეგრული მასალა შეაპირისპირა ი. ყიფშიძემ (ყიფშიძე 1914: 256); ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1991: 16); სვანური – ზ. სარჯველაძემ (სარჯველაძე 1987: 19). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია ***კეირ-** არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 283).

საილუსტრაციო მასალა: ოდაში შეეფე მურადიქ **იკვირუ** (ჩიქ.I, 107. 10) „ოთახის რამეები მურადმა გაიკვირვა"; სქანი კულანიშ მსქვანობა დუნიას **აკვიენ**(კარტ. 42, 4) „შენი ქალიშვილის სილამაზე ქვეყანას უკვირს"; ფათიშაის **გააკვიუ** (ასათ. 47, 132) „ფათიშაის გაუკვირდა".

82. *კიე- : კი-

კი-აფ-ს კივის

კი-აფ-ან კივიან

კი-აფ-ელ-ი კივილით

ქართ. **კიე-** ზმნურ ძირს უნდა შეესატყვისებოდეს ლაზ. **კი-** (<***კი-** < (**კიE-**), რომელიც წარმოდგენილია მ-**კი**-აფუ („ტურა", ეტიმოლოგურად - „მკივანა") ფუძეში.

მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:88).

სარფის მეტყველებაში იხმარება **კია**-ფს -ზმნა, რომელიც აღნიშნავს „კივილს" და არა „ყივილს".„ყივილს" აღნიშნავს**ყიაფა**.

საილუსტრაციო მასალა: ჩქინი ღალის მკიაფუფექ **კიაფან** (რ.ვანილიში,ჯ. აბულაძე, ლ. მემიში, სარფი) „ჩვენს ღელეში ტურები კივიან"; ანა **კიაფს** „ანა კივის".

83. *კითხ-:კითხ-

კითხ-უფ-ს ჰკითხავს

ნა-კითხ-უ მიაკითხა

ნუ-კითხ-უ შეულოცა

ი-კითხ-უ წაიკითხა

კითხ-უ ჰკითხა

ა-კითხ-ე-ნ კითხვა შეუძლია

ო-კითხ-უ კითხვა

ო-კითხ-უ შელოცვა

გე-კითხ-უ შეგინება

გვხდება ძველ ქართულში: **ხკითხვიდა** მოწაფეთა თვისთა (მთ. 16.13. (ხანმ.).

საილუსტრაციო მასალა: მუთუ **მკითხუფნა**, გიწვა (ყიფშ. 1,19) „რამეს თუ მკითხავ, გეტყვი"; არქადეშეფექ აითი მაუუაას კითხუპტეენან (ჩიქ. I, 117) „მეგობრები ერთი მეორეს ეკითხებოდნენ"; ვარ **აკითხენ** ქარტალი (ყიფშ. 11, 29) „ვერ კითხულობს

ქაღალდს"; **კითხერი** კოჩი დო უკითხუ კოჩიში ფარკი (ჩიქ. I, 94, 21) „ნასწავლი კაცის და უსწავლელი კაცის სხვაობა" (ნასწავლი = ნაკითხი).

მეგრული **კითხ**-და ლაზური **კითხ**-ზუსტად შეესატყვისება ქართ. **კითხ**-ძირს:

ლაზ. **კითხ**-უ „ჰკითხა"; ო-**კითხ**-უ „მკითხაობა, შელოცვა; კითხვა"

მეგრ.: **კითხ**-უ „ჰკითხა";**კითხ**-ირ-ი „წაკითხვა".

ქართველური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:292-293). ***კითხ**- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 112).

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: ი-**კითხ**-უფ-ს „იკითხავს" – ი-**კითხ**-ე-ნ „იკითხება".

84. ***კიკ-** : **კიკ-**

კიკ-ონ-უფ-ს	კენკავს
კიკ-ონ-ს	კენკავს
უ-**კიკ**-ონ-ს	უკენკავს
ი-**კიკ**-ონ-ს	წაიკენკავს
ო-**კიკ**-ონ-უ	კენკვა
ო-**კიკ**-ონ-უშ-ი	საკენკი
კიკ-ონ-ა-ს	კენკოს

არ არის დადასტურებული ძველ წერილობით ძეგლებში.

ლაზური **კიკ**-და მეგრული **კიკ**- კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **კიკ**- ძირს:

ლაზ.: ო-**კიკ**-ონ-უ „კენკვა"; **კიკ**-ონ-უფ-ს „კენკავს"

მეგრ.: **კიკ**-ონ-უ-ა „კენკვა" ; **კიკ**-ონ-უნ-ს„კენკავს".

ლაზური და მეგრული მასალა შეაპირისპირა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 108). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია ***კიკ**-ძირი (ფენრიხი... 2000: 285).

საილუსტრაციო მასალა: ნაშქვი გენი მინდოის დო **კიკონს** (ნ. თანდ.) „გაუშვი ხბო მინდორში და კენკოს"; ქოთუმე გალე ნაშქვაში მთელი **კიკონს** (ი. თანდ.) „ქათამი გარეთ თუ გაუშვი, ყველაფერს აკენკავს"; მთხაქ **კიკონაფს**, მჩხუიქ ჯუბს(ი. თანდ.) „თხა კორტნის, ცხვარი ძოვს".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: **კიკ**-ონ-უფ ს „კენკავს" – ი-**კიკ**-ონ-ე-ნ „იკენკება".

85. *კლაკ- : კირკ-

კირკ-ოლ-ს	კლაკნის
უ-კირკ-ოლ-ს	უკლაკნის, უხუჭუჭებს
ი-კირკ-ოლ-ე-ნ	იკლაკნება
ი-კირკ-ოლ-ს	იკლაკნება
კირკ-ოლ-აფ-ს	იკლაკნება
ო-კირკ-ოლ-უ	დაკლაკნა

კირკ-ოლ-ე-(რ)-იდაკლაკნილი, ხუჭუჭა

ქართული **კლაკნ**-ფუძის ზუსტი ფონემური შესატყვისი ჩანს ლაზ. **კირკ-**, მეგრ. **კიროკ-** (<***კროკ-**) და სვან. **კრანკ-** (მოხდა **ნ**-ს მეტათეზისი):

ლაზ. ო-კირკ-ოლ-უ „დაკლაკნა"

მეგრ. კიროკ-უ-ა „კლაკნა, გრეხა"

სვან.: ი-კრანკ-ი „გორდება"

შდრ. აჭარ.: იმ ბაღვს რაფერი **დაკლაკნილი** თმები აქ; კახ. ინგ.:**კრიკალი**...

მეგრული მასალა შეაპირისპირა რ. აბაშიამ (აბაშია 1998b: 7). სვან. ეკვივალენტი გამოავლინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 129). ს.ქართვ. დონეზე აღაადგენენ ***კლაკნ-** ძირს (ფენრიხი... 2000: 287; ჩუხუა 2000: 129).

საილუსტრაციო მასალა: თომა **კირკოლეი** (სარფი) „თმა ხუჭუჭა"; გზას **კირკოლეი** წიწილა გობძირი (სარფი) „გზაზე დაკლაკნილი ქვეწარმავალი ვნახე"; მეხთი თელი მეჭკიი, **დოკირკოლი** დო ქომუღი (სარფი); მიდი, მავთული მოჭერი დაკლაკნე და მოიტანე"; ხოჯაფეში დულიაფე კერემულისთერი **კირკოლერი** რენ (ჟღ. 11,24) „ხოჯების საქმეები კრემულის ჯაჭვივით დაკლაკნილია".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: **კირკ-ოლ-ს** „კლაკნის" – **ი-კირკ-ოლ-ე-ნ** „შეიძლება დაიკლაკნოს".

86. *კრ- :კრ-

კრ-იალ-აფ-ს	კრიალებს
ო-კრ-იალ-აფ-ს	აკრიალებს
ო-კრ-იალ-უ	აკრიალა
ი-კრ-იალ-ე-ნ	გაკრიალება შეიძლება
კრ-იალ-ე(რ)-ი	გაკრიალებული

არ დასტურდება ძველ წერილობით ძეგლებში.

ქართული **კრ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია სვანური **კგრ-**და ლაზური **კრ-**.

სვან.: ლი-**კგრ-**ე „ბრწყინვა"; ნა-**კჰრ-**ი „კრიალი, ბრწყინვა".

სვანური მასალა შეაპირისპირა მ. წერეთელმა (წერეთელი 1959: 90). ***კრ-** ს.ქართვ. დონეზე არადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 114).

ლაზური ეკვივალენტი არ არის წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში. დღესდღეობით იხმარება სარფულ-ხოფურ მეტყველებაში.

საილუსტრაციო მასალა: ნისაქ ბაქიიში კარსული ეშო ჩხუქი **კრიალაფს** (ი. თანდ.) „რძალმა სპილენძის კასრული ისე გარეცხა, რომ კრიალებს"; აჰა, მთელი ანგეფე დობჩი დო **დოვოკრიალი** (ნ. ლაზიშვილი, სარფი) „ელმასიშ მაწკინდი **კრიალაფს** კითი სქანის (ი. თანდ.) „ალმასის ბეჭედი კრიალებს შენს თითზე".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: ო-**კრ-**იალ-აფ-ს „აკრიალებს" - ი-**კრ-**იალ-ე-ნ „გაკრიალება შეიძლება".

87. *კრაბ- : კოროზ-

კოროზ-უფ-ს	კრებს
კოროზ-უ	შეკრიბა
ი-კოროზ-ენ	იკრიბება
ა-კოროზ-ენ	აკრება შეუძლია
ო-კოროზ-უ	შეკრება
კოროზ-ე-ი	შეკრებილი

გვხვდება ძველ ქართულში: **ვკრიბო** თავი და შევკრიბო მჭელმულსა შორის (რუთ. 2,7,0); ყოველი იგი ერი **შევკრიბე**(ლევიტ. 8,3,0).

ქართ. **კრებ-** (<***კრაბ-**) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. და მეგრ. **კოროზ-** (<***კროზ-**):

ლაზ. **ო-კოროზ-უ** „ შეკრება"; **კოროზ-უფ-ს** „კრებს"

მეგრ.: **კოროზ-უ-ა** „კრება"; **კოროზ-უნ-ს**„კრებს".

მასალა შეაპირისპირა ნ. მარმა (მარი 1914: 34). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა ***კრებ-** არქეტიპი (ЭСКЯ: 115). ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე აღადგენენ ***კრაბ-** ძირს (ფენრიხი... 2000: 291).

საილუსტრაციო მასალა: თქვან ქიოის ჯუმორი **ჰკოროზამინონ-ია**...(კაკაბ. სარფ.) „თქვენს სოფელში ძმარი უნდა შევაგროვო (შევკრიბო)"; თხირი დოკოროზი (ყიფშ. 69, 32) „თხილი აკრიფე"; ლაზუტიში ღერის **ოკოროზუ** ვა უნონ,ხოჯი ოქტაფტაში **ოკოოზუ** უნონ, **ოკოოზუშ** კულე ოჯუ-თი უნონ (ჩიქ. I,135, 31) „სიმინდის ღეროს შეკრება არ უნდა, ხარს რომ მოაბრუნებ, შეკრება მაშინ უნდა, შეკრების შემდეგ ძოვაც უნდა".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: **კოროზ**-უფ-ს „კრებს" – ი-**კოროზ**-ე-ნ „იკრიბება".

88. *კრეჭ-/კრიჭ- : კრიჭ-

უ-**კრიჭ**-ონ-ს	უკრეჭს
ო-**კრიჭ**-ონ-აფ-ს	აკრიჭინებს
ო-**კრიჭ**-ოლ-უ	კრიჭინი
ო-**კრიჭ**-უ	კრეჭა
ა-**კრიჭ**-ოლენ	ეკრიჭება

ქართულ **კრეჭ**- ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **კირიჭ**-/**კირაჭ**-/**კირჭ**- და ლაზურიკრიჭ- ძირები.

ლაზ. ო-**კრიჭ**-უ „ კრეჭა "; ა-**კრიჭ**-ოლენ „ ეკრიჭება"

მეგრ.: **კირაჭ**-უ-ა „კრეჭა",**კირაჭ**-ილ-ი „დაკრეჭილი"

შდრ. აჭარ.: რას **იკრიჭვი, დიმიკრიჭე**...

მეგრული მასალა გააანალიზა ტ. გუდავამ (გუდავა 1974: 133-134). ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა ზ. სარჯველაძემ (სარჯველაძე 1987: 1). ს.ქართვ დონეზე ივარაუდება ***კრეჭ-/კრიჭ**-არქეტიპის აღდგენა (ფენრიხი... 2000: 292).

საილუსტრაციო მასალა: ბეეფეს ნჯიის კიბიეფე მოთ **ოკრიჭოლაფან**, წიწი უყოუნანი? (ნ. ლაზიშ., სარფი) „ბავშვები ძილში კბილებს რატომ აკრიჭინებენ, ჭიები ყავთ?"მეშაბღაფათენ კიბეფე **ოკრიჭინაფს** (ი. თანდ.) „სიბრაზიდან კბილებს აკრიჭინებს"; იუქი მონკა გაყვაში კალათიქ **კრიჭინაფს** (ნ. თანდ., სარფი) „ტვირთი რომ დაგიმძიმდება, გოდორი კრიჭინებს".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: ო-**კრიჭ**-ინ-აფ-ს „აკრიჭინებს" ი-**კრიჭ**-ინ-ე-ნ „იკრიჭება".

89.*ლაბ- : ლობ-/ლიბ-

ო-ლიბ-ინ-აფ-ს	ალბობს
ი-ლიბ-ინ-აფ-ს	ილბობს
ო-ლიბ-ინუ	დაალბო
ი-ლიბ-ინ-უ	დაილბო
ი-ლიბ-ინ-ე-ნ	ლბება
ლიბ-ინ-ე(რ)-ი	დამბალი

გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში: პოვეს ოსპი **დამბალი**(A-1105,182v).

ლაზური **ლობ-/ლიბ-** ძირი კანონზომიერად შეესატყვისება **ლაბ-/ლბ-** ს.ქართვ. ძირს.

ლაზ.: ო-**ლიბ**-ინ-აფ-ს „ალბობს"; ო-**ლიბ**-ინუ „დაალბო"

მეგრული მასალა შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1918: 123); ლაზური ექვივალენტი მოიხმო არ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:302-303.) გ. კლიმოვმა აღადგინა ***ლბ-**არქეტიპი ქართ.-ზანური ერთიანობის ხანისთვის (ЭСКЯ: 120). ქართულში ***ლაბ-** ძირი დაუშვა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:303).

საილუსტრაციო მასალა: ბაბაქ ჩაის ქუალი **ოლიბინაფს** დო ეშო იმხორს (ი.თანდ.) „მამა ჩაიში პურს ალბობს და ისე ჭამს"; ქალამანიში გიონი მიღუნ... დოხაკარი, დოლიბინი (ჩიქ. I, 105,13,15) „ქალამანის ტყავი მაქვს... დაფხიკე, დაალბე"; ხომბლა იყვენ, წკაის ქოგდოლიბინაფს (ჩიქ. I, 165,25) „მშრალი იქნება , წყალში ჩაალბობს".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ო-**ლიბ**-ინ-აფ-ს „ალბობს" – ი-**ლიბ**-ინ-ე-ნ „დალბობა შეიძლება".

90. *ლაგ- : ლოგ-

ლოგ-ინ-აფ-ს	აფასებს
ი-ლოგ-ინ-ე-ნ	ფასდება
დო-ლოგ-ინ-ეს	დააფასეს

ს. ქართვ. ***ლაგ-** ძირს კანონზომიერად შეეფარდება მეგრ. **ლოგ-** და სვან. **ლაგ-/ლHგ-/ლგ-**:

მეგრ.: ლოგ-ინ-უ-ა „დაფასება"

სვან.: ა-**ლაგ-Eენ**-ი „აფასებს"

***ლაგ-** არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 138).

საილუსტრაციო მასალა: კოჩი კოჩობათენ ილოგინენ (ი. თანდ.) „კაცი კაცობით ფასდება".

91. *ლეს-:ლას-

ლას-ირ-უფ-ს	ლესავს
უ-ლას-ირ-უფ-ს	ულესავს
ი-ლას-ირ-ე-ნ	ილესება
ო-ლას-ირ-უ	ლესვა
ლას-ირ-ელ-ი	გალესილი
ნო-ლას-ირ-ე	განალესი

გვხდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: აღილესნეს ენანი მათნი ვითარცა გუელისანი (ფს. 139, 4); მახვილი მისი ლესულ არს (ფს. 7, 13).

ლაზ.ლას-, მეგრ. ლას- და სვან. ლას- ზუსტად შეესატყვისება ქართულ ლეს-ძირს:

ლაზ.: ლას-ირ-უფ-ს „ლესავს"; ო-ლას-ირ-უ „ლესვა"

მეგრ.: ლას-უნ-ს „ლესავს"; ლას-უ-ა „ლესვა"

მეგრული მასალა შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1895: 107); ლაზური – გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 121); სვანური - მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 139). ქართ.-ზანური ერთიანობის ხანისთვის*ლეს-ძირი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 121). შდრ.: ჩუხუა, 2000: 139.

საილუსტრაციო მასალა: ხამი ლასირით ბიჭეფე ხამი (ი. თანდ.),,ხმალი გალესეთ ბიჭებო ხმალი"; ოლასირუში ქვა მზოღა-პიჯის იძირენ (ი. თანდ.) „სალესი ქვა ზღვის პირას იშოვება"; დევიქ კიბირეფე დილასირუ (დიუმეზ., 85.23) „დევმა კბილები გაილესა"; სარფის წოხლე არგუნიშე მლასირუფე გუიტეს (ა. ნუმანიშვილი, სარფი) „სარფში წინათ ნაჯახის მლესავები დადიოდნენ".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ლას-ირ-უფ-ს „ლესავ" – ი-ლას-ი(რ)-ე-ნ „ილესება".

92. *ლოკ-:ლოკ-/ლოსკ-

ლოსკ-უფ-ს	ლოკავს
უ-ლოკ-უფ-ს	ულოკავს
ი-ლოკ-უფ-ს	ილოკავს
ი-ლოკ-ე-ნ	ილოკება

ლოკ-ინ-ი ლოკვა

ნ-ო-ლოკ-ე ნალოკი

ლოკ-ე(რ)-ი გალოკილი

*ლოკ- ძირი დასტურდება ძველ ქართულში: ჰლოკნ გუამსა მისსა (H-G22,21V).

ლაზური ლოკ-, მეგრული ლოკ- და სვანური ლოკ-ზუსტად შეესატყვისება ქართ. ლოკ-ძირს. ლოკ- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 121).

ლაზ.: ლოსკ-უფ-ს „ლოკავს"; ო-ლოსკ-უ „ლოკვა"

მეგრ.: ლოკ-უნ-ს „ლოკავს"; ლოკ-უ-ა /ლოტკ-უ-ა „ლოკვა"

სვან.: ხუ-ა-ლოკ-ე „ვლოკავ"; ლი-ლოკ-ე „ლოკვა"

საილუსტრაციო მასალა: ხვალა ვორე ლოკეი კითისთეი (ი. თანდ.) „მარტოვარ გალოკილი თითივით"; ფუჯიქ გენი მუში ლოკუფს (ი. თანდ.) „ძროხა მის ხბოს ლოკავს"; კატუქ კუჩხე ილოკამს (ჩიქ. II,4,4.) „კატა ფეხს ილოკავს".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ლოკ-უფ-ს (/ლოსკ-უმ-ს) „ლოკავს" – ი-ლოკ-ე-ნ (/ი-ლოსკ-ე-ნ) „ალოკვა შეიძლება".

93.*ლულ- : ლირ-

ლირ-ს თვლემს

ლირ-ტ-უ თვლემდა

ა-ლირ-ე-ნ ეთვლიმება

გე-ლირ-უ ჩათვლიმა

ქოგია-ლირ-უ ჩაეთვლიმა

ო-ლირ-უ თვლემა

გვხვდება ძველ ქართულში: ჰრულისრული მათი (იერ. 29, 31 OJ).

ლაზური ლირ- და მეგრული რულ-კანონზომიერად შეესატყვისება ქართ-ლურ-/ლულ-ძირს:

ლაზ.: ლირ-ს „თვლემს"; ო-ლირ-უ „თვლემა"

მეგრ.: ლურ-ს „სძინავს"; ლურ-ი „ძილი"

მეგრული მასალა გააანალიზა ნ. მარმა (მარი 1914: 43), ლაზური – არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 302). გ. კლიმოვის მიერ აღდგენილია *ლულ-არქეტიპი (ЭСКЯ: 123).

საილუსტრაციო მასალა: პაპული ოჯაქლუღიკალა ორძის ხეტუ და ლირტუ(ჰევ. ოზშაინ. თურქ.) „ბაბუა ბუხართან სავარძელში იჯდა და თვლემდა"; ჭუმიში თანაფას

მთელიქ **ქოგემალიეს** (სარფი) „დილით გამთენიისას ყველას ჩაგვთლიმა"; ავნის ნუკირი ქომუხთუ დო **ლირტუ** (ჩიქ. II, 86,20) „ავნის ძილი მოუვიდა და თვლემდა".

94. *ლუმხ- : ლომფ-

ლომფ-ო	გალუმპული
დი-**ლომფ-ო**	ძლიერ დასველდა, გაილუმპა
ი-**ლომფ-ე-ნ**	ილუმპება
ლომფ-ე(რ)-ი	გალუმპული

გურულ დიალექტში **გალუმპვა** „გაწუწვას" ნიშნავს. ლაზურში **ლომფო** ნიშნავს აგრეთვე „ჭაობიან, სველ ადგილს".

მეგრულისა და ლაზურის მასალა სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის დაძებნილი. სვანური მასალა შეაპირისპირა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1985: 27).

ჩვენ მიერ მოყვანილი **ლომფ**-ძირი, ვფიქრობთ, უნდა შეესატყვისებოდეს ქართულ **ლუმპ**-ძირს, რომელსაც შეიძლება შევუპირისპიროთ აგრეთვე სვანური **ლHმხ-** (მH-ლHმხ „სველი", „ნესტიანი").

საილუსტრაციო მასალა: ავჯეფე დაღიშენ მთელი **ლომფეი** ქომოხთეს (სარფი) „მონადირეები ტყიდან სულ გალუმპული მოვიდნენ"; ბეე ხვალანა ნაშქვი, მთელი მჭიმა-ტალახის **დილუმპეენ** (ნ. ლაზიშ., სარფი) „ბავშვი მარტო რომ გაუშვი, სულ მთლად წვიმა-ტალახში გალუმპულა".

95.*მთხე-:ნთხ-

ნუ-**ნთხ-უ**	უბიძგა, ჰკრა
უ-**ნთხ-იფ-ს**	უბიძგებს
ა-**ნთხ-ე-ნ**	ებიძგება, ერტყმება
გია-**ნთხ-უ**	დავარდა, დაეცა
გიო-**ნთხ-ინ-უ**	წააქცია
ნთხ-ე(რ)ი	ბიძგით, კვრით

გვხდება ძველ ქართულში: მან მიამთხვა ფერჯი პირისა მეფისასა (აგ. ძეგლ. I, 93,7).

ლაზურსა და მეგრულში **მთხუ**-ძირს კანონზომიერად შეესატყვისებაქართ.**ნთხ**-ძირს (**მთ>ნთ** ასიმილაციური გადაბგერების შედეგად და უ-ს დაკარგვით):

ლაზ.: ნუ-**ნთხ**-უ „უბიძგა"; გია-**ნთხ**-უ „დავარდა"

მეგრ.: დო-**ნთხ**-აფ-ა „დაცემა"; და-**ნთხ**-უ „დავარდა"

მეგრული მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1936: 41), ლაზური – ზ. სარჯველაძემ (სარჯველაძე 1985: 23). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *მთხე- ძირი (ფენრიხი... 2000: 330).

საილუსტრაციო მასალა: ბეეს ხე გიაკნი ვარ **გიანთხას** (ი. თანდ.) „ბავშვს მოკიდე ხელი არ დაეცეს"; **ნუნთხი** დო მელაფს (ი. თანდ.) „მიუბიძგე და გადავარდება"; კოჩი **გიონთხინუ** (ი. თანდ.) „კაცი წააქცია"; **უნთხი, უნთხი** დო გიქთენ (ი. თანდ.) „უბიძგე (ურტყი), უბიძგე და წაიქცევა".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: უ-**ნთხ**-იფ-ს „უბიძგებს" – ი-**ნთხ**-ინ-ე-ნ „ვარდება".

96. *მყან-/მყნ-: მპონ-

გიო-**მპონ**-აფ-ს	ამყნობს
გდო- **მპონ**-უ	დაამყნა
გი-**მპონ**-ე-ნ	დაიმყნობა
გე-**მპონ**-უ	დამყნობა
გე-**მპონ**-ე(რ)-ი	დამყნობილი
უგე-**მპონ**-უ	დაუმყნობელი
გენო-**მპონ**-ე	დანამყნობი

დასტურდება ძველ ქართულში: **დაემყენ** მათ ზედა და თანაზიარ ძირისა სიპოხისა ზეთისხილისა იქმენ (პრომ. 11,17).

მყნ-ძირის შესატყვისია მეგრ. **Gონ**- და ლაზ.**მპონ**-, რომელიც **პ**- თანხმოვანს შეიცავს.პ-ს წარმომავლობა გასარკვევია (ფენრიხი... 2000: 339). ფენრიხის აზრით, სვანური ლი-**მყინ**-ე შეიძლება ნასესხები იყოს (ფენრიხი 1982: 36).

მეგრული მასალა შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1918:142); ლაზური – არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1938: 306). **მყან**-არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 139).

საილუსტრაციო მასალა: აია მცხული მან ჯუმა ჩქიმიქ **გემიმპონუ** (ი. თანდ.) „ეს მსხალი მე ბიძაჩემმა დამიმყნო"; **გემპონეი** ლუღი დიდო სქიდუნ და მჩხუთი იჩანებს (ა. თანდ., სარფი) „დამყნობილი ლეღვი ბევრს ცოცხლობს და მსხვილებს ისხამს"; არ ბადი კოჩიქ ბაღის მცხული **გდომპონაპტუ** (ჩიქ. I,1472, 26)ერთი მოხუცი კაცი ბაღში მსხალს ამყნობდა".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: გი-ო-**მპონ**-აფ-ს „ამყნობს" – გი-**მპონ**-ინ-ე-ნ „დაიმყნობა".

97.*მცენ-/ მც!ნ- : მჩინ-/ჩინ-

ნუ-**მჩინ**-ამ-ს	ამცნობს, უთვლის
ნუ-**მჩინ**-უ	ამცნო, დაუბარა
დუ-**მჩინ**-უ	დაუბარა
გე-**ჩინ**-ა-დუ	დაბარება, დააბარა
ჩინ-ა-დ-ვ-ერ-ი	დაბარებული
ჩინ-ა-დ-უმ-ერ-ს	აბარებს

გვხვდება ძველ ქართულში: თავადმან **ამცნო** მათ (ლ, 8, 56);შევიყვარენ **მცნებანი** შენნი (ფს. 118,127).

ქართ. **მცენ-** (<**მც!ენ-**)- ზირის ზუსტი ფონემური შესატყვისია ლაზ.**მჩინ-** და მეგრ. **ჩინ-**:

ლაზ.: ნუ-**მჩინ**-ამ-ს„ ამცნობს, უთვლის"

მეგრ.: უ-**ჩინ**-ან-ს „უთვლის"; დო-**ჩინ**-ა „დაბარება", „მცნება"

ლაზური და მეგრული მასალა გააანალიზა გ. მაჭავარიანმა (მაჭავარიანი 1961: 258). ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზეგ. კლიმოვმა **მც!ნ-** არქეტიპი აღადგინა (ЭСКЯ: 141).

საილუსტრაციო მასალა: ჭიტა ჯუმაქ დევის ნუმჩინუ(ლაზ. ზღაპ.) „პატარა ბიჭმა დევს შეუთვალა"; აშო **ქოგეჩინადუ** დო მუქ ზაბუნი (ძაბუნი) ბაბა-მუშიშა მენდახთუ(კარტ.18,96) „ასე დააბარა და თვითონ ავადმყოფ მამასთან წავიდა"; კულანი **ჩინადვეი** ნა ტუშენი ნენა ვარ იშილუ (ლაზ. ზღაპ.) „გოგოს, დაბარებული რომ იყო, ხმა არ ამოუღია".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ნუ-**მჩინ**-ამ-ს„ ამცნობს"- ი-**ჩინა**-დვ-ე-ნ „ემცნობა".

98.*მჯე- : მხვ-

დო-**ხვ**-აფ-ს	მარხავს
დი-**ხვ**-ე-ნ	იმხობა (მიწაში, სილაში)
გ!ა-**მხვ**-ე-ნ	ემხობა
დო-**ხვ**-აფ-ან	ასაფლავებენ, მიწაში დებენ

დო-ხვ-ე(რ)-ი ჩაფლული, მიწა მოყრილი

დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: მის გამო ყო **დამჯობაი** (აპოკრ. მოციქ. 10,28).

ქართულ მხუ- შეესატყვისება ლაზ. მხვ-,მეგრ.ხუ-<მხუ- და სვანური მჯ-:

ლაზ. გე-მხვაფა „დამხობა"; „მკვდრის მიწაში ჩადება"

მეგრ.: დო-ხუ-აფ-ა „დამხობა"

სვან.: ლი -ნჯე-ე „დამხობა"; ა-ნჯუ-ემ „ამხობს"

ქართველური მასალა შეაპირისპირა და ს.ქართვ. დონეზე *მჯე- ძირი აღადგინა გ. კლიმოვმა აღადგინა (ЭСКЯ: 149).

საილუსტრაციო მასალა: ჯოღოი დოხოცქაში ლეტას **დოხვაფან** (ი. თანდ.) „ძაღლი რომ გაცდება მიწაში დებენ" (დამხობილს?); საღი ვორე მარა ლეტას **დოხვეისთეი** ვორე(სარფი) „ცოცხალი ვარ, მაგრამ მიწაში ჩადებულს ვგავარ".

ზმნას აქვს აქტიური და პასიური ვარიანტები: დო-ხვ-აფ-ს „ამხობს" – დი-ხვ-ინ-ე-ნ „დაიხმობა".

99. *ნ-: ნ-

უ-ნ-ონ	უნდა
უ-ნ-ტ-უ	უნდოდა
უ-ნ-ტ-ეს	უნდოდათ
უ-ნ-ონ-ან	უნდათ
უ-ნ-ტ-ა-ს	უნდოდეს
ი-ნ-ინ-ე-ნ	ინდომილება
ა-ნ-ინ-ე-ნ	ენდომილება

გვხვდება ძველ ქართულში: რაიგნებავს შე (მთ. 22,17); იყავნ **ნება** შენი (ლოცვა)...

ქართული ნ-ძირის კანონზომიერი შესატყვისია ლაზური ნ-და სვანური ნ-:

ლაზ.: უ-ნ-ონ „უნდა"

სვან.: ხ-ო-ნ-ი „სურს"

შდრ. აჭარ.: უ-ნ-დ-ან-ან „უნდათ"; მუუნდებიან წავლენ, მუუნდებიან მოვლენ.

საერთო ქართველური ფუძე-ენის დონეზე მასალა შეაპირისპირა და ნ- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 145).

საილუსტრაციო მასალა: **მინონჭი** სქანი მსქვა თოლ-პიჯი ოხვამუშენი გოწაიდგინა(ი. თანდ.) „მინდა, რომ შენი ლამაზი თვალ-სახე სალოცავად წარმოვიდგინო"; ვარ **გინონ**-ნა-დოთქვი ბაშქა დობგორა (ხალხ. პოეზია) „თუ არ გინდა, თქვი, სხვა შევიყვარო"; ვა **მინონ**, ვა **მინონ** ჩქვა მითი მაყვას (ი. თანდ.) „არ მინდა, არ მინდა, სხვა ვინმე მყავდეს"; აია კალლეშა ამახთიმუ **მინონ** (კარტ.20,38) „ამ ციხეში შესვლა მინდა".

100. * ნატ-: ნანტ-

ი-(ნ)ტურ-ს ნატრობს

ი-(ნ)ტურ-ტ-უ ნატრობდა

ი-(ნ)ტურ-უ ინატრა

ო-ტურ-უ ნატვრა

როცა ქართულ **ნატ**-ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ნოტ-** და სვანური **ნატ-**, დასაშვებია ლაზური **ნანტ-/ ნტ** -ძირის შეპირისპირება, სადაც **ნ**- შეიძლება განვითარებული იყოს.

ლაზ.: ო-ტურ-უ „ნატვრა"

მეგრ.: **ნოტ-/ნიტ-**: **ნოტ**-ე/ **ნიტ**-ე „ნეტავ"

სვან.:**ნატ**-იელ-უ/ **ნატ**-იალ „ ნეტამც"

მეგრული მასალა შეაპირისპირა გ. მაჭავარიანმა (მაჭავარიანი 1958: 268); სვანური ეკვივალენტი გამოავლინა და ს.ქართვ. დონეზე აღადგინეს თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანმა (გამყრელიძე1965: 159).

საილუსტრაციო მასალა: ვარ უღუტუ, მარა **იტურტუ** (ი. თანდ.) „არ ჰქონდა, მაგრამ ნატრობდა".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ი-**ნანტრ**-უფ-ს „ნატრობს" – ი-**ნანტრ**-ე-ნ „ნატვრა შეიძლება".

101.*პენტ- : პინტ-

პინტ-უფ-ს პენტავს

დო-**პენტ**-უ დაპენტა

სულხან-საბას მიხედვით: **პენტვა** „ბამბით გადვრინვა".

ქართ. **პენტ**- ძირს შეესატყვისება მეგრ. **პინტ**- , ლაზ. **პინტ**-და სვან. **პენტ**-:

ლაზ.: **პინტ**-უფ-ს „პენტავს"

მეგრ.: **პინტ-უ-ა** „პენტვა"

სვან.: ლი-**პენტ-ე** „პენტვა"

მასალა შეაპირისპირა და ***პენტ-** ძირი ს.ქართვ. დონეზე აღადგინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1988: 30).

საილუსტრაციო მასალა: შილთ დო იასთუღი კაი ხემა **დოპენტი** (სარფი) „ლეიბი და ბალიში კარგად დაპენტე"; იასთუღი ვა **პენტაში**, იპეჯანენ (ნ. ლაზიშვილი, სარფი)„ბალიშა თუ არ დაპენტავ, სქელდება".

ზმნას აქვს აქტიური და პასიური ვარიანტები: **პინტ-უფ-ს** „პენტავს" – **ი-პინტ-ე-ნ** „იპენტება".

102. *პერწკ- : პინწკ-/პიწკ-

ნო-პი(ნ)წკ-ალ-ე	ნაპერწკალი
მე-მო-პინწკ-ალ-ი	მომინაპერწკლე
მე-მა-პინწკ-ალ-უ	მიმენაპერწკლა
ნუ-პინწკ-ალ-უ	მიუნაპერწკლე
მ-ე-პინწკ-ალ-უ	მენაპერწკლება

ლაზური ნო-პინწკ-ალ-ე ***ბერწყ-** ძირის კანონზომიერ ფონემურ შესატყვისს წარმოადგენს, მომდევნო აბრუპტიულ **წყ** კომპლექსთან ასიმილაციის შედეგად **ბ>პ** (შმიდტი 1962: 99). რ ნ-დ იქცა წ-ს მეზობლა (ჟღენტი 1953: 123). ე > ი შეფარდება პოზიციურად აიხსნება (მელიქიშვილი 1975: 122-128).

მეგრული მასალა გააანალიზა გ. დეეტერსმა (დეეტერსი 1926: 82); ლაზური მასალა –არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 158); სვანური **ბერწყ-** ნასესხებად მიიჩნევა (ფენრიხი... 2000: 106).

საილუსტრაციო მასალა: ოჯაქლუღი ვოგზაფტიში ნოჩენჩხალი **მემაპინწკალუ** „ბუხარს რომ ვანთებდი ნაკვერჩხალი მომენაპერწკლა (მომხვდა)".

103.*რ- :რ-

ვ/ზ-ო-რ-ე	ვარ
ო-რ-ე	ხარ
ო-რ-ე-ნ	არის
ვ-ო-რ-ე-თ	ვართ
ო-რ-ტ-ა-ნ	იყვნენ

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: თქუენ თანა **ვარი**(მთ. 28.20); კაცი ცოდვილი **ვარი** (ლ, 5,8); ჭეშმარიტად ძეი ღმრთისაჲ **ხარი** (მთ. 14. 33).

ს.ქართვ. **რ**- ძირს შეესატყვისება ლაზ. **რ**-, მეგრ. **რ**- და სვან. **რ**-:

ლაზ.: ვ/ბ-ო-**რ**-ე „ვარ"; ო-**რ**-ე-ნ„არის"

მეგრ.: ვორექ „ვარ"; ვორდი „ვიყავი"; **რე** „არის"; **რ**-ინ-ა „ყოფნა"

სვან.: **რ** ხE-ა-**რ**-ი „ვარ"; ა-**რ**-ი „არის"; ხ-ა-**რ**-ა

ქართველური მასალა გააანალიზა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 307. ს.ქართვ. ფუძე-ენის დონეზე **რ**- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 154).

საილუსტრაციო მასალა: დაღის **ვორე** შქას ლივერი გომოტკუნ (ი. თანდ.) „ტყეში ვარ, წელზე დამბაჩი მიკიდია"; ჰაწი რახატი **ხორე** (ჩიქ. II, 264, 36) „ახლა მოსვენებით ვარ"; სი მუფეი კოჩი **რე**? (ჩიქ. I, 401-6) „შენ როგორი კაცი ხარ?"მითხანი... **რეთ** (ჩიქ. I, 429-37) „ვიღაცა...ხართ".

104. *რათხ/რთხ/ნთხ-: ნთხ-

გო-**ნთხ**-იფ-ს	გაშლის
გუ-**ი**-**ნთხ**-ე-ნ	იშლება
გო-**ნთხ**-უ	გაშალა
გუ-**ნთხ**-უ	გაუშალა
მე-**ნთხ**უ	მოკიდა
გო-**ნთხ**-იმ-ერ-ი	გაშლილი

გვხვდება ძველ ქართ. წერილობით ძეგლებში: **აღრთხმა** „აღმართვა, აზიდვა; **გარდათხმა** „გადაჭიმვა, გადაფარვა"; **წარმოთხმა** „გაშლა, გაჭიმვა".

ქართული **რთხ**- (<რათხ-) ძირის შესატყვისად ლაზურში გვაქვს **ნთხ**- (<რთხ-); მეგრული **თხ**-(**რთხ**-) ზუსტად შეესატყვისება ქართულ **რთხ**-ძირს, სვანური **რთხ**-ქართული **რთხ**-ძირის შესატყვისია:

ლაზ.: გო-**ნთხ**-უ „გაშალა (ხელი)"

მეგრ.: ხე ქი-მე-**თხ**-უ „ხელი მოჰკიდა"

სვან.: ი-**რთხ**-ინ/ჰრთხ-ინ „მტკაველი"

მეგრ.- ლაზ. მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:288, 284). ქართ-ზანური ერთიანობის ხანისთვის **რთხ**-არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 156).

საილუსტრაციო მასალა: მოსა **გონთხი, გონთხი** (დ. მემიშიში, სარფი) „ბადე გაშალე, გაშალე"; შქას **გუინთხი** მონდრაკეი მო გულურ (ნ. ლაზაშვილი, სარფი) „წელში გაიშალე მოდრეკილი ნუ დადიხარ"; ლაზეფექ მჟოლიშ თუდე მოსა **გონთხიფან** დო ფათხუფან მჟოლი ეშო წილუფან (ნ. კაკაბაძე, სარფი) „ლაზები თუთის დაბლა ბადეს გაშლიან და ბჟოლს ფერთხავენ, ასე კრეფენ მას"; მაკვანდეს ხე **გონთხიმეი** ქოდუსკიდუ (სარფი) „მათხოვარს ხელი გაშლილი დარჩა".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: გო-**ნთხ**-იფ-ს „გაშლის" – გუ-ი-**ნთხ**-ე-ნ „იშლება".

105. *რაცხ-: როცხ-/რეცხ-

კო-**როცხ**-უფ-ს	ითვლის
ბკო-**როცხ**-ი	დავთვალე
ი-კო-**როცხ**-ე-ნ	ითვლება
ოკო-**როცხ**-უ	დათვლა
კო-**რეცხ**-ალ-ა	თვლა (დათვლით ტირილი), მოთქმა.
უ-კო-**როცხ**-უ	დაუთვალა
კო-**როცხ**-ელი	დათვლილი

გვხვდება ძველ ქართ. წერილობით ძეგლებში: თქვენი თავისა თმანიც ყოველნი **აღრაცხილნ** არიან (მთ. 10, 30c).

ქართული **რაცხ**- ძირის ზუსტი შესატყვისია მეგრ. **როცხ**- და ლაზ. **როცხ**-. **კო კო-როცხ**-ფუძეში ძირის კუთვნილებად არ მიაჩნიათ.

ლაზ.: კო-**როცხ**-უფ-ს „ითვლის"; ო-კო-**როცხ**-უ „დათვლა"

მეგრ.: **კო-როცხ**-უნ-ს„ითვლის"; **კო-როცხ**-უ-ა„დათვლა"

ქართველური მასალა გააანალიზეს: ნ. მარმა (მარი 1908: 2), არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 297). ს.ქართვ. ფუძე-ენის დონეზე ***რაცხ**- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 157).

საილუსტრაციო მასალა: აკო ფარ ვარ **იკოროცხეტუ** (ჩიქ.I, 57,7) „ამდენი ფული არ დაითვლებოდა"; **კოროცხელი** მგარას გიოჭკაფან (ჩიქ.I, 162,20) „მოთქმით ტირილს იწყებენ"; **ვუკოროცხათ!** ვიტოჟურ კუდელი უღუნ (ჩიქ. II, 75,10) „დავუთვალოთ! თორმეტი კუდი აქვს".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: კო-**როცხ**-უფ-ს „ითვლის" -ი-კო-**როცხ**-ე-ნ „ითვლება".

106. *რაც-: რჩ-

ო-**რჩ**-აფ-ს	შლის
დი-**რჩ**-ე-ნ	იშლება
დვა-**რჩ**-ე-ნ	ფეხქვეშ ეგება
დო-**რჩ**-უ	გაშლა (ლოგინის)
ოკო-**რჩ**-ონ-ი	გასაშლელი
დო-**რჩ**-ელი	დაფენილი

გვხვდება ძველ ქართულში: წერილებში, ძეგლებში: **დარეცენით** იგინი გზათა ზედა მათთა (ივდ. 14,5,0); ყრმანი იგი ჩემ თანა არიან **სარეცელსა** ზედა (ლ.11,7).

ქართ. **რეც-** (<***რაც-**) ზირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. **რჩ-**, მეგრ. **რჩ-** და სვან. **რაშ-/რშ-**:

ლაზ.: დო-**რჩ**-უ „გაშლა"

მეგრ.: ო-**რჩ**-ან-ს „შლის (ლოგინს)";დო-**რჩ**-აფ-ა „დაგება"

სვან.: ი-**რშ**-ი „შლის"; ლი-**რშ**-ი „ გაშლა"

ქართველური მასალა გააანალიზეს: ნ. მარმა (მარი 1911-14: 219; 1914: 37). ს.ქართვ. ფუძე-ენის დონეზე ***რაც-** არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 159).

საილუსტრაციო მასალა: ონჯეე **მერჩეი** რენ მეხთი დო ქოდინჯიი (ი.თანდ.) „ლოგინი გაშლილია მიდი და დაიძინე"; მეხთი **დვარჩით** დო ოხვეწი (ი.თანდ.) „მიდი (ფეხქვეშ) დაეგე და ეხვეწე"; **ეჟარჩაფულე** ონახუში დიყვეენ (ნ.დარჩია, სარფი) „გადასაფარებელი (ზეწარი) გასარეცხი გამხდარა".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ო-**რჩ**-აფ-ს „შლის" - ი-**რჩ**-ე-ნ „იშლება".

107. *რგ- : რგ-

მ-ო-**რგ**-უ-ნ	მერგება, შემეფერება
გო-**რგ**-უნ-	გერგება, შეგეფერება
ო-**რგ**-უ-ნ	ერგება, შეეფერება
მ-ო-**რგ**-აფ-უ	მოგება

გვხვდება ძველ ქართულში: არას **არგებს** (მათ. 27,24); ირგებთ; გერგო...

ლაზ.რგ -, მეგრ.რგ - და სვან. რგ- კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. რგ-ს:

ლაზ.: ო-რგ-უ-ნ „ ერგება, შეეფერება"

მეგრ.: ი-რგ-უ „ვარგა"; ო-რგ-უ „ერგება"

სვან.: ლი-რგ-ე „რგება"

მეგრული მასალა შეაპირისპირა ი. ყიფშიძემ (ყიფშიძე 1914: 304 : ლაზური – გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 91), სვანური – ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1987:34). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *რგ- ძირი (ფენრიხი... 2000: 380).

საილუსტრაციო მასალა: ია სქანი დულდა ვარ იენ, სი მუს **გორგუნ**. ქანიწკი (ს. ქერეჯოღლი) „ის შენი საქმე არ არის, შენ რაში გერგება, შეეშვი"; მა ვა **მორგუნნა** მუ ჰყვაი? (ა. თანდ., სარფი) „მე თუ არ მარგია, რად მინდა?"

108. *რგ-:რგ-

ო-რგ-აფ-ს	რგავს
დო-რგ-აფ-ს	დარგავს
ი-რგ-ე-ნ	ირგვება
ო-რგ-აფ-უ	დარგვა
ო-რგ-ალე	სარგავი
ნო-რგ ე	ნარგავი
მ-რგ-ალ-ე	მრგველი

გვხდება ძველ ქართულში: ყოველი ნერგი რომელი არა **დაბნერგა** მამან ჩემმან ზეცათამან, ძირითურთ აღიფხურეს (მთ. 15, 13(ხანმ.).

ქართული რგ-, მეგრული **რგ-** და ლაზური რგ- კანონზომიერად შეესატყვისება ერთმანეთს:

ლაზ.: ო-რგ-აფ-უ „დარგვა"; ო-რგ-აფ-ს „რგავს"

მეგრ.:რგ-უ-აფ-ა „რგვა"; ო-რგ-უ-ან-ს „რგავს"

მეგრული მასალა შეაპირისპირა ვ. თოფურიამ (თოფურია 1926: 203): ლაზური – ი. ჯავახიშვილმა (ჯავახიშვილი 1930: 203). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია ***რგ-** ძირი (ფენრიხი... 2000: 380). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 118).

საილუსტრაციო მასალა: მაჩუდიქ კარტოფი **ქოდორგუ** (ჩიქ. I, 434-35) „მამუდმა კარტოფილი დარგო"; ქოდოყრგი ღობია, ვარ ეშახთუ კანტარი (ლაზ. ანდაზა) „დავრგე

ლობია არ ამოვიდა კვირტი" ; სოღანი და რგეი ვარ მიღუნ (ასათ. 82,16) „ხახვი ჯერ დარგული არ მაქვს"; დორგუმუ გევოჭარე (ჩიქ. II, 1 02, 12) „დარგვა დავიწყო"?

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ო-რგ-აფ-ს „რგავს" – ი-რგ-ე-ნ „ირგვება".

109. *რეკ- : რაკ-

რა(ნ)კ-ალ-აფ-ს	ერაკუნება
ი-რაკ-ალ-ს	რაკუნობს
უ-რა(ნ)კალ-ს	ურაკუნებს
ო-რაკ-ალ-უ	რეკა
რა(ნ)კალ-ე(რ)-ი	რაკუნით

გვხვდება ბევრ ქართულში: დაჰრეკა დეკანოზმან სარეკელსა, რაითა ძმანი შემოკრბენ (ლიმაინ. 6,5).

ქართული რეკ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური რაკ-/რანკ-, რომელიც შემონახულია წარმოქმნილ ფორმებში:

ლაზ.: რა(ნ)კ-ალ-აფ-ს „ერაკუნება"

სვან.: ლი-რკ-ჰნ-ი „დარეკვა"; ა-რკ-ჰნ-ე „რეკავს"

ქართველური მასალა გააანალიზა და ს.ქართვ. ფუძე-ენის დონეზე *რეკ- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 155).

საილუსტრაციო მასალა: ყონას ორანკალინიქ რანკალაფს დო მთუთი ვარ ნალენ (ნ. კაკაბაძე, სარფი) „ყანაში სარეკელა რაკუნობს და დათვი ვერ მივა"; ორაკალონი კაიკის მემცხვეი რენ (ასათ. 102, 185) „სარეკელა კაიკზე მიბმული არის".

ზმნას აქვს აქტიური და პასიური ვარიანტი: რა(ნ)კ-ალ-უ-ფ-ს „არაკუნებს" – ირა(ნ)კალენ „ირაკუნება".

110. *რეცხ-/რცხ- :ჩხ-

ჩხ-იფ-ს	რეცხავს
უ-ჩხ-იფ-ს	ურეცხავს
დო-ჩხ-უ	გარეცხა
ი-ჩხ-ე-ნ	ირეცხება
ო-ჩხ-უ	რეცხვა
ო-ჩხ-უში	გასარეცხი

ნ-ო-ჩხ-ე ნარეცხი

გვხვდება ძველ ქართულ ძეგლებში: **რცხიდეს** მათ ცრემლითა (A – 1105,97.R).

ქართული **რცხ-** (რეცხ-) რედუცირებულ ვარიანტს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **რჩხ** -, ლაზური **ჩხ-** და სვანური **რჩხ** -:

ლაზ.: **ჩხ-იფ-ს„რეცხავს"**; **ო-ჩხ-უ „რეცხვა"**

მეგრ.: **რჩხ-უნ-ს „რეცხავს"**; **რჩხ-უ-ალ-ა „რეცხვა"**

სვან.: **ლი-რჩხ-ჰნ-ე „წყალში გავლება"**

შდრ. აჭარ.: **ნარცხი „ბროხის საჭმელი (განარეცხი"**

მეგრული მასალა შეაპირისპირა ი. ყიფშიძემ (ყიფშიძე 1914: 312); ლაზური – ნ. მარმა (მარი 1910: 212), სვანური – გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 159). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია ***რეცხ-/რცხ-ძირი** (ЭСКЯ: 159; ფენრიხი... 1990: 258).

საილუსტრაციო მასალა: აღანი ნისაქ კაი **ჩხიფს** (ანდაზა) „ახალი რძალი კარგად **რეცხავს**"; ანგი **ფჩხიფ** (ნ. ლაზაშვილი, სარფი) „ჭურჭერლს ვრეცხავ"; კიზი... ხამი... **ჩხიფს** (ჩიქ. I, 505,28); წკაიშა იმელან დო კაი **დოჩხიფან**, კაი ვა **ჩხან** - ში შუა აყვენ (ჩიქ. I, 76, 10-12) „წყალზე წაიღებენ და კარგად გარეცხავენ, კარგად თუ არ გარეცხავენ სუნი ექნება"; ბაზაიშენ ნა მუღა მუთუ, კაი **დოჩხი** (ი. თანდ.) „ბაზრიდან რომ მოიტან კარგად გარეცხე"; კიბირიში ფურჭა დო კიბირიში **ოჩხუში** ჭამი (ჩიქ. I, 123-15) „კბილის ჯაგრისი და კბილის გასარეცხი წამალი"; ჰემუს **გონოჩხე** ტუ (ჟღ. 100,21) „იქ განარეცხი იყო".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: **ჩხ**-იფ-ს „რეცხავს" – **ი-ჩხ-ე-ნ** „ირეცხება".

111. ***რე-ჯე-/ჯე- : ჯგ-**

ო-**ჯგ**-ინ-ამ-ს სჯობნის

ო-**ჯგ**-ინ-უ აჯობა, სძლია

ს. ქართვ. ***ჯე-** ძირს კანონზომიერად შეეფარდება მეგრ. **ჯგ-** და სვან. **რე-სგე-/რ-სგE-/ს-ერ:**

მეგრ.: **რ-ჯგ-ინ-ა** „ძლევა, მორევა"

სვან.: **ა-რსგე** „სცემს, მოერევა"; **ლი-სრ-ე** „ჯობნა"

ჭანურშიდაიკარგა: **ჯგე>ჯგ-**.

***რე-ჯე-/ჯე-** არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 190-191).

საილუსტრაციო მასალა: **ჯგინეი** კოჩიშა კუჩხე ვარ გიჩენ (ი. თანდ.) „დამარცხებულ კაცზე ფეხი არ დაიკვრება".

112. *რწ-: ნწ-

ო-**ნწ**-აფ-ს არწევს

უ-**ნწ**-აფ-ს ურწევს

ი-**ნწ**-ე-ნ დაირწევა

ო-**ნწ**-უ რწევა

მ-ე-**ნწ**-უ შეხება

მეგრული **ნწ**- და ლაზური **ნწ**- ზუსტად შეესატყვისება ქართ. **რწ**- ძირს:

ლაზ.: ო-**ნწ**-აფ-ს „არწევს"

მეგრ.: ი-**ნწ**-ალ-უ „იძრა"

მეგრული მასალა შეაპირისპირა ი. ყიფშიძემ (ყიფშიძე 1914: 291); ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა და ***რწ**- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 159).

ო-**ნწ**-უ ლაზურში აგრეთვე აღნიშნავს „ზღვაზე ანკესის ზემოდანქვემოთ მოძრაობას და კიდევ ჩურჩხელის თათარაში ამოვლებას ზემოდანქვემოთ"; ქიუმეში **ონწუ**„ჩურჩხელია თათარაში ამოვლება"; **ქიუმე ონწაფს** „ჩურჩხელას აწობს (თათარაში).

საილუსტრაციო მასალა: მერაბიქ ჩხომის ანკეცი **უნწაფს** (სარფი) „მერაბი თევზს ანკესს ურწევს"; ნანაქ ჭიტა ბეეს **ონწელი უნწაფს** (სარფი) „დედა პატარა ბავშვა აკვანს ურწევს".

ზმნას აქვს აქტიური და პასიური ვარიანტები: ო-**ნწ**-აფ-ს „არწევს" – ი-**ნწ**-ე-ნ „დაირწევა".

113. *სემ-/სმ- : სიმ-

უ-სიმ-ინ-ს უსმენს

ნა-სიმ-ინ-ე-ნ უსმენს

ი-სიმ-ინ-ე-ნ ისმინება

ა-სიმ-ინ-ე-ნ ესმის

ო-სიმ-ინ-უ მოსმენა

სიმ-ინ-ე(რ)-ი მოსმენილი

ო-სიმ-ინ-ალ-ე მოსასმენი

გვხვდება ძველ ქართულში: **ხესმა** რაჲ ესე იესუს (მთ. 8,10); რაითა **შეხასმინონ** იგი (მრკ. 3,2).

ლაზური სიმ- , მეგრული სიმ- და სვან. სიმ-/სჰმ- ს.ქართვ. სმ- ძირის შესატყვისია:

ლაზ.: უ-სიმ-ინ-ს „უსმენს"; ო-სიმ-ინ-უ „მოსმენა"

მეგრ.: ა-სიმ-ე„ესმის"; სიმ-ა „გაგონება"

სვან.: ე-სმ-ი „ესმის"; ლი-სჰმ-ინ-ე „გაგონება"

მეგრული მასალა შეაპირისპირა ი. ყიფშიძემ (ყიფშიძე 1914: 318), ლაზური – არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 314); სვანური – ნ. მარმა (მარი 1912: 32). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *სემ-/სმ- არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 399). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 164-165).

საილუსტრაციო მასალა: კაი **მემისიბინი** და ოკულე თქვი (სარფი) „კარგად მომისმინე და მერე თქვი"; კოჩიქ ნა გიღარღალტას კაი **უსიბინი** (სარფი) „კაცი რომ გელაპარაკება კარგად მოუსმინე"; არქადაშეფექ ვა **მემისიმინეს** (ჩიქ. 478, 28) „ამხანაგებმა არ მომისმინეს"; ჩქიმი ტელეფონი **ისიბინენ** (ი. თანდ.) „ჩემი ტელეფონი ისმინება".

ზმნას აქვს აქტიური და პასიური ვარიანტები: უ-სიმ-ინ-ს „უსმენს" – ი-სიმ-ინ-ე-ნ „ისმინება".

114. *სე-: სვ-/ ს-

უ-სუ-მ-ე-რ-ს	უსვამს
ი-სვ-ე-ნ	წაისმევა
უს-ვ-ი	წაუსვი
დო-უ-ს-უ	წაუსვა
ო-სუმ-უ	წასმა
მე-სვ-აფუ	წასმა

გვხვდება ძველ ქართულში: **უსუემდით** მას ზედა მარილსა...

საილუსტრაციო მასალა: ია ჭამი ბაბა ჩქიმიქ ბითთუმ **მუსიმერტუ** (ჩიქ. I,93,8) „იმ წამალს მამაჩემი სულ მისვამდა"; სუფრას კატუ კუჩხეფეს **მასვეტუ** (კაკაბაძე, სარფი)„სუფრაზე კატა ფეხებზე მესმევოდა"; ჭკვინეი ქვას ხე ვარ **ნისვენ** (ი. თანდ.) „ცხელ ქვაზე ხელი არ წაისმევა"; **ისვი** ფერო დო კალა (ყიფშ. 68,5) „წაისვი ფერო და კალა".

ქართული სუ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. სვ-/ს-და ლაზ. სვ-/ს-:

ლაზ.: უ-სუ-მ-ე-რ-ს „უსვამს"

მეგრ.: უ-სვ-ან-ს„უსვამს"

ქართველური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა1938: 325-311). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *სე-არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 400). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 163).

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები; უ-სუმ-ერ-ს „უსვამს" – ი-სვ-ე-ნ „წაისმევა".

115. *სეერ- : სვარ-

სვარ-უფ-ს	აწყობს (რიგში)
დო-სვარ-უ	დააწყო
ი-ნსვარ-ენ	იწყობა
ო-სვარ-უ	დაწყობა
სვარ-ელ-ი	დაწყობილი
ნო-ნსვარ-ე	დანაწყობი

ქართ. სვრ-(<*სეერ-) ფორმას შეესატყვისება მეგრ. სვარ- და ლაზ. სვარ-:

ლაზ.: ო-სვარ-უ „დაწყობა"

მეგრ.: გილა-სვარ-უ-ა „მწყობრად სიარული"

მეგრული და ლაზურის მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:311-312). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *სეერ- არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 402).

საილუსტრაციო მასალა: ოხოიშა მეფთიში ნანას მთელი შეი მენსვალეი უღუტუ (ი. თანდ.) „სახლში რომ მივედი დედას ყველაფერი დალაგებული ჰქონდა"; თოკი დიხმააში, დონსვაი დო ქოგელოკიდი (ი. თანდ.) „თოკს რომ იხმარ, დააწყვე და ჩამოკიდე" ; დულია ნსვალეი გიღუტასინონ (ი. თანდ., სარფი) „საქმე დაწყობილი უნდა გქონდეს".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: სვარ-უფ-ს „აწყობს" - ი-ნსვარ-ე-ნ „იწყობა".

116. *სეერ- : სვარ-

ო-სვარ-უჭრა

ს. ქართვ. *სეერ- ძირსკანონზომიერადშეეფარდებამეგრ.სვარ-დასვან. შეარ-:

მეგრ.: სვარ-უ-ა „ჭრა"

სვან.: შეარ-ა „წყლული, იარა"

*სეერ- არქეტიპიაღადგინამ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 306).

117. *სთ- : სთ-

დო-სთ-უნ წყდება

მე-სთ-უ მოსწყდა

ს. ქართვ. *სთ- ძირს კანონზომიერად შეეფარდება სვან. შდ-Ინ/შტ-Ინ : ხ-ე-შდ-ნ-ი „ავიწყდება", ლᲘ-შდ-ნ-ე „დავიწყებული".

*სთ-არქეტიპიაღადგინამ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 302).

საილუსტრაციო მასალა: ბუტკას მჭიმაში ჭვეთი მესთუნ (ი. თანდ.) „ფოთოლს წვიმის წვეთი სწყდება".

118. *სხ- : ცხ-/მცხ-

ცხ-ულ-უფ-ს არჩევს

დო-ცხ-ულ-უფ-ს გაარჩევს

ი-ცხ-ულ-ე-ნ ირჩევა

ო-ცხ-ულ-უ არჩევა

ცხ-ულ-ე(რ)-ი გამორჩეული

ნო-ცხ-ულე ნარჩევი

მეგრ.სხ- და ლაზ. ცხ-(<სხ აფრიკატიზაციით) ძირებს შეესატყვისება სვან.ცხ-(<სხ-):

ლაზ.: ო-ცხ-ულ-უ „არჩევა"; ცხ-ულ-უფ-ს„არჩევს"

მეგრ.: სხ-ულ-უ-ა /სხ-ულ-აფ-ა „არჩევა"; სხ-ულ-ულ-ს„არჩევს"

სვან.: ხ-ო-ცხ-ა „ურჩევნია"; ან-ცხ-ონ-ა-ს „აირჩიოს"

ლაზურ-მეგრული მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა1938: 387); სვანური – ზ. სარჯველაძემ (სარჯველაძე 1985: 24) ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *სხ- არქეტიპი (ფენრიხი2000: 410).

175. შუშ- : შუშქ-

შუშქ-უფ-ს	შუშავს
ო-შუშქ-ინ-აფ-ს	აშუშებს

ი-შუშქ-ე-ნ შუშვა შეიძლება

ა-შუშქ-ე-ნ ეშუშება

ა-შუშქ-ინ-ენ შუშვა შეუძლია

შუშქ-ი მოშუშული

ქართული შუშ- ძირის კანონზომიერი შესატყვისია ლაზური შუშქ-.

მასალა შეაპირისპირა გ. კარტოზიამ (კარტოზია 1984: 132). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია*შუშ- არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 558).

საილუსტრაციო მასალა: სოღანი კაი **დოშუშკუფან** (ნ. ლაზიშვილი, სარფი) „ხახვს კარგად მოშუშავენ"; დაჩხიის გელვი კარდალა დო ფატიჯანი **დოშუშკი** (ნ.ლაზიშვილი, სარფი) „ცეცხლზე დადევი კარდალი და ბადრიჯანი მოშუშე".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტი: ო-**შუშქ**-ინ-აფ-ს „აშუშებს" - ი-**შუშქ**-ინ-ე-ნ „შუშვა შეიძლება".

176. *ჩენ-/ჩინ- : ჩქინ-

ი-**ჩქინ**-აფ-ს იჩემებს

ნო-**ჩქინ**-ს მიჩემებულია

მე-**ჩქინ**-უ მიჩენა

ნუ-**ჩქინ**-უ მიუჩინა

მე-**ჩქინ**-ე(რ)-ი მიჩენილი

გვხვდება ბველ ქართულში: **განაჩინა, განგიჩინე, განჩინებული...**

ქართ. **ჩინ**-, ლაზ. **ჩქინ**- და მეგრ. **რჩქინ**- ძირები კანონზომიერად შეესატყვისებიან ერთმანეთს:

ლაზ.: ი-**ჩქინ**-აფ-ს „**იჩემებს**"; მე-**ჩქინ**-უ „მიჩენა"

მეგრ.: **რჩქინ**-ა „განწესება, დადგენა"; გა-ნა-**რჩქინ**-ა/გო- **რჩქინ**-ელ-ი „დაწესებული"

მეგრული მასალა გააანალიზა ა. ცაგარელმა (ცაგარელი 1880: 88), ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა გ. მაჭავარიანმა (მაჭავარიანი 1961: 258). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია*ჩენ-/ჩინ- არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 562).

საილუსტრაციო მასალა: კოჩიშა **მეჩქინუ** მოგიჩქიტას (ი. თანდ., სარფი) „კაცზე მიჩემება ნუ იცი"; **მეჩქინეი** ფუჯი სქანი (ჟღ. 195) „მიჩენილი შენი ფური"; ბაბა მუშიშა ელჩი **ნუჩქვინი** (ნ. კაკაბაძე, სარფი) „მამამისს ელჩი მიუგზავნე".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ი-ჩქინ-აფ-ს „იჩემებს" – ი-ჩქინ-ე-ნ „დაჩემება შეიძლება".

177. *ჩეჩქ- :ჩაჩქ-

ჩაჩქ-უფ-ს	ჩეჩქვავს
უ-ჩაჩქ-უფ-ს	უჩეჩქვავს
ი-ჩაჩქ-ე-ნ	იჩეჩქება
ო-ჩაჩქ-უ	დაჩეჩქვა
ჩაჩქ-ე(რ)-ი	დაჩეჩქილი
ნო-ჩეჩქ-ე	ნაჩეჩქვი

გვხვდება სულხან-საბას ლექსიკონში: **ჩეჩქვა** „მცირედ დანაყვა".

ქართ. **ჩეჩქ-** ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. **ჩაჩქ** - და მეგრ. **ჩქაჩქ-**:

ლაზ.: **ჩაჩქ-უფ-ს** „ჩეჩქვავს"; **ო-ჩაჩქ-უ** „დაჩეჩქვა"

მეგრ.: **ჩქაჩქ-უ-ა** „ჩეჩქვა"; **ჩქაჩქ-უნ-ს** „ჩეჩქვავს"

შდრ. აჭარ.: **დაგჩეჩქვავ, ჭო! დაჩეჩქვილი...**

მეგრულ-ლაზური მასალა ნ. ნათაძემ (ნათაძე 1959: 131). ***ჩეჩქ-** არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ:219).

საილუსტრაციო მასალა: **ხჩინეფექ კიბიი ნა ვარ უღუნან შენი უშქიი დო მცხული ხამითენ ჩაჩქუფან დო ეშო იმხორნან** (ი. თანდ., სარფი) „მოხუცებს კბილი რომ არ ააქვთ, ამიტომ ვაშლსა და მსხალს დანით დაჩეჩქვავენ და ისე ჭამენ"; კოჩიქ წიწილას ბურგითენ თი **დუჩაჩქუ** (ი. თანდ., სარფი) „კაცმა გველს თოხით თავი დაუჩეჩქვა".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტი: **ჩაჩქ-უფ-ს** „ჩეჩქვავს"; **ი-ჩაჩქ-ე-ნ** „იჩეჩქება"

178. ჩინ-/მჩინ-: ჩინ-

მე-უ-მჩინ-აფ-ს	შეუთვლის
ნი-მჩინ-ე-ნ	შეთვლა შეიძლება".
ნუ-მჩინ-უ	დაუბარა, შეუთვალა
მე-მჩინ-უ	დაბარება, შეთვლა
მე-მჩინ-ე(რ)-ი	დაბარებული, შეთვლილი

ლაზური **მჩინ-** და მეგრული **ჩინ-** შეიძლება შევუპირისპიროთ ს.ქართვ. **ჩინ-** (გან-ჩინ-ება) „განწესება" ძირს:

ლაზ.: მე-მჩინ-უ „დაბარება, შეთვლა“

მეგრ.: დუ-ჩინ-უ „დაუბარა“; მე-უ-ჩინ-უ „შეუთვალა“.

საილუსტრაციო მასალა: ბიჭიქ ბაბა მუშის ხაბეი **ნუმჩინუ** (ჩიქ. II, 39) „ბიჭმა მამამისს ამბავი შეუთვალა“; ფათიშაიქ ფუკარაში ბეეს **ქონუმჩინუ** (ჟღ. 77, 3) „ფადიშახმა ღარიბ ბიჭს შეუთვალა“; აღასქანიქ **მოგიმჩინუ**, შქვით ფენჯეე ქაგინწკასია (სარფი) „შენმა ბატონმა დაგიბარა (შემოგითვალა), შვიდი ფანჯარა გააღოსო“.

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: მე-უ-მჩინ-აფ-ს „შეუთვლის“ – ნი-მჩინ-ე-ნ „შეთვლა შეიძლება“.

179. *ცარ-/ცრ-: ცორ-/ნცორ-/ცირ-/ნცირ-

ცირ-უფ-ს	ცრის
ო-ნცორ-უ/ო-ნცირ-უ	გაცრა
ნცირ-ელ-ი	გაცრილი
უ-ნცირ-ი	გაუცრელი
ო-ნც-ირ-ე	საცერი

გვხვდება ძველ ქართულში: **აღცრა, აღიცრეს, მცრელი...**

ქართ. **ცარ-** ძირს შეესატყვისება ლაზ. **ნცორ-/ცირ-/ნცირ-** და მეგრ. **ცირ-** (<ცერ-<ცორ-):

ლაზ.: **ცირ-უფ-ს** „ცრის“; **ო-ნცირ-უ** „გაცრა“

მეგრ.: **ცირ-უ-ა** „გაცრა“; **ცირ-უნ-ს** „ცრის“

მეგრულ-ლაზური მასალა გააანალიზა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 384). ***ცარ-/ცრ-** არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ:223).

საილუსტრაციო მასალა: ნანაქ მჭკიდიშ მქიი **ნციუფს** (ი. თანდ.) „დედა მჭადის ფქვილს ცრის“; **ონცირუს** მქირი ქოდოლობღუ (ჩიქ. I, 40,7) „საცერში ფქვილი ჩაყარა“; მქირი **დინცირენ** დო ხაზირი დიყვენ (ჩიქ. I, 40, 8) „ფქვილი გაიცრება და მზად იქნება“.

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: **ცირ-უფ-ს** „ცრის“ – **ი-ცირ-ე-ნ** „გაიცრება“ .

180. *ცე-: ცუ-/ც-

ც-ონ-უფ-ს	აცვამს (თამბაქოს ფოთლებს)
ო-ც-ონ-ს	არჭვია
გიო-ც-ინ-ს	წამოცმული აქვს

ო-ც-ინ-უ აცმა

ც-ონ-ე(რ)-ი აცმული

ც-იგ-ე(რ)ი აცმული

გვხვდება ძველ ქართულში: შთაცმა, შტააცეთ, აღეცუა, შესაცემელი...

ქართ. ცუ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. ცუ-, ლაზ. ცუ- (ც-<ცუ-) და სვანური ცე-:

ლაზ.: ც-ონ-უფ-ს „აცვამს"; ო-ც-ინ-უ „აცმა"

მეგრ.: ო-ცუ-ნ-უან-ს „არჭობს"; ცუ-ნ-აფ-ა „დაცობა"

სვან.: ხ-ა-ცუ-ე „ჰკიდებს"; ი-ცუ-ემ „იკიდებს ზურგზე"

მეგრულ-ლაზური მასალა გაანალიზა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 384). სვანური ეკვივალენტი გამოავლინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ:223-226).ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *ცე- არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 378-379). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 123).

საილუსტრაციო მასალა: კოჩიქ ჩხომიში ოციგუ ქოგიოჭკუ (ი. ნუმანიშვილი, სარფი) „ოწკედუ-შ-კულე, დემირიში კაფეფე ჰექ ოცინს (ჩიქ. II, 275-17) „რომ შეიხედა, რკინის ბლურსმნები იქ არჭვია"; ღურნის ლულა ნოცონს (ჩიქ. II, 297-37) „ღარს მილი (ლულა) აქვს წამოცმული"; ჟურ მტკოში მენდრა მენდრა დოცუნამან (ჩიქ. II,311,12) „ორი მტკაველის სიმორეზე დაასობენ".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტი: ც-ონ-უფ-ს „აცვამს" – ი-ც-ონ-ე-ნ „აცმა შეიძლება".

181. ცვ-: ჩვ-

გო-ჩ-უფ-ს ძარცვავს

გო-ჩ-უმ-ერ-ს ძარცვავს

გუ-ი-ჩვ-ე-ნ იძარცვება

გო-ჩ(ვ)-უ გაძარცვა

გო-ჩვ-ე(რ)-ი გაძარცვული

გომ-ჩვ-ალე მძარცველი

ლაზურის ძირეულ ჩვ- შეესატყვისება ს.ქართვ. ცვ-ს და მეგრ. რ-ჩვ-ს:

ლაზ.: გო-ჩ-უფ-ს „ძარცვავს"; გო-ჩ(ვ)-უ „გაძარცვა"

მეგრ.: აბრაგიქ მეშარე გორჩუ „ყაჩაღმა მგზავრი გაძარცვა"; მარჩუალი „მძარცველი"

საილუსტრაციო მასალა: ენთეფეში ოხოი **ქაგობჩვათ** (ჩიქ. I,442, 30) „იმათი სახლი გავძარცვოთ"; ეშქიაფექ წოხლე კოჩეფე გოჩუფეტეს (ო. კოხა, მაკრიალი) ყაჩაღები წინათ კაცებს ძარცვავდნენ"; ბაზაიშა ნა ამახთა კოჩი **გუიჩვენ** (ჱ. შაინოღლი, სარფი, თურქეთი) „ბაზარში რო შეხვალ კაცი იძარცვება".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: გო-**ჩ**-უფ-ს „ძარცვავს" – გუ-ი-**ჩვ**-ე-ნ „იძარცვება".

182. *ცარ- : ცორ-

ბ-**ცორ**-უმ ვცრი

ბ-**ცორ**-ი გავცარ

ო-**ნცორ**-უ გაცრა

ს. ქართვ. ***ცარ-** ძირს კანონზომიერად შეეფარდება მეგრ. **ცირ-/ცHრ-** და სვან. **შირ-/შHრ-**:

მეგრ.: **ცირ**-უ-ა „ცრა", ო-**ცHრ**-ალ-ი „საცერი"

სვან.: ა-**შირ**- ე „ფქვავს"

***ცარ-** არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 306).

საილუსტრაციო მასალა: ნანაქ მქიი **ნცირუფს** (ი. თანდ.) „დედა ფქვილს ცრის".

183. *ცხ-: ცხ-

ცხონ-უფ-ს ვარცხნის

ი-**ცხონ**-ს ივარცხნის

უ-**ცხონ**-ს უვარცხის

ო-**ცხონ**-უ ვარცხნა

ცხონ-ე(რ)ი დავარცხნილი

ნო-**ცხონ**-ე დავარცხნილი

უ-**ცხონ**-უ დაუვარცხნელი

გვხვდება ძველ ქართულში: **საცხინველები**.

ს.ქართვ. ***ცხ-** ძირი უკავშირდება ლაზ. **ცხ-**, მეგრ. **რცხ-** და სვან. **ცხნ-<ცხენ-ს-**:

ლაზ.: **ცხ**-ონ-უფ-ს „ვარცხნის"; ო-**ცხ**-ონ-უ „ვარცხნა"

მეგრ.: **რცხ**-ონ-უ-ა „ვარცხნა"; **რცხ**-ონ-უ „დავარცხნა"

სვან.: ლი-**ცხ**-ენ-ე „ვარცხნა"; ი-**ცხ**-ენ-ალ „ივარცხნის"

მეგრულ-ლაზური მასალა გააანალიზა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ:81), სვანური – ზ. სარჯველაძემ (სარჯველაძე 1987). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *ცხ- არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 585).

საილუსტრაციო მასალა: ბეეფე დობონუ, **დოცხონუ** (კარტ. I, 62,21) „ბავშვები დაბანა, დავარცხნა"; თომა ნა **იცხონტუ** არ ბოზო ქოძირუ (დიუმეზ., 99,59) „მას რომ ივარცხნიდა ერთი გოგო ნახა"; სულეი ოცხოჯითე **ცხონუმან** (ყიფშ. 85,12) „სელს სავარცხელით ვარცხნიან".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: **ცხონ**-უფ-ს „ვარცხნის" – **იცხონ**-ე-ნ „ივარცხნება".

184. ცხ-: ცხანკ-

ცხანკ-უფ-ს	კენკავს
უ-**ცხანკ**-უფ-ს	უკენკავს
ი-**ცხანკ**-ე-ნ	შეიძლება კენკვა
ო-**ცხანკ**-უ	კენკვა, ნისკარტის ჩაცემა, ნისკარტით მიწის ჩხრეკა
ცხანკ-ე(რ)-ი	ნაკენკი, ნაჩხრეკი

შდრ. მეგრ.: **ცხაკ**-უ-ა ნისკარტით ცემა"

მეგრულსა და ლაზურში **ცხაკ**- ფუძე საერთოა, ხოლო ქართულში ჩა-**ცხ**-ო ზმნაში შეიძლება დაიძებნოს **ცხ**- ძირი (**ოცხ**-ან-კუ„**ჩხ**-რ-ეკ-ა").

საილუსტრაციო მასალა: მამული ნოღუ დო კოჩი **დოცხანკუ** (ი. თანდ.) „მამალი ეცა და კაცს დაუკენკა სახე"; მონჭვა გიათხაზუ ყვაოჯის, კიბირი **ნოცხანკუ** დო თოლი ქდოი დუხვენუ (ჩიქ. I,485,26) „კრუხი გამოეკიდა ყვავს ნისკარტი ჩაცხო და თვალი დაუბრმავა" (**ოცხანკუ**- ჩა**ცხომა**); ჰექ ქოდოფუთხუ, ლირა **დოცხანკუ**, ოჭკომუ (ჩიქ. II,278, 28) „იქ დაფრინდა ლირები აკენკა, შეჭამა".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: **ცხანკ**-უფ-ს „კენკავს" – ი-**ცხანკ**-ე-ნ „შეიძლება კენკვა".

185. ლაზ. ცხონტ-/ცხოტ- : მეგრ. ცხოტ-

ცხონტ-უ	გადახტა
ო-**ცხონტ**-ი	გადახტა
დო-ლო-**ცხონტ**-უ	ჩახტა
გა-მა-**ცხონტ**-უ	გამოხტა

მ-ცხონტ-ინ-უ მხტომელი

მეგრ.: **ცხოტ-უ-ა** კაფვა ხისა

ლაზურში გო-**ცხოტ**-უნ-ს გარეშე იმავეს აღნიშნავს, რასაც მეგრ. ჯაშ **გოცხოტუ** „ხის გასხლვა". შდრ.: ჯაშენ **ცხონტუ** „ხიდან გადახტა".

თუ ჭანურში **ცხონტ-** და **ცხოტ-** ერთი და იმავე ფუძის ვარიანტებია, **ცხონტ-** და მეგრ- **ცხოტ-** ფუძის ურთიერთობა დადებითად გადაწყდება, მნიშვნელობის მხრივ დაბრკოლება არაა: „ჩამობელვა"(ჩიქობავა 2008: 373).

საილუსტრაციო მასალა: კოჩი მაღააშა მეხთუ, ღორმას კომა ნუნკომუ და მთუთი **ქაგამაცხონტუ** (ი. თანდ.); „კაცი ორმოსთან მივიდა ფუღუროში კვამლი შეუხრჩო და დათვი გამოხტა"; ოხორჯა **გამაცხონტუ** დო იმტუ (ჩიქ. 406) „ქალი გამოხტა და გაიქცა".

186. *ცı-: ჩ-

მე-**ჩ**-აფ-ს აძლევს, აჭმევს

მე-**ჩ**-უ მისცა

ი-**ჩ**-ე-ნ მიცემა, ჭმევა შეიძლება

მე-**ჩამ**-უ მიცემა

მე-**ჩამ**-ე(რ)ი მიცემული

ძველ ქართულში იყო აგრეთვე: **სცა** „აჭამა". **ც-** ძირიც ასევე გამოიყენება: **მისცა, გადასცა**...

ლაზურისა და მეგრულის **ჩ-** ძირი კანონზომიერად შეესაბამება ს.ქართვ. **ც-** ძირს:

ლაზ.: მე-**ჩ**-აფ-ს „აძლევს, აჭმევს"; მე-**ჩ**-უ „მისცა"

მეგრ.: **ჩამ**-ა „მიცემა"; ქო**ჩუ** „მისცა, აჭამა"

ქართველური მასალა გააანალიზა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 369-370). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია***ცı-** არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 588). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ:217).

საილუსტრაციო მასალა: ფუჯის **ქოჩაფან** (ჩიქ. I, 508, 22) „ძროხას (აჭმევენ) მისცემენ"; გოწონეი კიშის ამუს არ რახატი ვარ **მეჩეს** (ჩიქ. I, 448, 8) „შარშანდელ ზამთარს ამას მოსვენება არ მისცეს"; არ სტიკანი წკაი **ქომეჩუ** (ჩიქ. II, 254, 26-27) „ერთი ჭიქა წყალი მისცა"; ჰე-თი **მეჟოჩუ** (ჩიქ. II, 258, 24) „ისიც დაწყევლა (გადასცა)".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტი: მე-**ჩ**-აფ-ს „მისცემს" - ნი-**ჩ**-ინ-ე-ნ „მიცემა შეიძლება".

187. ც₁- : ჩ-

ო-ჩ-ამ-უ ჭმევა

მე-ჩ-ამ-უ მიცემა

გე-ჩ-ამ-უ დარტყმა

გა-მა-ჩ-ამ-უ გაყიდვა

გა-მა-ჩ-ოდ-უ დამთავრება

მე-ჟა-ჩ-ოდ-ინ-უ გადაწყვეტილი

ქართ. ც-ძირის შესატყვისია მეგრ. ჩ- და ლაზ.ჩ-:

ლაზ.: მე-ჩ-ამ-უ „ მიცემა"

მეგრ.: ჩ-ა-მ-ა „მიცემა; ჭმევა"; ჩ-ან-ს „აძლევს; აჭმევს"

ქართველური მასალა გააანალიზა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 369-370). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილიც₁- არქეტიპი (ფენრიხი... 2000:588). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 227).

საილუსტრაციო მასალა: გიაში **ოჩამუ** (ი. თანდ.) „საჭმლის ჭამა"; სერსიშ **მეჩამუ** (ი. თანდ.) „ხმის მიცემა"; ქვაში **გეჩამუ** (ი.თანდ.). „ქვის დარტყმა"; იაჰუდიქ ჰე მაქვალი დუქიანის გელადუ-ში, დიდო შერეფე **გამაჩინუ** (ჟღ. 39. 27) „იაჰუდმა (ებრაელმა) ის კვერცხი დუქანში რომ ჩამოდო ძალიან ბევრი რამეები გაყიდა".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტი: ჩ-აფ-ს „აძლევს" – ი-ჩ-ინ-ე-ნ „მიცემა შეიძლება".

188. *ც₁ად- :ჩოდ-

ჩოდ-უ-ნ სცალია

ვა-ჩოდ-უ-ნ არ სცალია

უ-მ-ჩოდ-ი-ნ-უ მოუცლელი

დი-ჩოდ-უ დაიცალა, დამთავრდა

დო-ჩოდ-ინ-უ დაცალა, დაამთავრა

ქართ.ცად-/ცდ- ძირი კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ.ჩოდ- და მეგრ.ჩოდ-ს:

ლაზ.: ჩოდ-უ-ნ „სცალია"; დო-ჩოდ-ინ-უ „დაცალა"

მეგრ.: ჩოდ-უ „სცალია"

მეგრულ-ლაზური მასალა გააანალიზა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 377-378). ს.ქართვ. დონეზე*ც₁ად არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ:227).

საილუსტრაციო მასალა: ანდღა ვა მომალენ, ვა **მჩოდუნ** (ი. თანდ.) დღეს არ მცალია, ვერ მოვალ"; ობირუ **დოჩოდინეს** (ჩიქ. II, 303-27) „სიმღერა გაათავეს"; ამ დუნიას მთელი შეი **იჩოდენ**, მუთუ ვარ იენ **უჩოდინუ** (ი. თანდ.) „ამ ქვეყნად ყველაფერი მთავრდება, რამე არ არის დაუმთავრებელი".

189. *ცად-/ცათ- : ჩულეთ-/შულეთ-

ჩულეთ-/შულეთ-აცდენა

ს. ქართვ. ***ცად-/ცათ-** ძირს კანონზომიერად შეეფარდება მეგრ. **ჩილათ-/ჩჰლათ-** და სვან. **ჩჰდ-/ჩიდ-/ჩედ-/ჩად-/ჩ@დ-**:

მეგრ.: **ჩილათ-ა** „ცდენა"

სვან.: **ლჰ-ჩიდ** „გადაცდენილი"

***ცად-/ცათ-** არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 334).

190. *ც₁ავ-/ც₁ევ-/ც₁ვ- : ჩვ-/ ჩ-

ჩ-უმ-ერ-ს	იცავს
ი-ჩ-უმ-ერ-ს	თავს იცავს
ი-ჩვ-ე-ნ	დაცვა შეიძლება
ა-ჩვ-ე-ნ	დაცვა შეუძლია
ჩ-უ(ოჩვუ)	დაიცვა
ო-ჩვ-ალ-უ	დაცვა
ჩვ-ე(რ)-ი	დაცული
პი-ჩვ-ა	მარხვა, პირის დაცვა საკვებისგან

გვხდება ძველ ქართულში: **მცავთ მე; ჰცვიდა; დაიცვეს, ცვაი...**

ქართ. ცვ-ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. **ჩვ-/ჩ-**,მეგრ. **ჩვ-/ჩუ-**და სვან. **ჩ-(<ჩუ-)**:

ლაზ.: **ჩ-უმ-ერ-ს** „ იცავს"; **ო-ჩვ-ალ-უ** „დაცვა"

მეგრ.: **ჩუ-ალ-ა** „დაცვა, შენახვა"; **ბ-ჩვ-ან-ქ** „ვინახავ"

სვან.:**ლი-ლ-ჩ-ე** „დაცვა"; **მჰ-ლ-ჩ-ე** „დამცველი"

ლაზურ-მეგრული მასალა გააანალიზა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 372-373)., სვანური - გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 229). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია***ც₁ავ-/ც₁ევ-/ც₁ვ-** არქეტიპი (ფენრიხი... 2000:590). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 229); შდრ. ***ცეე-** არქეტიპი აღადგინა ჩუხუამ (ჩუხუა 2000:225).

საილუსტრაციო მასალა: ვა ქომჭოფან-ᲘᲐ დო თი-თი **იჩუმეს** (ასათ., სარფი)არ დამიჭირონ-ო და თავსაც იცავს"; უმქურიში **ოჩუშა** იგზალუ (ჟღ. 5-25) „ვაშლის დასაცავად წავიდა"; სერი **მჩუმალე** (ასათ. ოჩამჩ.) „ღამის მცველი"; **გჩუმერ** ქომოხთი (ი.თანდ., სარფი)გიცდი მოდი".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტი: **ჩ-უმ-ერ-ს** „იცავს" – **ი-ჩვ-ე-ნ** „დაცვა შეიძლება".

191. *ცıან-/ცıნ-:ჩინ-

ი-ჩინ-ოფ-ს	იცნობს
ი-ჩინ-უ	იცნო
ა-ჩინ-ობ-უ	გაეცნო
ო-ჩინ-ობ-უ	გააცნო, გაცნობა
ნო-ჩინ-ობ-ე	ნაცნობი
უ-ჩინ-ობ-უ	უცნობი
ჩინ-აბ-ერ-ი	ცნობილი

ქართული **ცან-/ცნ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია ლაზ. **ჩინ-** და მეგრ. **ჩინ-**:

ლაზ.: **ი-ჩინ-ოფ-ს** „იცნობს"; **ო-ჩინ-ობ-უ** „გაცნობა"

მეგრ.: **ქი-ჩინ-უ** „იცნო"; **ჩინ-ებ-ა** „ცნობა"

მეგრული მასალა გააანალიზა ა. ცაგარელმა (ცაგარელი 1880: 63), ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 377). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია***ცıან-/ცıნ-** არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 591). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ:407).

საილუსტრაციო მასალა: ია ბერე **ოჩინუ** (ჩიქ. I, 473-33) „ის ბავშვი იცნო"; **ჩინაბეი** კოჩიშ დულდა შხუა რენ (შ. ენდეროღლი, არდაშენი) „ცნობილი კაცის საქმე სხვაა"; ფილიჭი მამული დო დადული ვა **ოჩინობენ** (ჩიქ. I, 543-7) „ვარია მამალი და დედალი არ იცნობება".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტი: **ი-ჩინ-ობ-ს** „იცნობს" – **ი-ჩინ-ობ-ე-ნ** „გაცნობა შეიძლება".

192. *ცıენ- :ჩან-/ნჩან-

მე-ჩან-ს	ასხია
ნუ-ჩან-ს	უსხია
ი-ჩან-უ	მოისხა

ა-ჩან-უ მოესხა

ო-ჩან-უ მოსხმა

მე-ჩან-ე(რ)-ი მოსხმული

გვხვდება ძველ ქართულში: **აღმოცენდის; ცენდებინ; აღმოაცენებს** და სხვ.

ქართ. **ცენ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. **ჩან-**, მეგრ. **ჩან-** და სვან. **შენ-/შნ-**:

ლაზ.: მე-ჩან-ს „ასხია"; ო-ჩან-უ „მოსხმა"

მეგრ.:ჩან-ა/ ჩან-უ-ა „გაზრდა, ნაყოფის გამოღება"; ჩან-ს „ხარობს"

სვან.: ხ-ე-შან„ასხია"; ლი-შნა„მოსხმა"

ლაზურ-მეგრული მასალა გააანალიზა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 371), სვანური – ვ. თოფურიამ (თოფურია 1940: 49). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია*ც₁ენ- არქეტიპი (ფენრიხი... 2000:594). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 228).

საილუსტრაციო მასალა: ანწი მანდაინას კაი **ჩანს** (თანდ.) „წელს მანდარინს კარგად ასხია"; ჯას იეშილინა **ჩანს** არანძი რენ (ჩიქ. I, 155,20) „ხეს მწვანედ რომ ასხია „არანძი" არის"; ხაჩქით, ბოზოფე, ხაჩქით, ლაზუტ **გაჩანანორენ** (ასათ., სარფ.) „თოხნეთ, გოგონებო თოხნეთ სიმინდი, მოგესხმევათ"; მცხულეფე-თ **მეჩანტუ**(ჩიქ. II, 87, 28) „მსხლებიც ესხა".

193. *ც₁ე- /ც₁ე-:ჩვ-/ჩ-

ჩუ-მ-ერ-ს იცავს

ჩ-უ უცადა

უ-ჩვ-ი დაუცავი

ო-ჩვ-აფ-უ დააცვევინა

ა-ჩვ-ე-ნ დაცვა შეუძლია

ი-ჩვ-ე-ნ დაცვა შესაძლებელია

ჩვ-ე(რ)-ი დაცული

ლაზური **ჩვ-** ძირი და მეგრ. **ჩვ-** ძირი შეესაბამება საერთოქართულ **ცვ-** (<ცვ-) ძირს:

ლაზ.: ჩუ-მ-ერ-ს „იცავს"; ჩვ-ე(რ)-ი „დაცული"

მეგრ.: ჩუ-ან-ს „ინახავს (იცავს)"; ო-ჩუ-ალ-ი „დამცავი (შესანახი)"

ქართველური მასალა გააანალიზა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 372-373). სვანური ეკვივალენტი გამოავლინა გ. კლიმომა (ЭСКЯ:229).ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია*ც₁ე- /ც₁ე- არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 590). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ:229).

საილუსტრაციო მასალა: მგეიქ მჩხუი **ჩუ, ჩუ,** ამმა მჩხუი ხოლო ვარ მოხთუ (ჩიქ. I, 458,8) „მგელმა ცხვარს უცადა, უცადა, მაგრამ ცხვარი კიდევ არ მოვიდა"; მციქა **დომჩვი** დო ქომოვულუ (ი. თანდ., სარფი) „ცოტა დამიცადე და მოვალ"; მა **ფჩუმერ** დო გამახთაში, ოპჭოფუმ (ჩიქ. I,82,18) „მე ვცავ და რომ გამოვა, დავიჭერ".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: **ჩუმ-ერ-ს** „იცავს" – **ი-ჩვ-ე-ნ** „დაცვა შესაძლებელია".

194. *ც₁ეეთ-/ც₁ეით- : ჩით-

ჩით-უფ-ს აპობს

ი-ჩით-ე-ნ იპობა

ა-ჩით-ე-ნ ჭრა-პობა შეუძლია"

ო-ჩით-უ პობა

ნო-ჩით-ე ნაპობი

ჩით-ე(რ)-ი დაპობილი

გვხვდება ძველ ქართულში: **დასცვთოს (დასცუითოს); დაუცუთელობისა** და სხვ.

ქართ. **ცუეთ-/ცუით-**ფორმის კანონზომიერი შესატყვისია ლაზ. **ჩით-**(<***ჩეით**).

იხმარება ზმნები: **ბჩითურ„**ავცდები (ხიფათს"; **დომჩითუნ„**ამცდება"; **გოლამჩითუ** „ამცდა"; **მუჩითუნ** „გადარჩება"; **მოვუჩითურ„**გადავრჩები"; **მოჩითინეი„**გადარჩენილი".

მასალა შეაპირისპირა და*ც₁უეთ-/ც₁ეით- არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგინა გ. კარტოზიამ (კარტოზია 1986: 8).

საილუსტრაციო მასალა: კოჩიშ დიშქა **ჩითუფს** (ი. თანდ.) „კაცი ხეს აპობს"; გერმა კოჩიქ არ დიდი **ნოჩითე** ეზდუ (დიუმეზ. 112,17) „ტყის კაცმა ერთი დიდი ნაპობი(ნაფოტი) აიღო"; ჭა ეკვათუმან, მეხერხუმან, **ოკოჩითუმან** (ჩიქ. სარფი) „ხეს მოჭრიან (მოკვეთენ) მოხერხავენ, გააპობენ".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტი: **ჩით-უფ-ს** „აპობს"; **ი-ჩით-ე-ნ** „იპობა".

195. *ც₁ი◌ქE-: ჩქუ-/ჩქვ-/შქვ-/ჩქ-/შქ-

ო-ჩქ-უმ-ერ-ს აგზავნის

ო-ჩქუ	გააგზავნა
ო-ჩქვ-ინ-უ	გაგზავნა
ა-ჩქვ-ენ	შეუძლია გაუშვას, (გააგზავნოს)
ი-ჩქვ-ენ	შეიძლება გაუშვა, (გავგზავნო)
ო-ჩქ-უ	გაშვება, გაგზავნა
ჩქვ-ინ-აფ-ა	გაგზავნა
ჩქვ-ინ-ე(რ)-ი	გაგზავნილი

გვხვდება ძველ ქართულში: **მოციქულნი**...

ქართ. **ციქუ-** (<*ცiიქე-)ძირს შეესატყვისება მეგრ. **ჩქვ**-და ლაზური **ჩქვ-**. ლაზურის სხვა ვარიანტები **შქვ-, ჩქ-,შქ- ჩქვ-** ფორმისაგან არის მიღებული:

ლაზ.: **ო-ჩქ-უმ-ერ-ს** „ აგზავნის"; **ო-ჩქ-უ** „გაშვება, გაგზავნა"

მეგრ.: **ჩქვ-აფ-ა/ჩქუ-მ-ალ-ა** ,,გაგზავნა ვისიმე"; **ო-ჩქვ-ან-ს**„აგზავნის"

ქართველური მასალა გააანალიზა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 379). გ. კლიმოვმა აღადგინა ***ცiიქე-** არქეტიპი(ЭСКЯ: 230).

საილუსტრაციო მასალა: კონქში მუშიშა ჩილი მუში **ოჩქუ** (ჩიქ. II, 9, 10) „მის მეზობელთან მისი ცოლი გაგზავნა"; აია კოჩი **მოჩქვინეის** ნუნგაფს (ნ. თანდ.) „ეს კაცი მოგზავნილს ჰგავს"; ბერე მუში ოსმანი **ოჩქუმერტუ** ხოფაშა (ჩიქ. I, 46, 77) „მისი შვილს ოსმანის აგზავნიდა ხოფაში".

ამ ზმნას აქვს აქტიური და პასიური ვარიანტები: **ო-ჩქ-უმ-ერ-ს** „აგზავნის" – **ი-ჩქვ-ინ-ე-ნ** „გაიგზავნება".

196. *ცiურ- : ნჩურ-/მჩკირ-/ნჩირ-

ი-ნჩვირ-ს	ცურავს
ა-ნჩვირ-ს	უცურავს
უ-ნჩვირ-ს	მისთვის ცურავს
ო-ნჩვირ-აფ-ს	აცურავებს
ა-ნჩვირ-ე-ნ	ცურვა შეუძლია
ო-ნჩურ-უ/ო-მჩვირ-უ	ცურვა
ნჩვირ-ელ-ი	ნაცურავები

გვხვდება ძველ ქართულში: **ვცურავთ**; რომელი **ცურავს** წყალსაზედა...

ქართ. **ცურ-**, მეგრ. **ჩურ-** და ლაზ.**მჩვირ-/ნჩვირ-/მჩურ-** შეესატყვისება ერთმანეთს:

ლაზ.: ი-ნჩვი-რ-ს „ცურავს"; ო-ნჩურ-უ/ო-მჩვირ-უ „ცურვა"

მეგრ.: ნჩურ-უ-ა/ჩურ-უ-ა „ცურვა"; ჩურ-უნ-ს„ცურავს"

მეგრული მასალა გააანალიზა ა. ცაგარელმა (ცაგარელი 1880: 63), ლაზური – არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 373). გ. კლიმოვმა აღადგინა *ც'ურ- არქეტიპი(ЭСКЯ: 230).

საილუსტრაციო მასალა: ბერე ჩქიმიქ კაი ინჩვირს (დ. მემიშიში) "ჩემი ბავშვი კარგად ცურავს"; ნჩვიელი, ნჩვიელი მზოღაშენ გაგამახთუ (დ. მემიშიში) „ცურვა-ცურვით ზღვიდან გამოვიდა"; დეფინა მზოღას ინჩვირს (ა. ხორავა) „დელფინი ზღვაზე ცურავს".

197. *მაგ- /მუგ- : ჯუგ-/ნჯუგ-

ჯუგ-/ნჯუგ- შეზიზღება

ჯუგ-უ-ნ სძულს

ს. ქართვ. *მაგ- /მუგ- ძირს კანონზომიერად შეეფარდება მეგრ. ჯოგ-და სვან. ჟაგ-/ჟგ-:

მეგრ.: ჯოგ-უ(ნ) „სძულს"

სვან.: ლა-ჟაგ-არ „ბილწი, უწმინდური"

*მაგ- /მუგ- არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 180).

საილუსტრაციო მასალა: პატი კოჩინ ჯუგუნ (ი. თანდ.) „ცუდი კაცი მძულს".

198. *მარც'Ე- : ჩვ-/ჩ-

გო-ჩ-უფ-ს ძარცვავს

გო-ჩვ-ე(რ)-ი გაძარცვული

გუ-ი-ჩვ-ე-ნ იძარცვება

გო-ჩვ-ეს გაძარცვეს

გო-ჩ-უ ძარცვა

გო-მ-ჩვ-ალ-ე მძარცველი

გვხვდება ძველ ქართულში: **სძარცუავ; აღძარცუეს; მოსძარცუა...**

ქართ. ძარცუ-ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. ჩვ- და მეგრ. რჩვ-:

ლაზ.: გო-ჩ-უფ-ს „ძარცვავს"; გო-ჩ-უ „ძარცვა"

მეგრ.: რჩუ-ალ-ა/რჩუ-ვ-ალ-ა „ძარცვა"; რჩ-უნ-ს„ძარცვავს"

ქართველური მასალა გააანალიზა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 372). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია*ძარც-Ɛ- არქეტიპი (ფენრიხი... 2000:608-609). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 235).

საილუსტრაციო მასალა: ზენგინი **გოჩვეს** (ჟღ. 98, 23) „მდიდარი გაზარცვეს"; მან სქანი **გოჩუმუ** გუის ვარ მიღუტუ(ჟღ. 38,15) „მე შენი გაძარცვა გულში არ მქონდა"; სერის მეზარე **ეɑოჩუ**, ლეტაფე ქეშეიღუ (ჩიქ. I, 101,2) „ღამე საფლავი გაძარცვა, მიწები ამოიღო".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: გო-**ჩ**-უფ-ს „ძარცვავს" – გუ-ი-**ჩვ**-ე-ნ „იძარცვება".

199.*ძგიბ-: ძგიფ-//ნძგიფ-

ნძგიფ-უფ-ს	ავსებს
ნუ-**ნძგიფ**-უფ-ს	უტენის
ნძგიფ-უ	შეტენა
ა-**ნძგიფ**-ე-ნ	შეუძლია აავსოს
ო-**ნძგიფ**-უ	გავსება-გატენა
ნძგიფ-ე(რ)-ი	ავსებული, დატენილი
მე-**ნძგიფ**-ე(რ)-ი	შეტენილი

ქართ.**ძგიბ-//ძგიფ**-ფორმას უნდა შეესატყვისებოდეს მეგრ.- **ძგიფ**-,ლაზ. **ძგიფ-/ნძგიფ**- და სვან. **ძგუბ-/ძგბ**-:

ლაზ.: ო-**ნძგიფ**-უ „გავსება"

მეგრ.: **ძგიბ**-უა „გავსება"

სვან.: ლი-**ძგუბ**-ე „გარღვევა"

ქართველური მასალა შეაპირისპირა და **ძგიბ**- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1985: 176).

საილუსტრაციო მასალა: თიფითენ **ნძგიფეი** კალათი გელიმერს (ი. თანდ.) „თივით გატენილი გოდორი ჩამოაქვს"; ავტობუსი **ნძგიფეი** რენ სო გეფხედა (ი. ბექირიში, სარფი) „ავტობუსი დატენილია სად დავჯდე"; ღორმას **ქონუნძგიფი**, გალე ვარ გამალენ(ნ. მემიშიში, სარფი) „ორმოს შეუტენე გარეთ არ გამოვა".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: **ნძგიფ**-უფ-ს „ავსებს" - ი-**ნძგიფ**-ე-ნ „ივსება".

200. *ბეე- : ბუ-/ზუ-

ბი-ნ /ბუ-ნ	ბევს, დევს
ა-მ-უ-ბ-ინ	ამოდებული აქვს
ნო-ბინ	მიყუდებულია
გე-ბინ	ბევს (ზემოდან)
მო-ბინ	აცვია ფეხზე
გ-ო-ნ-ბინ	გადებულია (გარდიგარდმო)
ნ-უ-ბინ	უბევს, უდევს (რაიმეზე მიყუდებულია)

*ბეე- ძირს შეესატყვისება მეგრ. ბუ-, ლაზ. ბუ- და სვან. ზი-):

ლაზ.: ბუ-ნ/ბი-ნ „ბევს, დევს"

მეგრ.: ბუ(ნ) „დევს", მა-ბუ(ნ) „ ფეხზეაცვია"

სვან.: ზი/ზჰ„არის"; ხ-ა-ზ „ადევს"

მეგრული და ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 387-388); სვანური ეკვივალენტი გამოავლინა კ. შმიდტმა (შმიდტი 1961: 152). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა *ბ- და *ბეე-/*ბე- არქეტიპები (ЭСКЯ: 233).

საილუსტრაციო მასალა: გზაში ორთას არ დიდი ქვა ბინ (გიტუ) (ჩიქ. I, 476,21) „შუა გზაზე ერთი დიდი ქვა ბევს (იდო)"; კუჩხეს ფოთინი მომობინ (ი. თანდ.) „ფეხზე ფეხსაცმელი მაცვია"; ხაშაი ჯას ნობინ (ნ. კაკაბაძე,სარფი) „სარი ხეზეა მიყუდებული".

201. *ბენ-/ბინ- : ნბინ-

უ-ნბინ-აფ-ს	უმატებს
ა-ნბინ-ე-ნ	ემატება
ი-ნბინ-ე-ნ	დამატება შეიძლება
ნი-ნბინ-ე-ნ	დამატება შეიძლება
ნა-ნბინ-ე-ნ	ემატება თანდათან
მონ-ბინ-უ	მატება

ს.ქართვ.: ბენ-, ლაზ.ბინ-და მეგრ. ბინ- კანონზომიერად შეესატყვისება ერთმანეთს:

ლაზ.: მონ-ბინ-უ „მატება"

მეგრ.: მო-ბინ-ა „მატება"

ქართველური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 389). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა *ძინ- არქეტიპი (ЭСКЯ: 235).

საილუსტრაციო მასალა: ართის დუკლამან, მაჟურანის **მუნძინამან** (ჩიქ. II, 63, 19) „ერთს დაუკლებენ , მეორეს მოუმატებენ"; ნდღა ნდღას **მანძინენ** (ი. თანდ.) „დღე დღეს ემატება"; **მონძინუშა** მოგჲონია, სი ჰაქ მოხთი დო გომჩვი-ა (ჯღ. 117,16) „მოსამატებლად მოგიყვანეო, შენ აქ მოდი და გამძარცვეო".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტი: უ-ნძინ-აფ-ს „უმატებს" – ი-ნძინ-ე-ნ „დამატება შეიძლება".

202. *ძეღ-/ძღ- : ძღ-

ო-ძღ-აფ-ს აძღებს

უ-ძღ-აფ-ს უძღებს

ი-ძღ-ე-ნ ძღება

ა-ძღ-ე-ნ უძღება

ო-ძღ-უ გაძღომა

ძღ-ე(რ)-ი გამძღარი

უ-ძღ-აფ-უ უძღები, გაუმაძღარი

გვხვდება ძველ ქართულში: **განვაძღე; განვაძღნეთ; განძღომად; განძღეს; მაძღარ...**

ქართ. **ძღ-**(<*ძეღ-) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. **ძღ-** და მეგრ. **რძღ-**:

ლაზ.: ო-ძღ-უ „ გაძღომა"; ო-ძღ-აფ-ს „აძღებს"

მეგრ.: **რძღ-აფ-ა** „გაძღომა"; ო-**რძღ**-ან-ს„აძღებს"

მეგრული მასალა შეაპირისპირა გ. დეეტერსმა (დეეტერსი 1930: 127), ლაზური – არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა: 1938). **ძღ-** არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 235).

საილუსტრაციო მასალა: უკაჩხე ქოგიყონუ ფუუჯი დო ბაღის **ოძღუ** (ჩიქ. II, 127,33) „მერე ჩამოიყვანა ბროხა და ბაღზედ გააძღო"; ჭკომუ, ჭკომუ დო კაი **დიძღუ** (ჩიქ.I,71,3) „ჭამა, ჭამა და კარგად გაძღა"; ფუქირონა სქანი შურას კოჩი **იძღენი**? (ხ. ჰელიმიში) „ყვავილოვან შენს ყნოსვაში კაცი გაძღება?"

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ო-ძღ-აფ-ს „აძღებს"- ი-ძღ-ე-ნ „ძღება".

203.*ძ₁ახ- : ჯოხ-

უ-ჯოხ-ოფ-ს	უძახის
ნუ-ჯოხ-ოფ-ს	დაუძახებს
ი-ჯოხ-ინ-ე-ნ	შეიძლება დაძახება
ა-ჯოხ-ინ-ე-ნ	შეუძლია დაძახება
ო-ჯოხ-ინ-უ	დაძახება
დო-ჯოხ-ინ-უ	დაძახება

ქართ. **ძახ-**(<***ძ₁ახ**) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ.**ჯოხ-**, ლაზ.**ჯოხ-** და სვან. **ჟახ-**:

ლაზ.: **ჯოხ-ო** „სახელი"

მეგრ.: **ჯოხ-ო(ნ)**„ჰქვია"

სვან.: **ხა-ჟხ-ა/ ხა-შხ-ა**„ჰქვია"

მეგრული მასალა გაანალიზა მ. ბროსემ (ბროსე 1849: 76), ლაზური – ნ. მარმა (მარი 1914: 90). გ. კლიმოვმა ს.ქართვ. დონეზე აღადგინა ***ძ₁ახ-** და ***ძ₁ახე-** არქეტიპები (ЭСКЯ: 236-237).

საილუსტრაციო მასალა: ნანაქ ბერეს **უჯოხოფს** (ყიფშ. 19, 32) „დედა ბავშვს უძახის"; **ოჯოხინუშა** ოჩქვეს ბეეფე (სარფი) „დასაძახებლად გაუშვეს ბავშვები"; ჰაწი მუჭო **დიჯოხინენ** (ჩიქ.II, 48,20) „ახლა როგორ დაიძახება"; ეი-ვახ! მუ ბელას **მებაჯოხი** (ჩიქ. 2.46,26.) „ვაი, რა პრობლემას მივეახლე".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: უ-**ჯოხ**-ოფ-ს „უძახის" – ი-**ჯოხ**-ინ-ე-ნ „დაძახება შეიძლება".

204.*ძ₁ეღე-/ძ₁ღე- :ნჯღ-

ო-ნ**ჯღ**-ონ-აფ-ს	აგზავნის
უ-ნ**ჯღ**-ონ-ოფ-ს	უგზავნის
ი-ნ**ჯღ**-ინ-ე-ნ	იგზავნება
ა-ნ**ჯღ**-ონ-ე-ნ	გაგზავნა შეუძლია
ო-ნ**ჯღ**-ონ-უ	გაგზავნა
მ-ნ**ჯღ**-ონ-აფ-უ	გამგზავნი

გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში: **უძღვან; წარუძღუა; წარძღუანვად...**

ქართ. **ძღუ-** ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. **ჯღ-**, ლაზ. **ნჯღ-** და სვნური **ჟღე-**:

ლაზ.: **ო-ნჯღ-ონ-უ** „გაგზავნა"

მეგრ.: **ჯღ-ონ-ა /ჯღ-უნ-ა/ჯღ-ონ-უ-ა** „გაზავნა"

სვან.: **ხ-ო-ჟღუ-ან-ე** „უგზავნის"; **ლი-ჟღუ-ან-ე** „გაზავნა"

მეგრულ-ლაზური მასალა გააანალიზა ნ. მარმა (მარი1914: 60-62); სვანური – ა. შანიძემ (შანიძე 1941: 183). ს.ქართვ. დონეზე გ.კლიმოვმა არადგინა **ძღე-** და **ძღე-** არქტეიპები (ЭСКЯ: 240-241), ხოლო ჰ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ აღადგინეს ***ძ₁ეღE-/ძ₁ღე-** ძირი (ფენრიხი... 1990: 432).

საილუსტრაციო მასალა: მექთუბი **მომინჯღონი** (სარფი) „წერილი გამომიგზავნე"; **ეწინჯღონუ** დო ოხორიშა ქომუჩუ (ჟღ. 62, 30) „წაიმძღვარა და სახლში მორეკა"; ჰაწი არ ბოზო ფუჯეფეს **ეწუნჯღონუ** (ჟღ. 62,30) „ახლა ერთი გოგო ძროხებს გაუძღოდა".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: **უ-ნჯღ-ონ-ოფ-ს** „უგზავნის" – **ი-ნჯღ-ონ-ე-ნ** „იგზავნება".

205. *ძ₁ოე- : ჯუმ-/ჯუფ-

ჯუფ-ს	ძოვს
ო-ჯვინ-აფ-ს	აძოვებს
უ-ჯვინ-აფ-ს	უძოვებს
ო-ჯვ-ინ-უ	ძოვა
ა-ჯვინ-ე-ნ	ძოვა შეუძლია
ი-ჯვინ-ე-ნ	იძოვება
ო-ჯ-უ	ძოვება
ო-ჯვინ-უ	ძოვა

გვხვდება ძველ ქართ. ტექსტებში: **აძოეზდა; ძოვნად; მძოვართა** და სხვა.

ქართ. **ძოვ-**(<ძ₁ოუ) ფორმის კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. **ჯუმ-/ჯუფ-** (<*ჯოე)- და სვან. **ჯუბ** (<*ჯოე):

ლაზ.: **ჯუფ-ს** „ძოვს"

სვან.: **ლი-ჯუბ-ე** „პირის ლუკმით გავსება"

შდრ. მეგრ.: **ჯუბ-უნ-ს** „მადიანად ჭამს".

ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 437), სვანური – ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1984: 45). *ძოე- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 240-240).

საილუსტრაციო მასალა: ონდღეიშა ფუჯი **ვოჯვინაფაბტით** (სარფი) „შუადღემდე ძროხას ვაძოვებდით"; თხალეფე მელე **ნჯუფან** (ჟღ.116,1) „თხები გაღმა ძოვენ"; წიპილი გეთასულემა იდუ **ოჯუშენი** (ოკითხ. 50,1) „წიპილი ნათესში წავიდა საძოვრად"; ჰაწი ბოზო კაზეფე **ომჯვინამს** (ჟღ. 71,28) „ახლა გოგო ბატებს აძოვებს".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ო-**ჯვინ**-აფ-ს „აძოვებს" - ი-**ჯვინ**-ე-ნ „ძოვა შეიძლება".

206. ჭ - :ნწ-

ო-**ნწ**-აფ-ს	აწობს
ო-**ნწ**-უ	ჩააწო
ი-**ნწ**-ე-ნ	იწობა
ა-**ნწ**-ე-ნ	ეწობა (შეუძლია ჩააწოს)
ო-**ნწ**-უ	ჩაწება
დოლო-**ნწ**-ე(რ)-ი	ჩაწობილი

გვხვდება ძველ ქართულში: **დააწოს, დააწეთ, აღმოწებულსა...**

ს.ქართვ**ჭ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. **ნწ**-(მწ-) და მეგრ. **ჭ**-. ნლაზურში განვითარდებულია (ჟღენტი 1953: 92-98).

ლაზ.: ო-**ნწ**-უ „ჩაწება"; ო-**ნწ**-აფ-ს„ აწობს"

მეგრ.: გე-**ჭ**-უაფა „ჩაწება", გე-ჭუ-აფილი „ჩაწებული"

ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 393-394); მეგრული ეკვივალენტი ჰ. ფენრიხმა გამოავლინა (ფენრიხი 1987). **ჭ**- არქეტიპს გ. კლიმოვი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგენს, ხოლო ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე ს. ქართველურ დონეზე (ფენრიხი... 2000:633).

საილუსტრაციო მასალა: მჯკიდი-თი **ვონწაფთ** დო იჯკომენ (ჩიქ. I. 159.8) „მჯადსაც ვაწობთ და იჯმევა"; ქვას გებხედუთ, ანკეცი **ვონწაფთ** მზოღას დო ჩხომი ბჯოუბთ (ი. თან. სარფი)„ქვაზე ჩამოვსხდებით, ანკესს ვაწობთ ზღვაში და თევზს ვიჭერთ"; ქალუმე ფაფას **ვონწაფთ** (ი. თანდ. სარფი) „ჩურჩხელას ფელამუშში ვაწობთ"; დაჩხირი **ქონუნწუ** ჩაის (ჩიქ. I. II. 3) „ცეცხლს მოუკიდა ჩაისთვის"; ლუქუნას **ქონუნწამან** (ჟღ. 10.10) სანთელს მოუკიდებენ (ცეცხლს).

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ყალიბები: ო-**ნწ**-აფ-ს„აწობს", ი-**ნწ**-ე-ნ „იწობა".

207. ნწ-< *ტ'- :ნჭ-/მჭვ-

ი-**ნჭ**-ენ იწევა

ნა-**ნჭ**-ენ ეწევა

ი-**მჭვ**-ენ ესწრაფვის

ა-**მჭვ**-ენ ეჩქარება

ო-**ნჭ**-უ მოწევა

მე-**ნჭ**-ე(რ)ი მოწეული

გვხვდება ძველ ქართულში: ვსდევ ეგრე რაითა **ვეწიო** (ფილიპ. 3,12); ბნელი იგი მას ვერ **ეწია** (ი. 1,5); **მოიწევის** რისხვაი ღმრთისაჲ (კოლის. 3,6)...

ქართ. **ნწ** - (*ტ') ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. **ჭ**-, ლაზ. **ნჭ**- და სვან **ჰ**- (ნ განვითარებულია, ჟღენტი 1953: 92-98):

ლაზ.: ო-**ნჭ**-უ „მოწევა"; ი-**ნჭ**-ენ „იწევა"

მეგრ.:**ნჭ**-აფ-ა „დაწევა"; ი-**ნჭ**-უ-აფ-უ „ესწრაფვის"

სვან.: ლი-**ჰ**-ე//ლი-**მჰ**-ე „მოწევა"...

მეგრულ-ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 338), სვანური – ნ. მარმა (მარი 1918: 333). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია ***ტ'**- არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 738).

საილუსტრაციო მასალა: გელაქ უშქთიშ ყა **მონჭუ - მონჭუ** დო **გამუკინჭინუ**(ი. თანდ.) „გელამ ვაშლის ტოტი მისწი - მოსწია და მოქაჩა მისკენ"; ხოჯი ჭუიშა მო **იონჭაფ** (ლაზ. ანდაზა) „ხარს ჭერში ნუ ექაჩები"; მო **იმჭვაფ**, დაა ორდო რენ (ი. თანდ.) „ნუ ჩქარობ, ჯერ ადრეა".

208. წად- : წკედ-

გო-ვ-ი-**წკედ**-ი გავიხედე

ო-**წკედ**-ინ-უ გახედვა

შდრ. მეგრ. **წკიდ-/წკგჩდ-** (**წკიდ**-უ-ა „ყურება") დასვან. **წად-/წდ-/წედ-**: ლი-**წედ**„ყურება".

ქართულში შესატყვისი ძირი არ არის გამოვლენილი. ს.ქართველურში რეკონსტრუირებულია**წად-** არქეტიპი (ჩუხუა 2000: 352-353).

საილუსტრაციო მასალა: მზოღას ოწკედი (ი. თანდ.) „ზღვას გახედე".

209.*წაე- :წ-/წვ-

უ-წ-უ უთხრა (აუწყა)

უ-წვ-ეს უთხრეს (აუწყეს)

ვ-უ-წუ-მერთ ვეუბნევით (ვაუწყებთ)

უ-წვ-ერენ-ან უთქვამთ

გვხვდება ძველ ქართულში: სწავება, გასწავება, მოგუასწავეს...

ს.ქართვ. *წაე- ძირს შეესატყვისება ლაზ.წუ-/წვ- და მეგრ. წ-:

ლაზ.: უ-წ-უ„უთხრა"

მეგრ.: უ-წ-ინ-ს „ეტყვის"; უ-წ-უ„უთხრა"

მეგრულ-ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 393-394). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *წაე-არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 633).

საილუსტრაციო მასალა: ნანა მუშის უწუ (ჩიქ. II, 90,29) „დედინაცვალს უთხრა"; სი მუ მიწუმერ აშო? (ი.თანდ., სარფი) „შენ როტომ მეუბნები ასე?"ოხორჯას ტკობაშა დულია დოვუწვი (ჩიქ. I, 14,15) „ქალს საიდუმლოდ საქმე ვუთხარი (ვაუწყე)"; ა ჩქიმი იზმოჯეფე ჰუქუმეთის დობუწუმე-ია (ჟღ. 148,29); ამ ჩემს სიზმრებს მთავრობას ვეტყვიო (ვაუწყებო)".

210. *წამ- : წუმ-

დო-ვ-უ-წუმ-ე დავუბარე

უ-წუმ-ერ-ს ეტყვის

ს. ქართვ.*წამ- ძირს კანონზომიერად შეეფარდება სვან. ჯ@ბ-/ჯბ-:

ი-ჯბ-ი „იბარებს"; ლი-ჯბ-ი „დაბარება"

*წამ- არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 373).

211. *წან-ეხ-/წან-იხ- : წილ-ოხ-/ჯინ-ახ-

ო-წილახ-უ წურვა

ბ-წილახ-უფ ვწურავ

ო-ჯინახ-უ წნეხა, საწნეხელი

ბ-ჯინახ-ი დავწურე

ს. ქართვ.*წან-ეხ-/წან-იხ- ძირს კანონზომიერად შეეფარდება მეგრ. წილ-ოხ-/ჯინ-ახ- და სვან. წლიხ-/წილხ-/ხლიწ-:

მეგრ.: წილობ-უ-ა „წურვა"; ო-ჭИნაბ-უ„საწნეხელი"

სვან.: ლჭ-წლიბ-ე „გაწურული"

წან-ეხ-/წან-იხ- არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 364).

საილუსტრაციო მასალა: ყურძენი **დობჭინახი** (ი. თანდ.) „ყურძენი დავწურე".

212. წაფ- : წოფ-// ნწოფ-/ნწოფ-

ო-**ნწოფ**-ინ-აფ-ს	ასწავლის, წვრთნის
ი-**ნწოფ**-ინ-უ	იწაფება
ა-**ნწოფ**-ინ-ე-ნ	შეუძლია ასწავლოს
ო-**ნწოფ**-უ	სწავლება
ო-**ნწოფ**-ინ-უ	გაწაფვა, სწავლება
ნწოფ-ინ-ე(რ)-ი	ნაწრთობი
ო-**ნწოფ**-ინ-ალ-ე	სასწავლებელი

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: ჰრქუა **მწაფელსა** ეტლისა მისისასა (მცხეთ.); იგიცა **მოწაფე** ყოფილ ხიყო იესუსსა (ხანმ.).

ქართ. **წაფ**-ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური **წოფ-//ნწოფ- .ნ** განვითარებულია (ჟღენტი 1953: 92-98).

მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ(ჩიქობავა 1938:402). **წაფ-** არქეტიპი ს.ქართ--ზანური ერთიანობის დონეზე აღადგინეს ჰ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ (ფენრიხი... 1990: 441).

საილუსტრაციო მასალა: ე კოჩის ბეეფე მუში **ნწოფინეი** უყონუნ (ი.თანდ.) „იმ კაცს ბავშვები გამოწრთობილი ჰყავს"; ასკეის კოჩი **ინწოფინენ** (სარფი) „ჯარში კაცი იწრთობა"; უჩიტელის ლაზუი **მამწოფულე** ჯოხონს (ჯ.აბულაძე,ცსარფი) „მასწავლებელს ლაზურად **მამწოფულე**ჰქვია".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ო-**ნწოფ**-ინ-აფ-ს „ასწავლის" – ი-**ნწოფ**-ინ-უ „იწაფება".

213. წ-ენ- : ჭან-

ჭან-დ-ა	წვეულება
უ-**ჭან**-დ-უ	მოიწვია
უ-**ჭან**-დ-ეფ-ს	პატიჟებს, იწვევს

ს. ქართვ.**წ-ენ-** ძირს კანონზომიერად შეეფარდება მეგრ. **ჭან-** და სვან. **ჰერ-/ჰრ-**

მეგრ.: ჭან-აფ-ა „გამოძახება, დაბარება";

სვან.: ლი-ჲერ-ი (*<ლი-ჰერ-ი) „გამოძახება, დაბარება"; ი-ჰრ-ი „თავისთანიბარებს, გამოიძახებს".

წ-ენ- არქეტიპიაღადგინამ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 423).

საილუსტრაციო მასალა: მან ანდღა ჭანდაშა მევულურ (ი. თანდ.) „მე დღეს წვეულებაზე მივდივარ".

214. წენწ-/წინწ-: წინწ-/ნწინწ-

წინწ-უფ-ს	წევს, ჭიმავს
ი-წინწ-ე-ნ	იწელება, იჭიმება
ო-წინწ-უ	მოწევა, ჭიმვა
წინწ-ე(რ)-ი	გაწელილი, გაჭიმული
ნო-წინწ-ე	განაწელი, განაჭიმი

ქართ. წინწ - ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. წინწ- (წვიწვ-) და ლაზ.წინწ-/წინწ-(ნ ვითარდება, ჟღენტი1953: 92-93):

ლაზ.: ო-წინწ-უ „მოწევა, ჭიმვა"; წინწ-უფ-ს„ წევს:

მეგრ.: წინწ-ონ-უ-ა „წევა, გლეჯა"; წვიწვ-უნ-ს „ეწევა; გლეჯს"

შდრ. აჭარ.: წიკვა, წიკავ, დეეწიკე...

ლაზური მასალა შეაპირისპირა ნ. მარმა (მარი 1910: 219), მეგრული – არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 396-397).წინწ- არქეტიპი აღადგინა გ.კლიმოვმა(ЭСКЯ: 244), ხოლო ჰ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძე აღადგინეს წენწ-/წინწ-ძირი (ფენრიხი... 1990: 442).

საილუსტრაციო მასალა: პარაპათის კოლი წინწუფან (ჩიქ. I, 535,6) „პარაპათის (ერთგვარი ბადე) ბოლოებს ქაჩავენ (ეწიკებიან);კოჩიქ თოკი წინწუ დო ქეშამიყონუ კუიშენ (ლაზ. ზღაპრები) „კაცმა თოკი მოზიდა და ამომიყვანა ორმოდან"; ნენა მო წინწ მკულუ დოთქვი (ი. თანდ.) „სიტყვას ნუ წელავ, მოკლედ თქვი".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი; წინწ-უფ-ს„წევს, ჭიმავს" – ი-წინწ-ე-ნ „იწელება, იჭიმება".

215. წილ- : წილ-

წილ-უფ-ს	კრეფს
ი-წილ-უ	მოიკრიფა
ა-წილ-უ	მოეკრიფა

უ-წილ-უ მოუკრიფა

ო-წილ-უ კრეფა

წილ-ე-ი მოკრეფილი

ნო-წილ-ე მონაკრეფი

მ-წილ-უ მკრეფავი

გვხვდება ძველ ქართულში: **მოვწილე** ზმორი საკუმეველითურთ ჩემით (ქებ.ქებ. 5,10); მნებავს **მოწილვად** ვარდი იგი (ლიმან. 1. 24).

ქართ. **წილ-** ფორმას შეესატყვისება ლაზ. **წილ** - და მეგრ. **წილ-** :

ლაზ.: **წილ-უფ-ს** „კრეფს"; ო-**წილ-უ** „კრეფა"

მეგრ.: **წილ-უნ-ს** „კრეფს"; **წილ-უ-ა** „კრეფა"

ქართველური მასალა შეაპისპირისპირა არნ.ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:395). ს.ქართვ. დონეზე ჰ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ **წილ-** ძირი აღადგინეს (ფენრიხი... 1990: 643-644).

საილუსტრაციო მასალა: კულანეფექ აღნე ჩაის **წილუფან** (ჰ. ჰელიმიში) „გოგონები ახალ ჩაის კრეფენ"; ჰემ **წილუფან** ჰემ ლაზური იბირნან (ჰ. ჰელიმიში) „თან კრეფენ, თან ლაზურად მღერიან"; მოთაქ პაპულის მცხული **უწილუ** (ი. თანდ.) „შვილიშვილმა ბაბუას მსხალი მოუკრიფა"; გვერდი **ქაკომიწილია**, მაჟუანიქ ვა უკუწილუ (ჩიქ.I, 84,18).

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: **წილ-უფ-ს** „კრეფს" – ი-**წილ-ე-ნ** იკრიფა".

216. წკმუ- :წკუმ-

წკუმ-ინ-ს წკმუტუნებს

წკმუ-ინ-აფ-ს წკმუის

უ-**წკუმ-ინ-ს** უწკმუის

წკუმ-ინ-ი წკმუტუნი, წკმუილი

ო-**წკუმ-ინ-უ** წკმუტუნი

წკუმ-ინ-ე(რ)-ი წკმუტუნით

გვხვდება ძველ ქართულში: **წკმუილით** იმართლებდა თავსა თჳსსა.

სულხან-საბას მიხედვით: **წკმუილი** არის „მაღლის ტირილი".

წკუმინი მოდის ზმნიდან **წკუნი. წკუნი** ლაზურში ნიშნავს „ტკივილს": თიში **წკუნი** „თავის ტკივილი", გუიშ **წკუნი** „გულის ტკივილი".

ტკივილი იწვევს წკმუნვას; ეს უკანასკნელი ლაზურად ითქმის: **წკუფს** „ტკივა", **წკუნი უღუნ** „ტკივილი აქვს", **დოწკუმინს** „წკმუის".

ქართ. **წკმუ-** (<**წკუმ-**) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. **წკუმ-** და მეგრ.**წკუმ-**:

ლაზ.: **წკუმ-ინ-ი** „წკმუტუნი"; **წკუმ-ინს** „წკმუტუნებს"

მეგრ.: **წკუმ-ინ-ი** „წკმუილი"; **წკუმ-ინ-უნ-ს** „წკმუტუნებს"

საილუსტრაციო მასალა: **ჯოღოიქ წკუმინაფს** (ი.თანდ.) „ძაღლი წკმუის"; ლაკოტეფე ჰიტა - ტანშა მთელი **წკუმინაფან** (თ. კაკაბაძე, სარფი) „ლეკვები სანამ პატარები არიან წკმუიან"; გური **მწკუფს** (ი.თანდ.) „გული მტკივა".

217.წოე- : წუფ-/წვ-/წ-

წუფ-ს	წოვს
ი-წუფს	იწოვს
უ-წუფს	უწოვს
ო-წვ-აფ-აფ-ს	აწოვებს
ო-წვ-აფ-ინ-აფ-აფ-ს	აწოვებინებს
ო-წ-უ	წოვა

გვხვდება ბველ ქართულში: **სწოვდე** შენ რძესა; **მაწოვნებელთა; გამოწოონ. . .** საილუსტრაციო მასალა: გენიქ ბუძი **წუფს** (ჩიქ. I, 165,32) „ხბო ძუძუს წოვდა"; გენის არ წანაშა **ოწვაფაფან** (ჩიქ. I, 165, 34) „ხბოს ერთ წლამდე აწოვინებენ".

ქართ. **წოვ-** ძირს შეესატყვისება ლაზ. **წუფ-** , მეგრ. **წუვ-//წუ-**და სვან. **წოხ-**(<**წოე-**):

ლაზ.: **წუფ-ს** „ წოვს"; **ო-წ-უ** „ წოვა"

მეგრ.: **წუნ-ს** „წოვს"; **წუ-ალ-ა** „წოვა"

სვან.: **ენ-წოხ-ე** „მოწრუპა".

მეგრული მასალა შეაპირისპირა ა. ცაგარელმა (ცაგარელი 1880: 48); ლაზური – არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 392), სვანური – თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა (გამყრელიძე... 1965: 247). **წოე-**არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 245).

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: **წუფ-ს** „წოვს" – **ი-წუფ-ე-ნ** „იწოვება".

218. წონ- : წონ-

მო-წონ-ს	მოსწონს
მოი-წონ-უ	მოიწონა
მო-წონ-დ-უ	მოეწონება
მუი-წონ-უ	მოიწონა
ო-წონ-დინუ	მოწონება

ქართ. **წონ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. **წონ-** და მეგრ. **წონ-**:

ლაზ.: მო-**წონ**-ს „მოსწონს"; ო-**წონ**-დინუ „ მოწონება"

მეგრ.: მო-**წონ**-ს„მოსწონს"; მო-**წონ**-ა „მოწონება"

შდრ. აჭარ.:**მომწონდა**„მომეწონა"

ქართველური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 400). ***წონ-** არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 245).

საილუსტრაციო მასალა: ლაზიშ ნენა **მოგწონს-ი**? (ყიფშ.19,15) „ლაზის ენა მოგწონს"?ნამუ **მოგწონდასენ**, ჰეია იეჰოფი (ჟღ. 32,12) „რომელიც მოგეწონება, ის იყიდე"; დამთიეს სიჯა დიდო **მოწონდუ**-ში, სიჯას კაი **აწონუ** ნა **მუიწონეს** (ი. თანდ.) „დედამთილს სიძე ძალიან მოეწონა, მაშინ სიძესაც ძალიან გაუხარდა, რომ მოიწონეს".

219. წონ- : წონ-//წინ-

წონ-უფ-ს	წონის
წონ-უ	აწონა
ი-**წინ**-ენ	იწონება
ო-**წონ**-უ /ო-**წინ**-უ	აწონა
მ-**წონ**-უ	მწონავი
წინ-ერი	აწონილი
ნო-**წინ**-ე	ანაწონი

გვხვდება ძველ ქართულში: **აღწონეს; მიუწონეს;** მომხვეჭელი ზომსა ვერ **იწონის** მოტაცებისასა (მამ. სწავლებანი, 274, 13).

ქართ. **წონ-** ძირს შეესატყვისება ლაზ. **წონ-**, მეგრ. **წონ-** და სვან.**წონ-**(<**წუნ**<**წონ**):

ლაზ.: ო-**წონ**-უ /ო-**წინ**-უ „აწონა"; **წონ**-უფ-ს „ წონის"

მეგრ.: **წონ** -უ- ა „აწონა; **წონ**-უნ-ს„წონის"

სვან.: ლი-წენ-ე „აწონა"; ა-წუნ-ე „წონის"

მეგრულ-ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა1938: 401), სვანური – ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1982: 38). *წონ- არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 246).

საილუსტრაციო მასალა: ალიში ოხორის ალთუნეფე-ნა წინუფეტეს, ქოძირუ (ჩიქ. I, 57,14) „ალის სახლში რომ წონიდნენ, ნახა"; არ თერაზის დოზწინათ (ჩიქ. II, 144,3) „ერთი სასწორზე ავწონოთ"; მაჩხომალექ ჩხომი დოწინუ დო ეშო წინეი ქომეჩი(ი. თანდ.) „მეთევზემ თევზი აწონა და ასე აწონილი მისცა".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: წონ-უფ-ს „წონის" – ი-წინ-ენ „იწონება".

220. *წრედ-/წრიდ-/წრდ-:წროდ-/წურდ-/წრუდ-

ო-წურდ-ინ-აფ-ს წრეტს

წურდ-უ-ნ იწრიტება

ი-წურდ-ინ-ენ შეიძლება დაიწრიტოს

უ-წურდ-უნ უწრეტდება

ო-წრუდ-უ წრეტა

ო-წროდ-უ წრეტა

ო-წურდ-უ წრეტა

წრუდ-ინ-ე(რ)-ი დანაწრეტი

გვხვდება ძველ ქართულში: დაწრიდოს სისხლი მისი; დავწრიდოთ სისხლი მათი; მოსწრიდა წყალი მცირედ...

ქართ. წრიდ- ფორმას შეესატყვისება მეგრ. წირიდ-//წრიდ (<ნირდ), ხოლო ლაზურში გვაქვს წროდ-//წურდ-//წრუდ-:

ლაზ.: ო-წრუდ-უ „წრეტა"; წურდ-უ-ნ „იწრიტება"

მეგრ.: წირიდ-უ-ა „წრეტა", წირდ-უ „შრება"

მეგრული მასალა შეაპირიპირა ვ. თოფურიამ (თოფურია 1930: 302), ლაზური – არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 402). წრედ-/წრიდ-/წერდ- არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის გამოავლინა გ.კლიმოვმა (ЭСКЯ: 246).

საილუსტრაციო მასალა: კოჩის ჩედიამურე უწურდუნ(მემიშიში, სარფი) „კაცის ცრემლი ეღვრებოდა(ეწვეთებოდა)"; ჭუალიშენ მინჯიშ წკაი წრუდუნ (ი.თანდ., სარფი)

„ტომრიდან ნადუღის წყალი იწრიტებოდა"; მჭიმას დოვიშოლი დო წკაი წურდინეი გემიხდებს (ჯ. აბულაძე, სარფი) „წვიმაში დავსველდი და წყალი წურწურით ჩამომდის".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: ო-წურდ-ინ-აფ-ს„წრეტს" – ი-წრუდ-ე-ნ „იწრიტება".

221. წრეხ-/წრიხ- : წილახ-/ნწილახ-

წილახ-უფ-ს	გრეხს
ი-ნწილახ-ე-ნ	იგრიხება
ა-ნწილახ-ე-ნ	ეგრიხება
ო-ნწილახ-უ	დაგრეხა
ნწილახ-ე(რ)-ი	დაგრეხილი

ქართ. წრეხ- ფორმას კანონზომიერად შესატყვისება მეგრ. წირახ-/წირიხ-, სვან. წრიხ-/წირხ-. აქვე უნდა განვიხილოთ ლაზ. წილახ-/ნწილახ- ფორმაც, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის განხილული:

ლაზ.: ო-ნწილახ-უ „დაგრეხა"; ი-წილახ-ე-ნ „ იგრიხება"

მეგრ.: წირახ-უ-ა წირიხ-უ-ა „დაგრეხა"; წირიხ-უ„დაგრიხა"

სვან. ლი-წრიხ-ე „დაგრეხა", წირხ „დაგრეხილი წნელი"

შდრ. გურ.: დაწირებება „დაგრეხა", წირები„დაგრეხილი წნელი"; მოხ., მთ.-გუდ.:დაწრება „დაგრეხვა, დამანჭვა".

მეგრული მასალა შეაპირისპირა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1987). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია წრეხ-/წრიხ-არქეტიპი (ჰენრიხი... 2000: 652).

საილუსტრაციო მასალა: ჭიტა ჯუმაქ კეფიში თოკი დონწილახუ დო კუიშა გიონჭაფს (ლაზ.ზღაპარი) „პატარა ძმამ კანაფის თოკი დაგრიხა და ორმოში უშვებს"; წიწილას თი უჩაჩქაში, ტანი ხოლო ინწილახენ (ი. თანდ.) „გველს თავს რომ გაუჩეჩქვავ, ტანით მაინც იგრიხება"; ღორმოთის პატი ვარ ოწონაფატი, კუმიშენ თოკი დოგონწილახაფაფს (ი. თანდ.) „ღმერთს ნუ აწყენინებ, თორემ ქვიშიდან თოკს დაგაგრეხინებს (დაგაწნევინებს)".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: წილახ-უფ-ს „გრეხს" – ი-ნწილახ-ე-ნ „შეიძლება დაგრეხა"

222. წურ- :წორ-//ნწორ-//ნწირ-/ნწირ-

წირ-უფ-ს	წურავს
ი-ნწირ-ე-ნ	იწურება
ა-ნწირ-ე-ნ	ეწურება
ო-ნწორ-უ	წურვა
ნწირ-ელ-ი	დაწურული
ნო-ნწირ-ე	დანაწური

გვხვდება ძველ ქართულში: წურვიდა იგი მას; გამოვწურე მე იგი; დასწურავთ თქვენ.

ქართ. წურ- ძირის შესატყვისად ლაზურში არის წორ-/ნწორ-/წირ-/ნწირ-.მეგრულში წირ-/წორ(<წურ); სვანურში ამავე ძირს შეესატყვისება წურ-:

ლაზ.: ო-ნწორ-უ „წურვა"; წირ-უფ-ს „წურავს"

მეგრ.: წირ-უ-ა „წურვა"; წირ-უნ-ს„წურავს"

სვან.: ლი-წEრ-ე „გაწურვა"; ო-წურ„სდის"

მეგრულ-ლაზური მასალა შეაპირისპირა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ 246), სვანური – ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1987: 36). ს.ქართვ. წურ-არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 246).

ლაზური ონწირუ იხმარება აგრეთვე „ტანჯვის, წვალების" მნიშვნელობით.

საილუსტრაციო მასალა: ფუჯი ნა ნჭვალა, ოკულე მჟა ნწირუფან (ი. თანდ.) „ძროხას რომ მოწველი, მერე რძეს წურავენ"; მჟა დომწორუმთ სუზგითენ (ჩიქ.II, 113,32) „რძეს გავწურავთ საწურით"; ღალი გოლუნწორუ (ჟღ.4,24) „ღელე გადაუკეტა (გადაუწურა)".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: წირ-უფ-ს „წურავს" - ი-ნ-წირ-ე-ნ „იწურება".

223. წუწ-: ნუწ-

წუწ-ონ-უფ-ს	წუწნის
ი-წუწ-ინ-ენ	წუწნა შეიძლება
ო-წუწ-ინ-უ	აწუწნინა
ა-წუწ-ონ-უ	მოეწუწნა
ო-წუწ-ონ-უ	წუწნა

წუწ-ინ-ე(რ)-ი წუწნით

ნო-**წუწ**-ონ-ე ნაწუწნი

ძველ ქართ. ტექსტებში არ ჩანს.სულხან-საბასთან დასტურდება: **წუწკნა**„ბაგით ამოწოვა".

ქართ. **წუწ**- ფორმას შეესატყვისება მეგრ. **წუწ**-/**წურწ**-, ლაზ.**წუწ**- და სვან. **წEს**-:

ლაზ.: ო-**წუწ**-ონ-უ „ წუწნა"; **წუწ**-ონ-უფ-ს „წუწნის"

მეგრ.: **წურწ**-უ-ა, „გამოწოვა; დალევა"; **წუწ**-ონ-უნ-ს „წუწნის"

სვან.: ლი-**წEს**-დ-@ნ „წუწნა"; ი-**წEს**-დ-@ნ „წუწნის"

ლაზური მასალა გააანალიზა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა, 1938, 403), მეგრული –კ. შმიდტმა (შმიდტი 1962: 155). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია ***წუწ**- ძირი (ფენრიხი... 2000: 654). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 246).

საილუსტრაციო მასალა: **ჭიტა** ბეეფექ შექეი **წუწონუფტეს** (ჯ. კახიძე, სარფი) „პატარა ბავშვები შაქარს წუწნიდნენ"; ეკო იზაეფუ ქი **წუწონეი** კანფეტის ქონანგუ (ი. თანდ.) „ისე გახდა, რომ მოწუწნულ კანფეტს დაემსგავსა".

ზმნას ეწარმოება აქტიური და პასიური ვარიანტები: **წუწ**-ონ-უფ-ს „წუწნის" - ი-**წუწ**-ონ-ე-ნ „წუწნა შეიძლება".

224. *წყ- : წყ-

უკუმ-**წყ**-ვ-ინ-აფ-ს შეარიგებს

ი-**წყ**-ვ-ე-ნ-ან ეწყობიან

ნამ-**წყ**-ვ-ე-ნ ხელი ეწყობა

მო-**წყ**-ვ-ინ-უ შეწყობა

ოკომ-**წყ**-ვინუ შერწყმა

ოკომ-**წყ**-ვ-ე(რ)-ი შერწყმული

წყ-ძირი გვხვდება ძველ ქართულში: **დააწყვნენ** შეშანი ცეცხლსა ზედა (ლევიტ. 1,7).

ქართ. **წყ**- ძირს შეესატყვისება ლაზ. **წყ**-, მეგრ. **ნწყ**-და სვან.**წყ**-:

ლაზ.: მო-**წყ**-ვ-ინ-უ „შეწყობა"; ი-**წყ**-ვ-ე-ნ „ეწყობა"

მეგრ.: დო-**ნწყ**-უ-ალ-ა „დაწყობა"; ო-**ნწყ**-უნ-ს „აწყობს"

სვან.: ლუ-მ-და- **წყ**-ოლ-ინ-ხ „დაწყობილან".

***წყ**- არქეტიპი ს.ქართვ. ფუძე-ენისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 247).

საილუსტრაციო მასალა: ხალიდიქ ლეტაშ მომწყინუ იჩალიშებს (ო. ვანილიში, სარფი) „ხალიდი მიწის მომწყობად მუშაობს"; სინთი თრანგიქ მეგიწყვას (ასათ. ანაკ., სარფი) „შენც ღმერთმა შეგიწყოს"; კაი კოჩის დულიას ნამწყვენი (ი. თანდ.) „კარგ კაცს საქმეში ხელი ეწყობა".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: უკუმ-წყ-ვ-ინ-აფ-ს „შეარიგებს" – ი-წყ-ვ-ე-ნ „ეწყობა".

225.*წყ-:წკ-

წკ-უფ-ს ტკივა

ა-წკ-უნ-უ ეტკინა

ო-წკ-უნ-უ ატკივება

ი-წკ-უნ-ე-ნ ტკივილს გამოიწვევს

ა-წკ-უნ-ე-ნ ეტკინება

წკ-უნ-ე(რ)-ი მტკივანი

მ-წკ-უნ-აფ-უ ტკივილის მომტანი

ნო-წკ-უნ-ე ნატკენი

ქართ. წყ- ძირს შეესატყვისება ლაზ. წკ- და მეგრ. წყ-:

ლაზ.: წკ-უფ-ს „ტკივა"; ო-წკ-უნ-უ „ატკივება"

მეგრ.: წყ-ინ-აფ-ა „წყენა-მოწყენა"; ვ-ო-წყ-ინ-უ-ან-ქ „ვაწყენინებ"

მეგრული მასალა შეაპირისპირა ი. ყიფშიძემ (ყიფშიძე 1914: 384), ლაზური – არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1938: 399). არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ: 247).

საილუსტრაციო მასალა: მა კუჩხეფე მწკუფს (ჩიქ. I, 3,33) „მე ფეხები მტკივა"; მციქა გური მაწკუნუ (ყიფ. 69,10) `ცოტა გული მტკივა"; ოწკუნუში ჯამი ქემიჯოფი (ი.თანდ.) „ტკივილის წამალი მიყიდე".

226. *უ-წყ- : ო-წკ-

ო-წკ-ე-ნხედავს, უყურებს

ს. ქართვ. *უ-წყ- ძირს კანონზომიერად შეეფარდება მეგრ. ო-რწყ-და სვან. Ǝშხ-/უშხ-:

მეგრ.: ო-რწყ-ე-ნ „ხედავს, უყურებს"

სვან.: ხ-ა-Ǝშხ-ი/ხ-ა-უშხ-ე „ამხელს, ამჟღავნებს, გასცემს"

*უ-წყ- არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა2000: 225).

საილუსტრაციო მასალა:ბიჭიქ კულანის **ოწკენ** (ი. თანდ.) „ბიჭი გოგოს უყურებს".

227. ‘წყ-ენ-/‘წყ-ინ- : ჰკინ-

დი-**ჰკინ**-დ-ინ-უ დაიღალა, მოიქანცა

შდრ. მეგრ. **ჰყან-ა** „ძალა" და სვან. **ჰყარ-/ჰყრ-**: ხ-ა-**ჰყრ**-ენ-ი„ავად ხდება".

‘წყ-ენ-/‘წყ-ინ- არქეტიპი აღადგინა მ. ჩუხუამ (ჩუხუა 2000: 389).

საილუსტრაციო მასალა: დიდო **დომაჰკინდუ** „ძალიან დავიღალე".

228.‘წ¹ან-/‘წ¹ნ- : ჰინ-/ჰუნ-/ჰიმ-

ნჰიმ-ოშ-უფ-ს წნავს

ი-ნ-**ჰიმ**-ოშ-ე-ნ იწნება

ა-ნ-**ჰიმ**-ოშ-უ დაეწნა

ო-ნ-**ჰიმ**-ოშ-უ დაწნა

ნ-**ჰიმ**-ოშ-ე(რ)ი დაწნული

ჰინ-ახ-ე(რ)ი დაწურული

ქართ. **წნ** - ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. **ჰინ** - და ლაზ. **ჰინ-/ჰიმ** -: ლაზ.: ო-ნ-**ჰიმ**-ოშ-უ „დაწნა"

მეგრ.: **ჰინ**-ი „წნელი"

ლაზური მასალა შეაპირისპირა ნ. მარმა (მარი1910: 228), მეგრული – პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 49). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია **‘წ¹ან-/‘წ¹ნ-** არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 660). შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 252).

საილუსტრაციო მასალა: პაპულიქ მსიჯი **დონჰიმოშუ** და კალათიშ ოშუშენი ქოშინახუ (თ. თინ.) „ბაბუამ სურო დაწნა და გოდრის საქსოვრად შეინახა"; აია კოჩი დიდო **ნჰიმოშეი** რენ (ნ. კაკაბაძე, სარფი) „ეს კაცი ძალიან დაგრეხილია"; კუმიშენ თოკი **განჰიმოშენი**? (ანდაზა) „ქვიშიდან თოკს დაწნავს?"

ზმნასგააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: **ნჰიმ**-ოშ-უფ-ს „წნავს" - **ი-ნჰიმ**-ოშ-ე-ნ „იწნება".

229. ‘წ¹ებ- : ჭაბ-

ჭაბ-უფ-ს წებავს

ნა-**ჭაბ**-ე-ნ ეწებება

ი-**ნჭაბ**-ე-ნ იწებება

მე-**ჭაბ**-უ მიწებება

მე-ჭაბ-ე(რ)-ი მიწებებული

გვხვდება ძვ. ქართულში: აღეწება ხელსა მისსა; კარი შემოწება ზურგით (დაბ.19,60).

ქართ. წებ- (<*წ:ებ-) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. ჭაბ- და მეგრ. ჭაბ-:

ლაზ.: ჭაბ-უფ-ს „ წებავს"; მე-ჭაბ-უ „მიწებება"

მეგრ.: ჭაბ-უ-ა „წებება; ჭაბ-უნ-ს „აწებებს"

ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938: 406), მეგრული – პ. ჭარაიამ (ჭარაია 1918: VIII). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *წ:ებ- არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 662); გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 248).

საილუსტრაციო მასალა: ბაზი თემბელი რენ ბელის ნაჭაბენ (ხალხ. ლექსი) „ზოგი ზარმაცია ბარს ეწებება"; იერი მუშის ქომეხოჭაბი (ჩიქ. II, 4,19) „მის ადგილას მივაწებე"; კინონი ხეს მაკაინა ნაჭაბენ (ჩიქ. II, 85,10) „შეღებილ ხელზე მაკარონი ეწებება".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: მევო-ჭაბ-ი „მივაწებე" - ი-ნჭაბ-ე-ნ „იწებება".

230.*წ:ერ- : ჭარ-/ნჭარ-

ჭარ-უფ-ს	წერს
ი-ჭარ-ე-ნ	იწერება
ა-ჭარ-ენ	შეუძლია წერა
ო-ნჭარ-უ	წერა
ჭარ-ელ-ი	დაწერილი
მ-ჭარ-აფუ	მწერალი, დამწერი

გვხვდება ძველ ქართულში: წიგნსა შენსა ყოველსა ესე დაიწერა (ფს. 138,16).

ქართ. წერ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. ჭარ- და ლაზ. ჭარ-, აგრეთვე სვან. ჲრ- (<ჰერ-):

ლაზ. ჭარ-უფ-ს „ წერს"; ო-ნჭარ-უ „წერა"

მეგრ.: ჭარ-უ-ა „წერა"; ჭარ-უნ-ს „წერს"

სვან.: ლ@-ჲრ „წერილი".

ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *წ:ერ- არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 663); გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 249).

საილუსტრაციო მასალა: კოჩიქ **ოჭარუ** გოგიოჭკუ (ი. თანდ.) „კაცმა წერა დაიწყო"; **ოჭარუ**-ოკითხუშ გალე არ კუჩხე მკულე უღუტუ(ლაზ.169) „წერა-კითხვის გარეშე ერთი ფეხი მოკლე ქონდა"; ქითაბის **ჭარუნ** (ჩიქ. I, 98,28) „წიგნში წერია".

ზმნასგააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: **ჭარ**-უფ-ს „წერს" - ი-**ჭარ**-ე-ნ „იწერება".

231. * წ₁E- : ჭვ-/ნჭვ-/ჭ-

ჭ-უფ-ს წვავს

ი-**ჭვ**-ენ იწვის

ა-**ჭვ**-ენ ეწვის

ო-**ჭ**-უ წვა

მო-**ჭვ**-ერ-ი მომწვარი

უ-**ჭვ**-უ დაეწვა

გვხვდება ძველ ქართულში: საჭურველსა მათსა **წუვიდნენ** ცეცხლთან (ეზ.39ა10); **იწუებოდა; ვიწუები; დასაწუებლად...**

ქართ. **წუ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. **ჭვ**-, მეგრ. **ჭუ**- და სვან. **ჭ**- (<ჭვ-):

ლაზ.: ო-**ჭ**-უ „ წვა"; **ჭ**-უფ-ს „წვავს"

მეგრ.: **ჭუ**-ა „წვა"; **ჭუნ**-ს „წვავს, აცხობს"

სვან.: ლი-**ჭ**-ი „ცხობა"; ა-**ჭ**-ი „აცხობს"

ლაზური მასალა შეაპირისპირა ი. ჯავახიშვილმა (ჯავახიშვილი 1913: 6), მეგრული – ა. ცაგარელმა (ცაგარელი 1880: 66). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *წ₁ეარქეტიპიგ. კლიმოვის მიერ (ЭСКЯ: 250).

საილუსტრაციო მასალა: დიშქა ხაზირომან... კისიშ **ოჭუშენი**(ჩიქ.II, 60, 20) „შეშას ამზადებენ ... ზამთარში დასაწვავად"; დოლოხე **ჭვეი** მჭკიდი იყვენ...მჭკიდი აშოთენ **ჭუფან!**(ჩიქ.I, 140,18) „შიგნით შემწვარი მჭადი იქნება...მჭადს ასე აცხობენ(წვავენ)"; მან ვარ მიღუნ იგბალი, **დოვიჭვი**, დოვიხალი (ი. თანდ., სარფი) „მე არ მაქვს იღბალი, დავიწვი, დავიხრუკე".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტები: **ჭ**-უფ-ს „წვავს" – ი-**ჭვ**-ე-ნ იწვის".

232. * წ₁Eელ- : ჭვალ-/ნჭვალ-

ჭვალ-უფ-ს წველის

ი-ნჭვალ-ს იწველება

ი-ნჭვალ-ენ იწველება

ა-ნჭვალ-ე-ნ ეწველება

ო-ნჭვალ-უ მოწველა

ნჭვალ-ე(რ)-ი მოწველილი

გვხვდება ძველ ქართულში: წუელდა მათგან რძესა, H-341 394; მოწუელის...

ქართ. წუელ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. ჭვალ- და ლაზ. ჭვალ-/ნჭვალ-:

ლაზ.: ო-ნჭვალ-უ „ მოწველა"; ჭვალ-უფ-ს „წველის"

მეგრ.: ჭვალ-უ-ა „წველა"; ჭვალ-უნ-ს „წველის"

ლაზურ-მეგრული მასალა შეაპირისპირა ი. ჯავახიშვილმა (ჯავახიშვილი 1913: 6). ს.ქართვ. დონეზე აღდგენილია *წ₁ɛელ- არქეტიპი (ფენრიხი... 2000: 667); შდრ. გ. კლიმოვი (ЭСКЯ: 250).

საილუსტრაციო მასალა: დიდო-ნა ინჭვალს ფუჯის თოლი მატენ (ჩიქ. I, 127,22) „ბევრს რომ იწველის, იმ ძროხას თავლი სცემს"; იფთინე მჟა ქოდობა... მაჟუა უნჭვალანა (ასათ., ოჩამჩ. სარფი) „პირველი რძე გადავასხა... მეორე რომ მოუწველო"; ნანა ჩქიმის მჟა კაი ანჭვალეტუ (ი.თანდ.) „დედაჩემს რძის მოწველა კარგად შეეძლო".

ზმნას გააჩნია აქტიური და პასიური ვარიანტი: ჭვალ-უფ-ს „ წველის" – ი-ნჭვალ-ენ „იწველება".

233.*წ₁ეერ- : ნჭვარ-

ნჭვარ-უფ-ს ძირკვავს

ი-ნჭვარ-უ ამოიძირკვა, მოუცელა

უ-ნჭვარ-უ ამოუძირკვა, მოუცელა

ა-ნჭვარ-უ მოეცელა

ო-ნჭვარ-უ ამოძირკვა

მე-ნჭვარ-უ მოცელა

ქართ. წვერ- ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. ჭვარ- და ლაზ. ნჭვარ- (ლაზ. ნ - განვითარებულია):

ლაზ.: ო-ნჭვარ-უ „ამოძირკვა"

